



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის სამსახური



# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული

2019-2023 წლები

პერსონალურ  
მონაცემთა  
დაცვა

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის საბაზარი



# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული

2019-2023 წლები

პერსონალურ  
მონაცემთა  
დაცვა

საჩივრი





# წინასიტყვაობა

დღეს, სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში, მსოფლიო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნულის ფონზე საზოგადოება აქტიურად საუბრობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებზე. შესაბამისად, უფრო ნათელი ხდება სამართლისა და სასამართლოს როლი იმ გლობალური რისკების პირისპირ, რომლებიც ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას და ემუქრება საზოგადოებრივ თუ სამართლებრივ უსაფრთხოებას.

მაქვს პატივი, მოგილოცოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებულის გამოცემა, რომელიც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას. საქართველოსთვის, როგორც ევროპული სამართლებრივი კულტურის ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრებულის შექმნა. დიდ მადლობას მოვასხენებ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ პროექტს „ადამიანის უფლებები ყველასთვის“, რომლის მხარდაჭერითა და ძალისხმევითაც განხორციელდა აღნიშნული იდეა საქართველოში.

განსაკუთრებული მადლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, კონსტანტინე კორკელიას, ამ მეტად მნიშვნელოვანი კრებულის შექმნისა და ღრმა მეცნიერული წვლილისათვის.

გამოცემაში განხილული გადაწყვეტილებებით შეჯამდა ევროპული სასამართლოს მიერ ბოლო წლებში ჩამოყალიბებული პრაქტიკა. წინამდებარე სახელმძღვანელო, დაეხმარება სამართლის სკოლებს, მონაცემთა სუბიექტებს, საჯარო დაწესებულებებს, კერძო ორგანიზაციებსა და ყველა დაინტერესებულ პირს, რომ მეტი შეიტყონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის შესახებ. უახლესი სახელმძღვანელო მიდგომების გაცნობა გააძლიერებს და განავითარებს ქართულ სამართალს ამ სფეროში.

კრებული ხელს შეუწყობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების, სასამართლო პრაქტიკისა და თეორიის გაცნობას, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთა გაზიარებას. ამგვარად, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პერსონალურ მონაცემთა საზედამხებდველო ორგანოს საქმიანობისათვის, კერძოდ, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არგუმენტაციისა და სამართლებრივი დასაბუთების პროცესში, რაც გულისხმობს საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარებასა და დანერგვას ქართულ სამართლებრივ სივრცეში. კრებულში წარმოდგენილი გადაწყვეტილებები შეეხება საჯარო დაწესებულებებისა და კერძო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვას, რომელიც საქართველოშიც აქტუალურია. ამდენად, აღნიშნული კრებულის შექმნის იდეა და მისი განხორციელება არის მეტად მნიშვნელოვანი შენატანი სამოსამართლო სამართლის გამოყენების თვალსაზრისით.

## **ლელა ჯანაშვილი**

*პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
სამართლის დოქტორი*

## შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ნაწილი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომელსაც განამტკიცებს მრავალი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიურმა პროგრესმა გააფართოვა პერსონალურ მონაცემთა გავრცელების არეალი, რასაც მოჰყვა გამარტივებული წვდომა მათზე და, შესაბამისად, საჭირო გახდა დამატებითი ღონისძიებების გატარება პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების ეფექტიანად დასაცავად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების განვითარებით, სახელმწიფოებს ფეხი უნდა აეწყოთ ტექნოლოგიური პროგრესის თანმდევი მოვლენებისთვის. თანამედროვე სამყაროში პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების ეფექტიანად დაცვის აუცილებლობამ გაააქტიურა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, გაეროს, ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის მუშაობა ამ სფეროში. მათი ძალისხმევით, კიდევ უფრო იხვეწება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტები.

აღნიშნული სფეროს განვითარება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ევროპის საბჭოს ფარგლებში. ორგანიზაციის ეგიდით მიღებული მარეგულირებელი დოკუმენტების გარდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების განვითარებას ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. იგი მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე და განიხილავს სარჩელებს კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევის შესახებ. მართალია, კონვენციაში ნახსენებიც არ არის პერსონალურ მონაცემთა დაცვა, თუმცა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში განმარტა, რომ პერსონალური მონაცემები დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება“).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ხელმოწერილი 1950 წლის 4 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს და ამჟამად აერთიანებს 46 სახელმწიფოს, რომელთათვისაც აწესებს სამართლებრივ ვალდებულებებს.

საქართველომ კონვენციას ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს, ძალაში კი დოკუმენტი შევიდა ამავე წლის 20 მაისს. ამ დღიდან ქვეყანას ეკისრება საერთაშორისო ვალდებულებები და მის იურისდიქციაში მოქცეულ ყველა პირს შეუძლია, ევროპულ სასამართლოში შეიტანოს სარჩელი საქართველოს წინააღმდეგ.

კონვენციას ბევრი მიიჩნევს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებად, რომელმაც დააფუძნა განვითარებული საერთაშორისო საზედამხედველო სისტემა. ამ სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით, ევროპული სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და ევროპის ქვეყნებმა დოკუმენტი აღიარეს „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად.“

კონვენცია იცავს არა მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა მოქალაქეებს, არამედ ყველას, ვინც იმყოფება ამ ქვეყნების ტერიტორიებზე, მათ შორის, უცხოელებს, მოქალაქეობის არმქონე პირებსა და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს. შესაბამისად, კონვენციის



მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირის უფლება და თავისუფლება.

ევროპული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასთვის უნდა უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს პირის უფლებათა დარღვევისაგან, არამედ პოზიტიური ვალდებულებაც - შესაფერისი ღონისძიებები (როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული) გაატაროს ამ უფლებათა დასაცავად მესამე მხარისგან (ფიზიკური და იურიდიული პირები). თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებულ უფლებებს დაარღვევს ფიზიკური ან იურიდიული პირი, სახელმწიფო ვალდებულია, ეფექტიანად დაიცვას დარღვეული უფლებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება თავად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის ნაწილი აბსოლუტურია (მაგ., წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მათი შეზღუდვა დაუშვებელია ნებისმიერ სიტუაციაში, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც კი, ხოლო ნაწილი კვალიფიცირებულია, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია მართლზომიერი ჩარევა ამ უფლებათა გამოყენებაში (მათ შორისაა: პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, რელიგიის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება).

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ადამიანის უფლებებში ჩარევა ყოველთვის არ იწვევს ევროპული კონვენციის დარღვევას – ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება მართლზომიერად ჩაითვალოს. ცხადია, ამის წინაპირობაა, რომ სახელმწიფომ დაიცავს კონვენციის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული პირობები. მიზანშეწონილია ამ პირობების მოკლედ განხილვა კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც:

*„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.*

*2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“*

ნათელია, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ჩამოყალიბებულია ორ ნაწილად: 1-ელი ადგენს უფლებებს, რომლებითაც პირები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი, ხოლო მე-2 ადგენს, რომ საჯარო ხელისუფლებას შეუძლია ამ უფლებათა მართლზომიერად შეზღუდვა, თუკი დაიცავს სამ პირობას. კერძოდ, ჩარევა უნდა იყოს:

- ა) კანონის შესაბამისი;
- ბ) ლეგიტიმური მიზნის მქონე (ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დაცვა, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა და სხვ.);

გ) აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

**პირველი პირობა** გულისხმობს, რომ სახელმწიფოს კანონმდებლობა უნდა ადგენდეს უფლებაში ასეთი ჩარევის სამართლებრივ შესაძლებლობას. ამ კუთხით, კონვენცია განსაზღვრავს ორი ელემენტის – ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის საჭიროებას:

- ▷ ხელმისაწვდომობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, კანონი „უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი – მოქალაქეს, გარემოებათა მიხედვით, შეეძლოს გარკვევა, თუ რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში;“
- ▷ რაც შეეხება განჭვრეტადობის მოთხოვნას, „ნორმა არ ჩაითვლება კანონად, თუ არ არის ფორმულირებული საკმარისი სიზუსტით, რომ პირმა შეუსაბამოს თავისი ქმედება: მას უნდა შეეძლოს (საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით), შექმნილი გარემოებისთვის გონივრულ ფარგლებში განჭვრიტოს შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოქმედებას.“

**მეორე პირობის** მიხედვით, უფლებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, როგორცაა ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დაცვა, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

**მესამე პირობით** კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს, რომ ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში – ანუ მას უნდა განაპირობებდეს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება (pressing social need). მართლმომიერი თუ არა ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში, ფასდება აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპების საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება, რომელიც მიემართება ადამიანის უფლებათა შეზღუდვას, უნდა იყოს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების თანაზომიერ. სახელმწიფომ უნდა გაამართლოს უფლებაში ჩარევა და დამტკიცოს, რომ ის აუცილებელი და თანაზომიერი იყო მე-8(2) მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

შეფასებისას სახელმწიფოს აქვს გარკვეული თავისუფლება, მაგრამ არის თუ არა უფლებაში ჩარევა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების თანაზომიერი, ამ საკითხზე ვრცელდება ევროპული სასამართლოს კონტროლი, რომელიც ამოწმებს, რამდენად დააკმაყოფილა ჩარევამ კონვენციის მოთხოვნები: კერძოდ, განპირობებულია თუ არა უფლებაში ჩარევა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით და არის თუ არა ის აუცილებელი და თანაზომიერი კონვენციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

უფლებაში ჩარევის თანაზომიერების საკითხმა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დაამკვიდრა პრინციპი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოებს განესაზღვრათ „თავისუფალი შეფასების ფარგლები“ (*margin of appreciation*). ეს ფარგლები დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, მათ შორისაა სადავო კონვენციური უფლების ბუნება, ჩარევის ხარისხი და მიზნები. შეფასების ფარგლები უფრო ვიწროა, როდესაც რისკის ქვეშ მდგომი საკითხი მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებებით ეფექტიანად სარგებლობისთვის, ან შეეხება ინდივიდის იდენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტს. თუ ევროპის

საბჭოს წევრ ქვეყნებში არ არსებობს კონსენსუსი კონკრეტულ საკითხსა და მისი დაცვის გზებზე, სახელმწიფო უფრო ფართო შეფასების ფარგლებით სარგებლობს. შესაბამისად, ევროპული სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით აფასებს სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებს.

როდესაც მოსარჩელე ამტკიცებს, რომ დაერღვა, მაგალითად, პირადი ცხოვრების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აფასებს, რამდენად დააკმაყოფილა სახელმწიფომ კონვენციის მე-8(2) მუხლით გათვალისწინებული სამივე პირობა, თუმცა უპირველესად განიხილავს საკითხს, იყო თუ არა პირის მიმართ გატარებული ღონისძიება ჩარევა მის უფლებაში. თუ დაადგენს ჩარევას მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში, სასამართლო მსჯელობს, იყო თუ არა ეს ჩარევა კანონის შესაბამისი. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სასამართლო აფასებს, ემსახურებოდა თუ არა სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები ლეგიტიმურ მიზანს. თუ ეს მოთხოვნაც დაკმაყოფილდება, სასამართლო განიხილავს გატარებული ღონისძიების აუცილებლობასა და თანაზომიერებას დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. საბოლოო ჯამში, სასამართლო მხარეთა ინტერესების აწონ-დაწონით აფასებს მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევის საკითხს და განსაზღვრავს, დაირღვა თუ არა ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლი.

ამ კრებულის მიზანია, პერსონალურ მონაცემთა დაცვით დაინტერესებულ პირებს გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა; ასევე, გამოავლინოს ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება საყურადღებო გახდეს საქართველოს კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის გასაუმჯობესებლად და მსგავს დარღვევათა ასაცილებლად.

კრებულში თავმოყრილი გადაწყვეტილებები ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ევროპული ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და ქართველ მკითხველს დაეხმარება იმ ასპექტთა გააზრებაში, რომლებიც უკვე არის - ან შეიძლება გახდეს - აქტუალური საქართველოშიც.

კრებულის მეშვეობით, მკითხველი ასევე შეძლებს სახელმწიფოსთვის დაკისრებულ ვალდებულებათა გაცნობიერებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში. ევროპული პრაქტიკის გააზრება კი დაგვეხმარება, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა გაანალიზდეს საერთაშორისო სტანდარტთა გათვალისწინებით და სათანადოდ შეფასდეს ის კანონმდებლობა, პრაქტიკა და სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გასაუმჯობესებლად საქართველოში (მაგ., დაარსდა და წარმატებით ფუნქციონირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური), ეს სფერო მუდმივად საჭიროებს განვითარებას, ახალ გამოწვევებთან გამკლავებას და კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის დახვეწას. სწორედ ამას ისახავს მიზნად ევროპული სასამართლოს უახლეს გადაწყვეტილებათა გაცნობაც.

ვინაიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტები გაფანტულია სხვადასხვა გადაწყვეტილებაში, რთულია მათი სისტემურად გააზრება და ვალდებულებათა მთელი

სპექტრის სწორად აღქმა. შესაბამისად, კრებულის მიზანია, ინფორმაცია ამ სტანდარტთა შესახებ უფრო მეტად იყოს ხელმისაწვდომი ქართულენოვანი მკითხველისთვის და ხელი შეეწყოს მათ დამკვიდრებას პრაქტიკაში. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული კონვენცია (ისევე, როგორც, ზოგადად, საერთაშორისო ხელშეკრულებები) მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად, ეროვნული სამართლის წყაროდ და, შესაბამისად, ვალდებულებებს წარმოშობს ეროვნულ დონეზე. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტები - მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით - რომლებიც აისახა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, უნდა გამოიყენოს ყველა სახელმწიფო ორგანომ, სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით.

ევროპული სასამართლოს განცხადებით, მისი გადაწყვეტილებები „ემსახურება არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არსებულ საქმეთა გადაწყვეტას, არამედ, ზოგადად, კონვენციით დადგენილი წესების განმარტებას, დაცვასა და განვითარებას, რითაც ხელს უწყობს სახელმწიფოების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის სისტემის ძირითადი მიზანია ინდივიდთა დახმარება, ასევე მისი მისიაა საჯარო პოლიტიკის საკითხთა განსაზღვრა საერთო ინტერესებში, რითაც ამაღლდება ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი სტანდარტები და გაფართოვდება ადამიანის უფლებათა იურისპრუდენცია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში.“<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე, კონვენციისეული სტანდარტები უნდა გამოიყენებოდეს მართლმსაჯულების განხორციელების დროსაც და მნიშვნელოვანია, ისინი ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსამართლეების, ისე ადვოკატებისთვის.

კრებული დაეხმარება შესაბამის პროფესიულ ჯგუფებსაც, რომ სწორად განმარტონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტები და მათ მიანიჭონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრული შინაარსი. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ცოდნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არა მხოლოდ რეკომენდებულია, არამედ აუცილებელიც არის.

მიმოხილვაში თავმოყრილია ევროპული სასამართლოს 40-მდე გადაწყვეტილება (როგორც საბოლოო გადაწყვეტილება (განჩინება), ისე გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ). კრებული მოიცავს ევროპული სასამართლოს ბოლო წლების (2019-2023) პრაქტიკას. დოკუმენტში შეძლებისდაგვარად აისახა როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ისე სასამართლოს ძირითადი არგუმენტები, დასაბუთება და გარემოებათა შეფასება.

გადაწყვეტილებები მოძიებულია ევროპული სასამართლოს საძიებო სისტემის (HUDOC) მეშვეობით და სხვა დამხმარე საშუალებებით. დოკუმენტში ისინი წარმოდგენილია სამართლებრივი რეზიუმეს (legal summary) სახით, რაც საკმარისი უნდა იყოს ევროპული სასამართლოს პოზიციის დასანახად საქმის სამართლებრივი პრობლემის მიმართ.

---

1 *ჯერონოვიცი ლატვიის წინააღმდეგ/Jeronovics v. Latvia* (5 ივლისი, 2016 წელი).



# მონაცემთა შეგროვება კარდაკარ ქადაგებისას

## 1 იელოვას მოწმეები ფინეთის წინააღმდეგ/*Jehovah's Witnesses v. Finland* (9 მაისი, 2023 წელი)

### კონვენციის მე-9 მუხლი (რელიგიის თავისუფლება)

საქმე იელოვას მოწმეები ფინეთის წინააღმდეგ<sup>2</sup> ეხება იელოვას მოწმეთა რელიგიური თემისთვის პერსონალურ მონაცემთა შეგროვება-დამუშავების აკრძალვას კარდაკარ ქადაგებისას, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

**ღ საჯინო ფაქტობრივი გარემოება:** მოსარჩელე რელიგიური თემის წევრები, კარდაკარ ქადაგებისას, აგროვებდნენ და მყარი ფაილის სახით ინახავდნენ იმ ადამიანთა მონაცემებს (სახელი, გვარი და მისამართი), რომელთაც არ სურდათ, რომ იელოვას მოწმეები შემდგომშიც მისულიყვნენ მათთან. როცა ეს ცნობილი გახდა მონაცემთა დაცვის ომბუდსმენისთვის, მან საკითხის შესასწავლად მიმართა მონაცემთა დაცვის საბჭოს.

მიმართვის საფუძველზე, 2013 წელს მონაცემთა დაცვის საბჭომ მოსარჩელე რელიგიურ თემს (იელოვას მოწმეებს) აუკრძალა მონაცემთა შეგროვება-დამუშავება კარდაკარ ქადაგებისას, თუკი არ დაკმაყოფილდებოდა პერსონალურ მონაცემთა აქტის (შემდგომში „აქტი“) ზოგადი მოთხოვნები – მონაცემთა სუბიექტის მკაფიო თანხმობის არსებობა ასეთი ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებაზე. საბჭომ დაადგინა, რომ აქტის საფუძველზე, მოსარჩელე თემი და მისი წევრები, რომლებიც აგროვებდნენ მონაცემებს, მიიჩნევიან „მონაცემთა დამმუშავებლებად“, და გასცა შემდეგი ბრძანება: თემს ექვსი თვის ვადაში უზრუნველყუო, რომ ასეთი მონაცემები შეეგროვებინათ მხოლოდ დამუშავების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ადმინისტრაციულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელე თემის საჩივარი და დაადგინა, რომ კარდაკარ ქადაგებისას მონაცემთა შეგროვება-დამუშავება მოითხოვს შესაბამის პირთა პირდაპირ და მკაფიო თანხმობას, თუმცა ასევე მიუთითა, რომ აღნიშნული თემი ვერ ჩაითვლება „მონაცემთა დამმუშავებლად“ აქტის საფუძველზე. მოგვიანებით, ომბუდსმენის მიმართვის შედეგად, უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსაგან მოითხოვა წინასწარი გადაწყვეტილება, მიიჩნევა თუ არა მოსარჩელე თემი პერსონალურ მონაცემთა „დამმუშავებლად“ კარდაკარ ქადაგებისას, ევროპის კავშირის 95/46/EC დირექტივის საფუძველზე. 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით, ევროპის კავშირის სასამართლომ

2 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-224559>.

მიიჩნია, რომ მოსარჩელე თემი უნდა ჩაითვალოს „მონაცემთა დამუშავებლად“. შედეგად, უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გააუქმა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება და კვლავ ამოქმედდა მონაცემთა დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება.

★ **ევროპული სასამართლოს შეფასება:**<sup>3</sup> ევროპული სასამართლოს განსაზღვრებით, ამ საქმეში მთავარი საკითხია სამართლიანი ბალანსის დადგენა, ერთი მხრივ, მოსარჩელე თემის რელიგიის თავისუფლებასა (კონვენციის მე-9 მუხლი) და, მეორე მხრივ, მონაცემთა სუბიექტების პირად ცხოვრებას შორის (კონვენციის მე-8 მუხლი და მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა).

### **ჩარევის არსებობა, მისი კანონიერება და ლეგიტიმური მიზანი**

მოსარჩელე თემს, კარდაკარ ქადაგებისას, აეკრძალა მისი მიმდევარი მონაცემთა სუბიექტების პერსონალური და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვება-დამუშავება, რამდენადაც ამისთვის აუცილებელი იყო მონაცემთა სუბიექტების ცალსახა ან გამომხატული თანხმობა. მონაცემთა დაცვის საბჭოს მითითებით, მისი გადაწყვეტილება არ უნდა განმარტებულიყო იმგვარად, თითქოს მოსარჩელეს ზოგადად უკრძალავდა კარდაკარ ქადაგებას, ან ქადაგებისას არცერთ შემთხვევაში არ უნდა დამუშავებულიყო პირადი მონაცემები. ამის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ კარდაკარ ქადაგებისას (რელიგიური საქმიანობა, რომლის მიზანია იელოვას მოწმეთა რწმენის გამოვლენა ან გავრცელება) პერსონალურ და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა შეგროვება-დამუშავებაზე თანხმობის მოთხოვნის დაწესება უნდა ჩაითვალოს ჩარევად უფლებაში, რომელსაც რელიგიურ თემს ანიჭებს კონვენციის მე-9 მუხლი.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ჩარევა განსაზღვრული იყო კანონით, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა აქტით, რომელიც მოქმედებდა იმ დროისათვის და შეესაბამებოდა ევროპის კავშირის დირექტივას მონაცემთა დაცვის შესახებ. უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გაითვალისწინა ევროპის კავშირის სასამართლოს განმარტება დირექტივის იმ ნაწილთან მიმართებით, რომელიც უკავშირდებოდა გასაჩივრებულ საკითხს, და წარმოადგინა აქტის შესაბამისი განმარტება, საქმეში არსებული ფაქტების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, აქტის ამგვარი ინტერპრეტაცია არ იყო უკანონო ან არაგონივრული.

უფლებაში ჩარევას ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – სხვა პირების, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

### **აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში**

ევროპული სასამართლომ აზრით, პერსონალურ მონაცემთა აქტის მიზანი იყო მონაცემთა სუბიექტების პირადი ცხოვრების უფლების დაცვა. აქტი მოითხოვდა, რომ პერსონალური და მგრძნობიარე მონაცემების შეგროვება-დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტს გაეცა

---

3 პალატის ეს გადაწყვეტილება კრებულის მომზადების ეტაპზე არ იყო საბოლოო, რადგან მონაწილე მხარეს მოთხოვნილი ჰქონდა საქმის გადაცემა დიდი პალატისთვის.

ცალსახა ან გამოხატული თანხმობა, რაც საფუძველს იღებდა მონაცემთა დაცვის დირექტივიდან. მოსარჩელის მხრიდან მტკიცებულებებისა და კონტრარგუმენტების არარსებობის პირობებში, უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იელოვას მოწმეები არ სთხოვდნენ მონაცემთა სუბიექტებს თანხმობას მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და არც მოსარჩელე თემს დაუვალეზია ამის გაკეთება თავისი წევრებისთვის. აღნიშნული ფაქტი არც მოსარჩელემ გახადა სადავო. ამასთან, ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საბჭოს ბრძანება ხელს არ უშლიდა იელოვას მოწმეთა რელიგიურ პრაქტიკას და უკავშირდებოდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას. გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო იმ პირთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვით, რომელთა პერსონალური მონაცემებიც მუშავდებოდა და რომლებსაც ჰქონდათ გონივრული მოლოდინი, რომ დაკმაყოფილდებოდა აქტივით განსაზღვრული მოთხოვნა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებით. ის ფაქტი, რომ ამ მონაცემების ნაწილი შეიძლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო საჯარო წყაროებიდან, უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ ჩათვალა არსებითად საკუთარი დასკვნის გამოსატანად.

ევროპული სასამართლო დაეთანხმა უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომ მონაცემთა სუბიექტს ჰქონდა პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი, როცა კარდაკარ ქადაგებისას გროვდებოდა და მუშავდებოდა მისი პერსონალური და მგრძობიარე მონაცემები. მან ასევე გაიზიარა არგუმენტი, რომ ზოგიერთი პერსონალური მონაცემი შეიძლება უკვე ხელმისაწვდომი იყო საჯარო სივრცეში, თუმცა ეს არ ამცირებდა აღნიშნულ მოლოდინს და არ ნიშნავდა, რომ ასეთი მონაცემები ნაკლებად უნდა დაცულიყო. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნა, რომ იელოვას მოწმეებს კარდაკარ ქადაგებისას მოეპოვებინათ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, უნდა ჩაითვალოს საჭირო და შესაფერის გარანტიად პერსონალურ და მგრძობიარე მონაცემთა გასაჯაროების ასაცილებლად, კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად. ევროპულმა სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მოთხოვნითა და მიღებით ხელი შეეშლებოდა მოსარჩელე თემის რელიგიის თავისუფლებას. ამასთან, თემმა ვერ მოახერხა რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა საბჭოს ბრძანების სავარაუდო „მსუსხავ ეფექტთან“ დაკავშირებით, უზენაეს ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან გასული დროის მიუხედავად. ამასთან, საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს არ დაჰკისრებია ჯარიმა. და ბოლოს, მონაცემთა დაცვის აქტი განურჩევლად ეხებოდა ყველა რელიგიურ თემსა და რელიგიურ საქმიანობას.

აქედან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი, რომ თავისი მოსაზრებით ჩაენაცვლებინა ეროვნულ სასამართლოთა პოზიცია და არ გაეთვალისწინებინა მათი შეფასებები მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებთან დაკავშირებით. სასამართლოების მიერ მოხმობილი მიზეზები იყო შესაფერისი და საკმარისად ადასტურებდა, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და ხელისუფლება თავისუფალი შეფასების ფარგლებში მოქმედებდა, როდესაც ადგენდა სამართლიან ბალანსს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის დარღვევა.



# მონაცემთა შეგროვება სექსუალური ორიენტაციის შესახებ

## 2 დრელონი საფრანგეთის წინააღმდეგ/Drelon v. France (8 სექტემბერი, 2022 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე დრელონი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>4</sup> ეხება მონაცემთა შეგროვებას პოტენციურ სისხლის დონორთა სექსუალურ ცხოვრებაზე და მათ შენახვას მეტისმეტად ხანგრძლივად.

**ღ საჩივის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2004 წელს მოსარჩელემ გადაწყვიტა, ჩაებარებინა სისხლი და ამ მიზნით მიმართა საფრანგეთის სისხლის დონაციის სამსახურს (სახელმწიფო დაწესებულება). სისხლის ჩაბარებამდე, სამედიცინო გასაუბრებისას მოსარჩელემ პასუხი არ გასცა კითხვებს, რომლებიც შეეხებოდა მის სექსუალურ ცხოვრებას (კერძოდ, ჰქონდა თუ არა სექსუალური კავშირი სხვა კაცებთან). ამის გამო, დონაციის სამსახურმა, ვარაუდის საფუძველზე, მოსარჩელე სამუდამოდ მიაკუთვნა ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე კაცთა ჯგუფს. შედეგად, სამსახურმა მოსარჩელის პერსონალური მონაცემები შეიტანა კომპიუტერულ ფაილში და დაარეგისტრირა პირად, რომელსაც, უკუჩვენების გამო (სხვა კაცებთან სექსუალური კავშირი), აეკრძალა სისხლის დონაცია.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია პირის უფლების დაცვა სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისგან, თუმცა ამ შემთხვევაში სისხლის დონაციის სამსახური იყო სახელმწიფო დაწესებულება და სასამართლომ საჩივარი განიხილა სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებების ჩრჩილში. შემდგომ მან იმსჯელა, იყო თუ არა ეს ქმედება ჩარევა პირად ცხოვრებაში. სასამართლოს მითითებით, პერსონალური მონაცემები, რომლებიც ადასტურებდა, რომ მოსარჩელეს, შიდა კანონმდებლობის მიხედვით (უკუჩვენება სხვა კაცებთან სექსუალური კავშირის გამო), აეკრძალა სისხლის დონაცია, შეგროვდა და ინახებოდა ბაზაში, რომელსაც იმ დროისთვის აკონტროლებდა დონაციის სამსახურის ერთ-ერთი ფილიალი. აღნიშნული მონაცემები აშკარად შეიცავდა ინფორმაციას მოსარჩელის სავარაუდო სექსუალურ ცხოვრებასა და ორიენტაციაზე. ამასთანავე, ნებისმიერი მონაცემი, რომელიც შეგროვდა 2004 წელს, უნდა შენახულიყო 2278 წლამდე. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო ჩარევა მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლებაში.

4 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-219226>.



ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა, ჰქონდა თუ არა ჩარევას სამართლებრივი საფუძველი. ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა გამონაკლისს პერსონალურ მონაცემთა შეგროვების აკრძალვიდან, სამედიცინო მიზნების გამო. ეს აკრძალვა ვრცელდებოდა ჯანმრთელობისა და სექსუალური ცხოვრების მონაცემებზეც – მათი შეგროვება და დამუშავება ნებადართული იყო, თუ ამას მოითხოვდა „სამედიცინო მომსახურების მართვა“ და ეროვნულ ორგანოებს ჰქონდათ ასეთი მონაცემთა ბაზის შექმნის დისკრეციული უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, ჩარევა იყო კანონის შესაბამისი.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას. როგორც საფრანგეთში, ისე სხვა ქვეყნებში, ადამიანთა დიდი რაოდენობა აივ-ითა და ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირდებოდა სისხლის გადასხმისას, ვიდრე განვითარდებოდა და ხელმისაწვდომი გახდებოდა პათოგენების დადგენის, დეაქტივაციისა და აღმოფხვრის ტექნიკა.

რაც შეეხება ჩარევის აუცილებლობას, ევროპული სასამართლოს აზრით, პერსონალურ მონაცემთა შეგროვება და შენახვა სისხლის დონორთა შესარჩევად (განსაკუთრებით, დონაციის გამორიცხვის საფუძველთა შესახებ) ხელს უწყობს სისხლის უსაფრთხოების დაცვას. მიუხედავად ამისა, ვინაიდან კონკრეტული პერსონალური ინფორმაცია (მითითება მოსარჩელის სექსუალური ორიენტაციასა და ცხოვრებაზე) მიეკუთვნება მგრძობიარე მონაცემებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის იყოს ზუსტი, შესაბამისი და დამუშავების მიზნის თანაზომიერი, ასევე, მუდმივად განახლდეს და არ ინახებოდეს საჭიროზე მეტხანს. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემები მოსარჩელის პირადი ცხოვრების შესახებ შეაგროვეს და შეინახეს მისი გამომხატული თანხმობის გარეშე. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, ეს საკითხი განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ პერსონალურ მონაცემთა სიზუსტე უნდა შეფასდეს იმ მიზნის გათვალისწინებით, რომლისთვისაც ისინი შეგროვდა. შესაბამისად, უნდა არსებობდეს ზუსტი და უტყუარი ფაქტობრივი საფუძველი. მიუხედავად ამისა, კონკრეტულ გარემოებებში მოსარჩელე უკუჩვენებით გათვალისწინებულ კაცებს მიაკუთვნეს მხოლოდ იმიტომ, რომ დონაციამდე ჩატარებული სამედიცინო გასაუბრებისას პასუხი არ გასცა კითხვებს თავისი სექსუალური ცხოვრების შესახებ. შედეგად, პირი გამორიცხეს დონორობიდან, ხოლო მონაცემი აღრიცხეს და შეინახეს, მაშინ, როცა ასეთი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მხოლოდ ვარაუდს და არ ეფუძნებოდა დამტკიცებულ ფაქტებს. ამასთანავე, მონაცემები არ განახლებულა, მოსარჩელის პროტესტისა და საჩივრის მიუხედავად.

გარდა ამისა, ევროპული სასამართლოს აზრით, დაუშვებელია, სექსუალური ცხოვრებისა და ორიენტაციის შესახებ მონაცემები გროვდებოდეს მხოლოდ ჰიპოთეზის ან ვარაუდის საფუძველზე. ამასთანავე, სისხლის უსაფრთხოების მიზნის მისაღწევად, საკმარისი იქნებოდა იმ პირთა აღნუსხვა, რომლებიც არ სცემდნენ პასუხს კითხვას საკუთარი სექსუალობის შესახებ, რადგან მხოლოდ ეს ფაქტორიც საკმარისი იქნებოდა, რომ გამართლებულიყო უარი სისხლის დონაციაზე.

ამასთან, მოპასუხე სახელმწიფოს არ უჩვენებია, რომ ამ მონაცემთა შენახვა ისე წესრიგდებოდა, რომ არ აჭარბებდა მონაცემთა შეგროვების მიზნისთვის საჭირო დროს. 2004 წელს, ამ მონაცემთა შეგროვებისას, კომპიუტერული ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებდა საფრანგეთის სისხლის დონაციის სამსახური, მონაცემებს ავტომატურად ინახავდა 2278 წლამდე; შესაბამისად, უშვებდა მათი განმეორებითი გამოყენების შესაძლებლობას. 2016 წლისთვის, ანუ მონაცემთა შეგროვებიდან 12 წლის შემდეგაც, მონაცემი, რომელიც გამოირიცხავდა მოსარჩელის სისხლის დონორობას, ჯერ კიდევ ინახებოდა. ევროპული სასამართლოს პოზიციით, მონაცემთა შენახვის ვადა უნდა რეგულირდებოდეს მათი კატეგორიების მიხედვით და გადაიხედოს, თუკი შეგროვების მიზანი შეიცვლება. სასამართლომ განმარტა, რომ, დონაციის სამსახურის პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც სადავო მონაცემებს გადაჭარბებული ვადით ინახავდა, შესაძლებელი გახდა, აღნიშნული მონაცემები მოსარჩელის წინააღმდეგ განმეორებით გამოყენებულიყო, რის შედეგადაც იგი მომავალშიც ავტომატურად გამოირიცხებოდა სისხლის დონორობიდან.

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.



# GPS მონაცემთა შეგროვება

**3 ფლორინდო დე ალმეიდა ვასკონსელოს გრამაქსო პორტუგალიის წინააღმდეგ/ Florindo de Almeida Vasconcelos Gramaxo v. Portugal (13 დეკემბერი, 2022 წელი)**

## კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე ფლორინდო დე ალმეიდა ვასკონსელოს გრამაქსო პორტუგალიის წინააღმდეგ<sup>5</sup> ეხება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას კომპანიის კუთვნილი მანქანის GPS-ით დაანგარიშებული კილომეტრაჟის საფუძველზე.

**ღ საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 1994 წელს მოსარჩელემ მუშაობა დაიწყო ფარმაცევტულ კომპანიაში, სამედიცინო წარმომადგენლად. 2002 წელს კომპანიამ დაწესა თანამშრომელთა სამსახურებრივი გადაადგილების ხარჯების ანაზღაურების პროცედურა. მათ კომპიუტერული აპლიკაციის (CRM) გამოყენებით უნდა აღერიცხათ თავიანთი საქმიანობა დღის, კვირისა და თვის განმავლობაში, ასევე, ვიზიტები, გაღებული ხარჯები და დაგეგმილი ვიზიტების ხარჯები. 2011 წელს კომპანიამ ავტომობილებში, მათ შორის, მოსარჩელის მანქანაშიც, დამონტაჟა GPS სისტემა, რის შესახებაც ყველა თანამშრომელი გააფრთხილა. მათ ეთხოვათ, რომ მონიტორინგი გაეწიათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას GPS სისტემით დაანგარიშებულ კილომეტრაჟსა და კომპიუტერული აპლიკაციის მონაცემებზე. GPS-ის დამონტაჟებიდან მალევე, მოსარჩელემ მონაცემთა დაცვის ეროვნულ კომისიაში (CNPD) შეიტანა სარჩელი გეოლოკაციის სისტემის მეშვეობით მონაცემთა შეგროვებაზე, თუმცა კომისიამ არ დაადგინა მისი უფლებების დარღვევა.

2014 წელს მოსარჩელე გაათავისუფლეს სამსახურიდან, კომპიუტერული აპლიკაციისა და GPS სისტემის მონაცემებს შორის აღმოჩენილი განსხვავების გამო. კერძოდ, მოსარჩელე ავტომობილს პირადი მიზნებით იყენებდა შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში, ამასთანავე, ის არ მუშაობდა დღიურად დადგენილი რვა საათის განმავლობაში.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გეოლოკაციის სისტემა ავტომობილის მოძრაობის დადგენის საშუალებას იძლეოდა რეალურ დროში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო იდენტიფიცირება, თუ სად იმყოფებოდა პირი კონკრეტულ დროს. სისტემის მეშვეობით ასევე შეიძლებოდა დადგენა, თუ რა მანძილი გაიარა პირმა, სად გაჩერდა, რა სიჩქარით გადაადგილდებოდა, რა დროს მუშაობდა და რა დროს - არა. ამასთან, თანამშრომლებს არ ჰქონდათ სისტემის დეაქტივაციის უფლება. შესაბამისად, გეოლოკაციის მონაცემები მოიპოვებოდა რო-

5 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-221474>.

გორც სამუშაო, ისე არასამუშაო საათებში. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს მონაცემები მიეკუთვნებოდა პერსონალურ მონაცემებს და მათი დამუშავება იყო ჩარევა მოსარჩელის პირად ცხოვრებაში.

სასამართლოს განმარტებით, საქმის გარემოებათა მიხედვით, იმ დროისთვის არსებული ნორმატიული ჩარჩო - პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტი - ითვალისწინებდა არაერთ გარანტიას, რომელთა დარღვევისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხებდველო ორგანოს ჰქონდა შესაბამის ღონისძიებათა გატარების უფლებამოსილება. კანონით მინიჭებული უფლების მიუხედავად, მოსარჩელემ ეროვნულ სასამართლოებში არ გაა-საჩივრა მონაცემთა დაცვის ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება.

შესაბამისად, ევროპულ სასამართლომ პასუხი უნდა გაეცა შემდეგ მთავარ კითხვაზე: გაითვალისწინეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა მხარეთა კონკურენტული ინტერესები სამართალწარმოებისას, რომელიც შეეხებოდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას. ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს, ერთი მხრივ, მოსარჩელის პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესზე და, მეორე მხრივ, დამქირავებლის ინტერესზე, მონიტორინგი გაეწია სამსახურებრივ ავტომობილთა გამოყენების ხარ-ჯებზე. ამ თვალსაზრისით, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ მოსარჩელე წინასწარ იყო ინფორმირებული GPS-ის დამონტაჟების შესახებ; ამას-თანავე, მან ხელი მოაწერა დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც აპარატი მონიტორინგს გაუწევდა თანამშრომელთა მიერ გავლილ კილომეტრაჟს სამსახურებრივი მოვალეო-ბის შესრულებისას და, საჭიროების შემთხვევაში, პირადი მიზნით მგზავრობის დროსაც. ხელმოწერილ დოკუმენტებში ასევე მითითებული იყო, რომ პირის მიმართ შეიძლება დაწყებულიყო დისციპლინური სამართალწარმოება, თუკი გამოვლინდებოდა შეუსაბამობა GPS-ით აღრიცხულ კილომეტრაჟსა და მის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

სასამართლომ განმარტებით, მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლეს შრომის კო-დექსით გათვალისწინებული ორი საფუძვლით: (1) შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდ-ნობით, კომპანიამ მოსარჩელე დააჯარიმა იმის გამო, რომ მან გაზარდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გავლილი მანძილი არასამსახურებრივი მიზნით გავლილი დისტანციის დასამალად და არ დაიცვა დადგენილი სამუშაო საათები; (2) მოსარჩელე დაჯარიმდა შაბათ-კვირას GPS-ის გათიშვისთვის.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კომპანიის არგუმენტი მოსარჩელის მიერ სამუშაო საათების დაუცველობასთან დაკავშირებით. მან მხედველობაში მიიღო მონა-ცემთა დაცვის კომისიის ახალი გადაწყვეტილება, რომელიც კომპანიას უკრძალავდა გეოლოკაციის მოწყობილობებით სარგებლობას საკუთარ ავტომანქანებში და გაიზიარა, რომ არ შეიძლებოდა მათი გამოყენება თანამშრომელთა მუშაობის ხარისხსა ან სამუშაო საათებზე მონიტორინგისთვის. ამ გადაწყვეტილების რეტროსპექტიული გამოყენებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გეოლოკაციის მონაცემები, რომლებიც კომპანიამ მიიღო თანამშრომელთა მუშაობაზე მონიტორინგისთვის, შედიოდა შრომის კოდექსით აკრძალული დისტანციური მეთვალყურეობის კატეგორიაში და იყო უკანონო. მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გეოლოკაციის სისტემის ის მონაცემები, რომლებიც გამოიყენებოდა გავლილი მანძილის აღსარიცხავად, არ შედი-ოდა დისტანციური მეთვალყურეობის ფარგლებში, არ მიიჩნეოდა სამსახურებრივი მოვა-ლეობის შესრულების მექანიზმად და, შესაბამისად, არ იყო უკანონო.

ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ, იმსჯელა მხოლოდ გავლილ მანძილთან დაკავშირებულ მონაცემებზე, მოსარჩელის პირად ცხოვრებაში ჩარევის მასშტაბი შეამცირა იმ მოცულობამდე, რომელიც მკაცრად აუცილებელი იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა იყო მინიმალური და მას განაპირობებდა კომპანიის ხარჯებზე მონიტორინგის მიზანი. დამატებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია უკიდურესად შეზღუდულად ცირკულირებდა: კერძოდ, კომპანიის მიერ მოსარჩელისთვის მიწოდებული დოკუმენტაცია ადასტურებდა, რომ ამ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებოდათ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებიც იძლეოდნენ დავალებას ვიზიტების შესახებ და აკონტროლებდნენ ხარჯებს.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ არ გაასაჩივრა CNPD-ის გადაწყვეტილება კომპანიის ავტომანქანაში GPS სისტემის მონტაჟთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო არ გასცდენია თავისუფალი შეფასების ფარგლებს. შესაბამისად, არ შეიძლება მტკიცება, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს მოსარჩელის პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, საქმეზე არ დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

## **4** ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ (N 2)/Volodina v. Russia (N 2) (14 სექტემბერი, 2021 წელი)

### **კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)**

საქმე ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ (N2)<sup>6</sup> ეხება ხელისუფლების უუნარობას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი დაეცვა კიბერძალადობის მრავალჯერადი აქტისგან და გაეტარებინა შესაფერისი ღონისძიებები დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

**ა** **საქმის ფაქტობრივი გარემოვაზა:** საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყოფილი პარტნიორი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა მოსარჩელეზე, ხელისუფლების ორგანოებმა კი ვერ შეასრულეს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება – პირის დაცვა ასეთი ძალადობისაგან. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის კანონმდებლობას ჰქონდა რამდენიმე ხარვეზი და სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, ეფექტიანად გამოეყენებინა სისტემა, რომელიც პასუხისმგებლობას დააკისრებდა პირს ოჯახში ძალადობისთვის.

ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ, სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ შეძლო მისი დაცვა ყოფილი პარტნიორის მრავალჯერადი კიბერძალადობისგან. ეს მოიცავდა ინტიმური ფოტოების გამოქვეყნებას მოსარჩელის თანხმობის გარეშე და იმპერსონალიზაცია (თავის გასაღება სხვა ადამიანად, ამ შემთხვევაში - მოსარჩელედ), რისთვისაც შექმნა სოციალური მედიის ყალბი პროფილები და მოსარჩელეს უთვალთვალებდა GPS მოწყობილობით. მოსარჩელე ასევე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ უკანონო აქტების ეფექტიანად გამოძიება.

<sup>6</sup> იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-211794>.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ყოფილი პარტნიორის მოქმედება – ინტიმური ფოტოების გავრცელება, ყალბი პროფილების შექმნა და GPS მოწყობილობით თვალთვალი – რომელიც მოსარჩელეში იწვევდა შიშს, ტანჯვასა და დაუცველობის გრძნობას, იყო ჩარევა მის პირად ცხოვრებაში. ამიტომ, ევროპულ სასამართლოს უნდა ეპასუხა შემდეგ მთავარ კითხვაზე: შეასრულა თუ არა ხელისუფლებამ დაკისრებული ვალდებულება მას შემდეგ, რაც შეიტყო მოსარჩელის უფლებებში ჩარევის შესახებ: კერძოდ, გაატარა თუ არა საკმარისი ღონისძიებები, რომ ბოლო მოეღო ამ ჩარევისთვის და თავიდან აეცილებინა მისი გამეორება.

ი) *ჰქონდა თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მოსარჩელეს დაიცავდა კიბერძალადობისგან:* საქმის გარემოებათა შესწავლით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის მოქმედი კანონმდებლობა (როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის) სათანადოდ იყო აღჭურვილი კიბერდანაშაულის გამოსაძიებლად. სახელმწიფომ აღიარა, რომ შესაბამისი აქტები ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით და, მათი სიმძიმეიდან გამომდინარე, საჭიროებს სისხლისსამართლებრივ რეაგირებას. ამიტომ, აუცილებელი იყო დამნაშავის დადგენა და სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრება.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის შეეთავაზებინა ადეკვატური დაცვის ღონისძიებები და თავიდან აეცილებინა მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის სერიოზული დარღვევა. მართალია, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლს შეუძლია, შესაბამის ორგანოს მიმართოს „შემაკავებელი“ ან „დაცვითი“ ორდერის მყისიერად გამოყენებისთვის და აღკვეთოს ოჯახში ძალადობის განმეორებითი შემთხვევა, თუმცა რუსეთი განეკუთვნებოდა იმ ქვეყნების მცირე ჯგუფს, რომელთა ეროვნული კანონმდებლობაც ამ ღონისძიებას არ ითვალისწინებდა. მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია სამართლებრივი დაცვის რაიმე ეფექტიანი საშუალება, რომლითაც მოსარჩელეს დაიცავდა კიბერძალადობის განმეორებითი აქტებისგან.

ბ) *სათანადოდ გამოიძია თუ არა რუსეთმა საქმე:* როგორც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, გამოიძიება კიბერძალადობის საქმეზე დაიწყო დავიანებით, კერძოდ, ორი წლის შემდეგ იმ დღიდან, როცა მოსარჩელემ პოლიციას შეატყობინა, რომ მისი სახელით შეიქმნა სოციალური მედიის ყალბი პროფილები. მანამდე პოლიციამ სცადა, დაჩქარებული წესით დაესრულებინა საქმე ფორმალური საფუძვლით, ნაცვლად იმისა, რომ სერიოზულად და ჭეშმარიტად ეცადა, დაედგინა სოციალურ მედიაში თავის მოსარჩელედ გასაღების გარემოებები. ევროპული სასამართლოსთვის დამაჯერებელი არ აღმოჩნდა მოპასუხე სახელმწიფოს განმარტება, რომ მოსარჩელის ყოფილი პარტნიორის დაკითხვა დაავიანა მისი მიუწვდომლობის გამო. ყველა შემთხვევაში, პოლიციას უნდა ემოქმედა მყისიერად და კეთილსინდისიერად, რათა შეევროვებინა სავარაუდო დანაშაულის მტკიცებულებები, როგორცაა ტელეფონის ნომრები, და დაედგინა ინტერნეტმისამართები, რომლებიც გამოიყენებოდა ყალბი პროფილების შესაქმნელად და მოსარჩელის ფოტოების ასატვირთად. მიუხედავად ამისა, ეს არ გაკეთებულა ორი წლის განმავლობაში, რის გამოც დაიკარგა დრო და საფრთხე შეექმნა ხელისუფლების უნარს, შეევროვებინა კიბერძალადობის მტკიცებულებები.

რაც შეეხება 2018 წელს დაწყებულ გამოძიებას, ის არც სწრაფი იყო და არც საკმარისად საფუძვლიანი, როგორც სოციალური მედიის ყალბ პროფილებთან, ისე სხვა დანაშაულებთან მიმართებით, რომელთა გამოც მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს. „წინასწარ საგამოძიებო მოკვლევასთან“ დაკავშირებით სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ მას არ მოჰყვა სისხლის სამართლის გამოძიება და პოლიციამ ამ ღონისძიების გარეშე დაასკვნა, რომ დანაშაული არ ჩადენილა.

ყალბ პროფილებზე გამოძიების დაგვიანების გამო, სისხლისსამართლებრივ დევნას ამოეწურა ხანდაზმულობის ვადა. შედეგად, მოსარჩელის ყოფილი პარტნიორის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმე შეწყდა, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი იყო მისი მონაწილეობა ამ დანაშაულში. ხელისუფლება, რომელმაც სათანადო სისწრაფით ვერ წარმართა სამართალწარმოება, პასუხისმგებელია იმაზე, რომ პასუხისმგებლობა ვერ დააკისრა დამნაშავეს კიბერძალადობისთვის. ასეთმა დაუსჯელობამ წარმოშვა ეჭვი, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა უნარი, გაეტარებინა შემაკავებელი ეფექტის მქონე ღონისძიებები და დაეცვა ქალები კიბერძალადობისგან.

მართალია, მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო სახელმწიფოს უზრუნველყოფდა შესაბამისი ბერკეტებით კიბერძალადობის სისხლისსამართლებრივად დევნისთვის, თუმცა გზებმა, რომლებითაც სახელმწიფომ წარმართა საქმე (განსაკუთრებით, სათანადო გამოძიების ჩატარების სურვილის არქონამ, გამოძიების გაჭიანურებამ, რასაც მოჰყვა დამნაშავეს დაუსჯელობა), ცხადყო, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, გამომდინარე მე-8 მუხლიდან. ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.



## მონაცემთა შეგროვება/გამჟღავნება ჯანმრთელობის შესახებ

### 5 Y.G. რუსეთის წინააღმდეგ/Y.G. v. Russia (30 აგვისტო, 2022 წელი)

#### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე Y.G. რუსეთის წინააღმდეგ<sup>7</sup> ეხება ხელისუფლების უნარობას, სათანადოდ დაეცვა მოსარჩელის ჯანმრთელობის მონაცემთა კონფიდენციალურობა და გამოეძიებინა მათი გამჟღავნების ფაქტი.

**მ** საქმის ფაქტობრივი გარემოებაები: 2011 წელს მოსარჩელეს, რომელიც აივ ინფექციითა და ჰეპატიტით იყო დაავადებული, ახლობელმა შეატყობინა, რომ მოსკოვის ერთ-ერთ ბაზარში შეიძინა მონაცემთა ბაზა, რომლის მეშვეობითაც შეიტყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად, მოსარჩელემ მოსკოვის ამავე ბაზარში შეიძინა კომპაქტდისკი, მონაცემთა ბაზით, რომელზეც მითითებული იყო რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი. ბაზა შეიცავდა ამ ქალაქსა და რეგიონში მცხოვრები 400 ათასზე მეტი ადამიანის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, ინფორმაციას აივ ინფექციით, შიდსითა და ჰეპატიტით დაავადებული პირების შესახებ. მასში წარმოდგენილი იყო მოსარჩელის პერსონალური მონაცემებიც, როგორცაა სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სქესი, ეროვნება, მისამართი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე, ისეთი სპეციფიკური ცნობები, როგორცაა ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა. მოსარჩელემ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტში შეიტანა სარჩელი გამოძიების დაწყების მოთხოვნით, თუმცა უწყებამ უარი განაცხადა წინასწარ საგამოძიებო მოკვლევაზე და არ გამოიძია მონაცემთა ბაზის სავარაუდო გადაცემა/გაყიდვა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან, ასევე, მისი შეუზღუდავად გასაღება ბაზარზე. არ დაკმაყოფილდა ის საჩივარიც, რომელიც მოსარჩელემ ეროვნულ სასამართლოებში წარადგინა საგამოძიებო კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

**მ** ევროპული სასამართლოს შეფასება: ევროპული სასამართლოს განმარტებით, პერსონალური მონაცემების, განსაკუთრებით, სამედიცინო მონაცემების დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის. ჯანმრთელობის მონაცემთა კონფიდენციალურობა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპია,

7 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-218920>.



რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს ნდობის შენარჩუნებაში სამედიცინო პროფესიისა და, ზოგადად, ჯანდაცვის სერვისების მიმართ. შიდა კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს შესაბამის გარანტიებს, რათა თავიდან აიცილოს ჯანმრთელობის მონაცემთა გამჟღავნება. ასეთი გარანტიების საჭიროება იზრდება, როდესაც საქმე ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას ავტომატური დამუშავებისას. ამასთან, მონაცემთა გამჟღავნებამ პირის აივ ინფექციის შესახებ შეიძლება მკვეთრად იმოქმედოს მის სოციალურ მდგომარეობასა და დასაქმებაზე, ასევე, დააბრკოლოს სათანადო მკურნალობის მიღება. შესაბამისად, სახელმწიფოებს მეტი არგუმენტაცია სჭირდებათ დასადასტურებლად, რომ ჩარევა პროპორციული იყო და ამგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესებს გადაწონიდა სხვა ლეგიტიმური მიზანი.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, ვინაიდან მოსარჩელის მიერ შეძენილი მონაცემთა ბაზა შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, საქმის გარემოებები ექცეოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების სფეროში. ამას გარდა, სასამართლოს აზრით, ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველ მონაცემთა შენახვა ასევე პირად ცხოვრებაში ჩარევად ითვლება კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით.

უდავოა, რომ მხოლოდ ხელისუფლებას ჰქონდა წვდომა მონაცემთა ბაზაში ასახული ინფორმაციის დიდ ნაწილზე, როგორცაა: სისხლისსამართლებრივი მონაცემები; გატარებული პრევენციული ღონისძიებები; ის, რომ წარსულში, მოსარჩელის მიმართ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, პასუხისმგებელმა გამომძიებელმა ინფექციურ დაავადებათა საავადმყოფოდან გამოითხოვა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მართალია, მხარეებმა სადავო გახადეს საკითხი, აგროვებდა თუ არა ამ მონაცემებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუმცა ფაქტს ჰქონდა მხოლოდ ერთი ახსნა – სახელმწიფომ, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ამ მონაცემებზე, ვერ აიცილა თავიდან მათი გამჟღავნება. შედეგად, ინფორმაცია გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი, რაც წარმოშობს მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. ამ საქმეში პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის გარემოებებს არასოდეს მოჰყვება ნათელი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ ვერ დაიცვა მოსარჩელის პერსონალური მონაცემების, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რაც არღვევს ეროვნულ კანონმდებლობასაც.

ამასთან, ხელისუფლებამ არ გამოიძია საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების მყარი მტკიცებულებები, ასევე, ნორმატიული ბაზა, რომელიც პირადი ცხოვრების დარღვევისთვის ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ დევნას, და არ არსებობდა გამოძიების ხელშემშლელი მიზეზები.

საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ ვერ შეძლო პოზიტიური ვალდებულების შესრულება – მოსარჩელის პირადი ცხოვრების სათანადოდ დაცვა. ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

**კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)**

საქმე P.T. მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ<sup>8</sup> ეხება მგრძობიარე სამედიცინო მონაცემთა არასაჭირო გამჟღავნებას ცნობით, რომელიც მოსარჩელეს უნდა წარედგინა სხვადასხვა სიტუაციაში.

**❏ საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** სხვადასხვა საბუთის, მათ შორის, პირადობისა და მართვის მოწმობების ასაღებად, პირს უნდა წარედგინა ამონაწერი სამხედრო წიგნაკიდან, ან ცნობა სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომელშიც, მთავრობის 2005 წლის გადაწყვეტილებით, უნდა ასახულიყო ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების სამედიცინო მიზეზთან ერთად. 2011 წელს მოსარჩელემ, პირადობის მოწმობის ასაღებად (რაც, მოლდოვის კანონმდებლობით, სავალდებულოა), წარადგინა ცნობა სამხედრო სამსახურიდან სამედიცინო საფუძვლით გათავისუფლებაზე, რომელიც ასევე შეიცავდა ინფორმაციას მისი დაავადების (აივ ინფექცია) შესახებ.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს პოზიციით, სამედიცინო მონაცემთა შეტანა ცნობაში, რომელიც მოსარჩელეს უნდა წარედგინა მესამე მხარეებისათვის, უნდა ჩაითვალოს ჩარევად კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების უფლებაში. ჩარევა მოხდა იმ დროისთვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, არც მოპასუხე სახელმწიფომ და არც ხელისუფლების ორგანოებმა არ მიუთითეს, რა ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა მოსარჩელის უფლებებში ჩარევას. დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია ინფორმაცია, თუ რამ განაპირობა 2005 წლის გადაწყვეტილების მიღება და რა მიზანი ამოძრავებდა სახელმწიფოს. ასეთ პირობებში, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ფუნქციებში არ შედიოდა ლეგიტიმური მიზნის განხილვა და განსაზღვრა სახელმწიფოს ნაცვლად, თუმცა, მეორე მხრივ, მიუთითა, რომ მისთვის რთული გასაგები იყო, თუ რის მიღწევას ცდილობდა სახელმწიფო სხვადასხვა სიტუაციაში, როდესაც მოსარჩელის ავადმყოფობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას უმჟღავნებდა მესამე მხარეს და ეს არ მიემართებოდა ჯანმრთელობის დაცვას, მოსარჩელის ავადმყოფობიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასამართლოს პოზიციით, ჩარევა არ ემსახურებოდა კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრულ რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს.

ევროპულმა სასამართლომ ეს საკმარისად მიიჩნია, რომ დაედგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. თუმცა, ვინაიდან ამ საქმეში ჩარევა წამოჭრის თანაზომიერების საკითხს ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, ეს ასპექტიც განეხილა. მისი აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში პერსონალური სამედიცინო მონაცემი არ

8 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-202520>.

იყო დაცული არასაჭირო გამჟღავნებისგან: კერძოდ, შესამე მხარეს საშუალება ეძლეოდა, შეეტყო, თუ რა ტიპის ავადმყოფობამ განაპირობა პირის გათავისუფლება სამხედრო სამსახურიდან, მაშინაც კი, როცა არ ჰქონდა ამ ინფორმაციაზე წვდომის ინტერესი.

ამასთან, მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე დასაბუთება, თუ რა საჭირო იყო ასეთი მგრძობიარე სამედიცინო დეტალების გათვალისწინება ცნობაში, რომელიც შეიძლება მოეთხოვათ სხვადასხვა სიტუაციაში და რომელშიც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა მოსარჩელის სამედიცინო მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, ჩარევა მოსარჩელის უფლებაში იყო არაპროპორციული, რის გამოც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

## 7 ფრანცუ რუმინეთის წინააღმდეგ/*Frâncu v. Romania* (13 ოქტომბერი, 2020 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე *ფრანცუ რუმინეთის წინააღმდეგ*<sup>9</sup> ეხება სასამართლოს უარს, დახურულ სასამართლო სხდომაზე განეხილა მოსარჩელის მოთხოვნა ჯანმრთელობის საფუძვლით გათავისუფლების შესახებ, მის წინააღმდეგ მიმდინარე კორუფციის საქმეში.

**❏ საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2013 წელს, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელე (ქალაქის მერი) მოთავსდა წინასწარ პატიმრობაში, რადგან მიმდინარეობდა გამოძიება მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, სატენდერო კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ მისი საჩივარი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ განხილულიყო დახურულ სხდომაზე, რასაც ასაბუთებდა შემდეგნაირად: ა) საზოგადოებისა და მედიის სხდომაზე დასწრება საზიანო იქნებოდა მისი უდანაშაულობის პრეზუმფციისათვის; და ბ) თუ გათავისუფლების შესახებ საჩივარი განიხილებოდა საჯარო სხდომაზე, გამჟღავნდებოდა ინფორმაცია მისი სამედიცინო მდგომარეობის შესახებ, რაც დაარღვევდა მისი პირადი ცხოვრების უფლებას.

სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა მოსარჩელის თხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან ამ საქმეზე არ ვრცელდებოდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესი სასამართლო სხდომის დახურულად გამოცხადებისათვის. საჯარო სხდომაზე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის პატიმრობაში დატოვების შესახებ და მიუთითა, რომ ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებიც მოსარჩელემ მოიშველია, ხელი არ შეუშლია მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. ამ სხდომის შემდეგ პრესაში რამდენიმე ირონიული სტატია გამოქვეყნდა მოსარჩელეზე.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს აზრით, ის, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ დაიცვა მოსარჩელის სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, შეიძლება ჩაითვალოს ჩარევად მოსარჩელის პირად ცხოვრებაში. ჩარევა

9 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-205055>.

ეყრდნობოდა სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, იმ დროისთვის მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმას სხდომების საჯაროობის შესახებ. ამავდროულად, მოსარჩელისთვის უარის თქმა, რომ მისი საქმე განხილულიყო დახურულ სასამართლო სხდომაზე, მიზნად ისახავდა „სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების“ დაცვას, კერძოდ, სასამართლო პროცესის გამჭვირვალობასა და საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებას მართლმსაჯულების მიმართ.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, ამ სისხლის სამართალწარმოებისას იქმნება კონფლიქტი, რომლის ერთ მხარესაც არის საზოგადოების ინტერესი, სასამართლო პროცესი იყოს გამჭვირვალე, ხოლო მეორე მხარეს - ბრალდებულის ინტერესი, არ გავრცელდეს ინფორმაცია მისი სამედიცინო მდგომარეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა ბალანსი ამ ორ ინტერესს შორის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ, საქმე დახურულ სხდომაზე განიხილონ (და, შესაბამისად, მხარეებს შეუზღუდონ წვდომა საქმის მასალებზე), თუ ის აზიანებს პირის პირად ცხოვრებას. ზუსტად ამას ამტკიცებდა მოსარჩელეც. ევროპული სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მხოლოდ იმის ხსენება (რაიმე დასაბუთების გარეშე), რომ საქმე არ ექცევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ „არცერთ სიტუაციაში“, არ არის სათანადო და საკმარისი მიზეზი გადაწყვეტილების მისაღებად.

რაც შეეხება საზოგადოებრივ ინტერესს არჩეული თანამდებობის პირის სავარაუდო კორუფციის საქმისადმი, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მაშინაც კი, როცა ბრალდებულის ცნობადობა შეიძლება ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი იყოს იმ თხოვნის თანაზომიერების შეფასებისას, რომელიც ეხება მისი საქმის დახურულ სხდომაზე განხილვას, ნათელია, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმეზე ინდივიდუალურად არ შეუსწავლია ეს საკითხი. დამატებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ სხდომის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მოსარჩელის წინასწარი პატიმრობის გაგრძელებაზე და არა ქრთამის აღების ბრალდების არსებით ნაწილზე. კონფიდენციალური სამედიცინო ინფორმაცია, რომელიც სხდომის ფარგლებში საჯარო გახდა, მოსარჩელემ წარმოადგინა მხოლოდ გათავისუფლების მოთხოვნის გასამყარებლად და არ უკავშირდებოდა ბრალდებას.

ამ ელემენტებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნდამენტური როლის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.



# ნერწყვის ნიმუშების მოპოვება

**8** დრაგან პეტროვიჩი სერბეთის წინააღმდეგ/*Dragan Petrović v. Serbia* (14 აპრილი, 2020 წელი)

## კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე დრაგან პეტროვიჩი სერბეთის წინააღმდეგ<sup>10</sup> ეხება ნერწყვის ნიმუშების აღებას გამოძიების მიზნებისთვის, რაც, ეროვნული კანონმდებლობით, არ იყო საკმარისად განჭვრეტადი და არ ითვალისწინებდა შესაფერის მექანიზმს ინდივიდის დასაცავად.

**📄 საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში, რომელიც შეეხებოდა პირის გარდაცვალებას ცემის შედეგად, სერბეთის პოლიციამ დაიწყო გამოძიება. მოსამართლის გადაწყვეტილებით, გამოძიების ფარგლებში პოლიციას უფლება მიეცა, აეღო მოსარჩელის ნერწყვის ან, ალტერნატიულად, სისხლის ნიმუში, დნმ-ის ანალიზის გასაკეთებლად (წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში – სამედიცინო პროფესიონალთა დახმარებით). მოსარჩელე დათანხმდა ნერწყვის ნიმუშის ნებაყოფლობით აღებას.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს აზრით, მოსარჩელისგან დნმ-ის ნიმუშის აღება უნდა ჩაითვალოს პირად ცხოვრებაში ჩარევად. ის, რომ მოსარჩელე თავად დათანხმდა ნერწყვის ნიმუშის აღებას, არ ჩაითვალა გადამწყვეტად, რადგან თანხმობა გაიცა მუქარის შედეგად: წინააღმდეგ შემთხვევაში, ნერწყვის ან სისხლის ნიმუშს აულებდნენ ძალის გამოყენებით.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ჩარევა არ იყო კანონის შესაბამისი, რადგან საკითხის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა არ იყო განჭვრეტადი მოსარჩელისთვის. კერძოდ, ბრძანება, რომელიც პოლიციას ანიჭებდა ნერწყვის ნიმუშის აღების უფლებამოსილებას, არ მიუთითებდა რაიმე სამართლებრივ ნორმაზე, იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი ითვალისწინებდა მხოლოდ სისხლის ნიმუშის აღებას და „სხვა სამედიცინო პროცედურების“ ჩატარების შესაძლებლობას, თუკი ეს აუცილებელი იქნებოდა გამოძიებისთვის „მნიშვნელოვანი“ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. შესაბამისად, საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა დნმ-ის ნიმუშის აღებას. გარდა ამისა, ნიმუშის აღებისას შესაბამის სახელმწიფო ორგანოს არ გაუკეთებია სათანადო ჩანაწერი ჩატარებულ პროცედურაზე, როგორც ამას მოითხოვდა ეროვნული კანონმდებლობა.

10 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-202345>.

ამასთანავე, იმ დროისათვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავდა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებსაც ითვალისწინებს 2011 წელს მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. კერძოდ, ახალი კოდექსი: ა) მიუთითებდა, რომ დნმ-ის ნიმუში უნდა აიღონ ლოყის შიდა მხრიდან; ბ) ადგენდა, რომ შესაბამისი პროცედურა უნდა ჩაატაროს ექსპერტმა; და გ) ზღუდავდა იმ პირთა წრეს, რომლებისგანაც შეიძლებოდა ასეთი ნიმუშის აღება მათი თანხმობის გარეშე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ამ უკანასკნელ საკითხზე: იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის ნიმუშის აღება ან „სხვა სამედიცინო პროცედურის“ ჩატარება თანხმობის გარეშე დაიშვებოდა ნებისმიერი პირის მიმართ, თუ ეს საჭიროდ მიიჩნეოდა სისხლის სამართლის გამოძიებისთვის „მნიშვნელოვანი“ ფაქტების დასადგენად. ასეთი ჩანაწერი შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს პროცედურის ჩატარების უფლებას ანიჭებდა ადამიანთა დიდი ჯგუფის მიმართ.

ამისგან განსხვავებით, ახალი კოდექსი ადგენდა, რომ ლოყის შიდა მხრიდან ნიმუში შეიძლება აეღოთ მხოლოდ ეჭვმიტანილისგან ან - „სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებული ეჭვის აღმოსაფხვრელად“ - მსხვერპლისა თუ სხვა პირისგან, რომელიც იმყოფებოდა დანაშაულის ადგილას. ამ გარემოებებში, ევროპულმა სასამართლომ გონივრულად მიიჩნია, რომ უფრო დეტალური დებულებების დაწესებით, მოპასუხე სახელმწიფომ თავად დაადასტურა ამ საკითხის მკაცრი რეგულირების საჭიროება. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა არ იყო კანონის შესაბამისი, რის შედეგადაც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.



## ვიდეოთვალთვალი დასაქმებლის მხრიდან

**9** *ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ/López Ribalda and Others v. Spain, დიდი პალატა (17 ოქტომბერი, 2019 წელი)*

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე *ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>11</sup> ეხება დამქირავებლის საიდუმლო ვიდეოთვალთვალს სუპერმარკეტის მოლარეებსა და გამყიდველებზე.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელები მოლარეებად და გამყიდველებად მუშაობდნენ სუპერმარკეტში, რომელსაც ჰქონდა დანაკარგები. მიზეზის დასადგენად, დამქირავებელმა გადაწყვიტა, დაემონტაჟებინა სათვალთვალო კამერები. ზოგიერთი მათგანი განთავსებული იყო ხილულ ადგილას - ისე, რომ ჩანდა სუპერმარკეტის შესასვლელი და გასასვლელი, ნაწილი კი (რომლებიც უყურებდა სალარო აპარატებს) დამალული იყო. მოსარჩელები ინფორმირებულნი იყვნენ ხილულ კამერებზე, თუმცა არა დამალული კამერების შესახებ. მალევე 14 თანამშრომელი, მათ შორის მოსარჩელები, გაათავისუფლეს სამსახურიდან დისციპლინური გადაცდომის საფუძვლით, მას შემდეგ, რაც დამალული კამერების ვიდეოჩანაწერმა დაადასტურა, რომ ისინი იპარავდნენ ნივთებს.

ევროპული სასამართლოს პალატის 2018 წლის გადაწყვეტილებამ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლოს აზრით, ხანგრძლივი ვიდეოთვალთვალი დამქირავებლის მხრიდან არ აკმაყოფილებდა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. გადაწყვეტილება მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობამ გაასაჩივრა დიდ პალატაში.

**★** **ევროპული სასამართლოს დიდი პალატის შეფასება:** მოსარჩელებს სამუშაო ადგილზე 10 დღის განმავლობაში უთვალთვალედა დამსაქმებელი დამონტაჟებული ვიდეოკამერების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინდივიდუალურად არ ექცოდნენ ვიდეოთვალთვალის ქვეშ, სადავო არ იყო, რომ მათ კამერა შეიძლება მთელი სამუშაო დღის განმავლობაში იღებდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სუპერმარკეტი ღია სივრცეა, კამერით აღნუსხული საქმიანობა, კერძოდ, მომხმარებელთა მხრიდან თანხის გადახდა შესყიდული ნივთებისთვის, არ იყო პირადი სახის. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, საჯარო სივრცეებშიც, იდენტიფიცირებულ პირთა გამოსახულების სისტემატურმა ან მუდმივმა ჩაწერამ და შემდგომმა დამუშავებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პირის პირად ცხოვრებაზე.

11 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-197098>.

წინამდებარე საქმეში შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებდა ფორმალურ და მკაფიო ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც ვიდეოთვალთვალზე პასუხისმგებელ პირს ავალდებულებდა, ასეთი სისტემის არსებობაზე წინასწარ მიეწოდებინა ინფორმაცია იმ პირთათვის, ვისი მონიტორინგიც ხორციელდებოდა. მართალია, მოსარჩელებს დამსაქმებელმა აცნობა სუპერმარკეტში CCTV კამერების დაყენების შესახებ, თუმცა ეს შეეხებოდა მხოლოდ ხილულ კამერებს. ასეთ პირობებში, მოსარჩელებს ჰქონდათ გონივრული მოლოდინი, რომ მარკეტის სხვა ადგილებში არ იქნებოდნენ ვიდეოთვალთვალის ქვეშ წინასწარი ინფორმირების გარეშე. რაც შეეხება ვიდეოჩანაწერების დამუშავება-გამოყენებას, ეს მასალა დამსაქმებელთან მომუშავე რამდენიმე ადამიანმა ნახა. ამასთანავე, ჩანაწერები გახდა მოსარჩელეთა სამსახურიდან გაათავისუფლების საფუძველი. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმე ექცეოდა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში.

სასამართლოს შეფასებით, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს დისკრეციულად შეუძლიათ განსაზღვრა, მოაწესრიგებენ თუ არა სამუშაო ადგილის ვიდეომონიტორინგის საკითხს კონკრეტული კანონმდებლობით. ამის მიუხედავად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დამსაქმებლის მიერ გატარებული მონიტორინგის ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენს პირის პირადი ცხოვრების უფლებაზე, იყოს თანაზომიერი, ასევე, მათ ახლდეს ადეკვატური და საკმარისი გარანტიები ამ უფლების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად.

სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის თანაზომიერების შესაფასებლად, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა კრიტერიუმებით, რომლებიც დაადგინა საქმეებში *ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ*<sup>12</sup> და *კოპკე გერმანიის წინააღმდეგ*<sup>13</sup> და უკავშირდება მონიტორინგს თანამშრომელთა კორესპონდენციასა და კომუნიკაციაზე კერძოდ:

- ▷ იყო თუ არა დაქირავებული პირი დამქირავებლის მხრიდან ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის ღონისძიებისა და მათ გატარებაზე: მართალია, პრაქტიკაში დაქირავებულები შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყვნენ ინფორმირებულნი, თუმცა, თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, თვალთვალზე შეტყობინება უნდა იყოს მკაფიო და დაქირავებულებმა ასეთ ღონისძიებათა შესახებ უნდა იცოდნენ მათ გატარებამდე;
- ▷ რა მოცულობით ახორციელებს დამქირავებელი მონიტორინგს და რა ხარისხით ერევა დაქირავებულის პირად ცხოვრებაში: ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია სათვალთვალო არეალში მოქცეული პირადი ცხოვრების ხარისხი, ასევე, შეზღუდვა დროსა და სივრცეში და იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ წვდომა თვალთვალის შედეგებზე;

12 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-177082>.

13 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-101536>.



- ▷ აჩვენა თუ არა დამქირავებელმა თვალთვალის გამამართლებელი ლეგიტიმური მიზეზები და პროცედურის ფარგლები: რაც მეტად იჭრება თვალთვალი პირად ცხოვრებაში, მით უფრო დამაჯერებელ გამართლებას საჭიროებს ის;
- ▷ შეიძლება თუ არა ნაკლებად შემზღვეველი სამონიტორინგო მეთოდებისა და ღონისძიებების დანერგვა: ამ თვალსაზრისით, უნდა შეფასდეს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებები, კერძოდ, მიიღწეოდა თუ არა იგივე მიზანი, თუ დამქირავებელი უფრო ნაკლებად ჩაერეოდა დაქირავებულთა პირად ცხოვრებაში;
- ▷ გამოიყენა თუ არა დამქირავებელმა მონიტორინგის შედეგები დასახული მიზნის მისაღწევად;
- ▷ იყო თუ არა დაქირავებული პირი უზრუნველყოფილი სათანადო გარანტიებით, განსაკუთრებით, როდესაც თვალთვალი ერეოდა მის პირად ცხოვრებაში: ასეთ გარანტიებს შორის შეიძლება იყოს: ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი დაქირავებული პირების ან მათი წარმომადგენლებისთვის მონიტორინგისა და მისი ფარგლების შესახებ; ასეთ ღონისძიებებზე ინფორმაციის მიწოდება დამოუკიდებელი ორგანოსთვის, ან საჩივრის შეტანის შესაძლებლობა.

საქმის ფაქტობრივ გარემოებათა შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვიდეთვალთვალის პროპორციულობის დადგენისას, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ადგილზე, სადაც ტარდება მონიტორინგი. დასაქმებულს პირადი ცხოვრების დაცვის მაღალი მოლოდინი აქვს ისეთ ადგილებში, როგორცაა ტუალეტი ან გასახდელი, ან სივრცეები, სადაც ვიდეთვალთვალი სრულად აკრძალულია. ასეთი მოლოდინი არსებობს დახურულ სამუშაო ადგილებშიც, როგორცაა ოფისები. დაცვის მოლოდინი ნაკლებია ისეთ ადგილებში, რომლებიც თვალსაჩინო ან ხელმისაწვდომია კოლეგებისთვის, კონკრეტულ შემთხვევაში კი - ფართო საზოგადოებისთვის. წინამდებარე საქმეში მოსარჩელები თავიანთ ფუნქციას ასრულებდნენ საჯარო ადგილას, მომხმარებლებთან მუდმივი კონტაქტის ფონზე.

ევროპული სასამართლოს აზრით, თვალთვალის ხანგრძლივობა (10 დღე) არ იყო მეტისმეტად დიდი. მოსარჩელებამდე მხოლოდ სუპერმარკეტის მენეჯერმა, კომპანიის სასამართლებრივმა წარმომადგენელმა და პროფკავშირის წარმომადგენელმა იხილეს სადავო ჩანაწერები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა პირად ცხოვრებაში ჩარევის სიმძიმეს არ მიუღწევია მაღალი ხარისხისთვის. ამასთანავე, მართალია, სადავო მონიტორინგმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსარჩელებზე, თუმცა დამქირავებელს ვიდეთვალთვალი და ჩანაწერები არ გამოუყენებია სხვა მიზნებით: მან მხოლოდ საქონლის დაკარგვაზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობა დაადგინა, რათა ინდივიდუალური ღონისძიებები გაეტარებინა მათ მიმართ. გასათვალისწინებელია, რომ დანაკარგების ოდენობა მიუთითებდა რამდენიმე ადამიანის მხრიდან ქურდობაზე, შესაბამისად, თუ ვიდეთვალთვალის მიზანზე ინფორმაცია მიეწოდებოდა რომელიმე თანამშრომელს, შეიძლება გართულებულიყო ქურდობაზე პასუხისმგებელ პირთა დადგენა.

ევროპული სასამართლოს აზრით, გამჭვირვალობა და ინფორმაციაზე წვდომა ფუნდამენტური უფლებაა, განსაკუთრებით, სამსახურებრივ ურთიერთობებში, სადაც დამქირავებელს მნიშვნელოვანი ძალაუფლება აქვს დაქირავებულთა მიმართ და აუცილებელია მათი დაცვა ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან. პირისთვის ინფორმაციის მიწოდება მასზე მონიტორინგის განხორციელებისა და ამ მონიტორინგის ხარისხის შესახებ, ერთ-ერთი კრიტერიუმია ასეთი ტიპის ღონისძიებათა თანაზომიერების შესაფასებლად. თუ ეს ინფორმაცია არ მიეწოდებათ დასაქმებულებს, სხვა კრიტერიუმებიდან გამომდინარე გარანტიები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ამასთანავე, ინფორმაციის წინასწარ მიწოდებისგან თავშეკავება მოითხოვს განსაკუთრებულად დამაჯერებელ დასაბუთებას.

შრომითი დავების სასამართლოებმა, რომლებმაც განიხილეს მოსარჩელეთა საჩივრები, დეტალურად შეაფასეს კონკურენტული ინტერესები - ერთი მხრივ, მოსარჩელეთა პირადი ცხოვრების დაცვა, მეორე მხრივ კი დამქირავებელთა საკუთრების დაცვა და კომპანიის წარმატებული ფუნქციონირება. ეროვნულმა სასამართლოებმა იმსჯელეს, ჰქონდა თუ არა ვიდუოთვალთვალს ლეგიტიმური მიზანი და რამდენად შესაფერისი და თანაზომიერი იყო გატარებული ღონისძიება ამ მიზნის მისაღწევად. მათ ასევე განიხილეს, ხომ არ შეეძლო დამქირავებელს დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სხვა, უფრო მსუბუქი ღონისძიებით.

ევროპული სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომ დამსაქმებლის მხრიდან ფარული ვიდუოთვალთვალი გამართლებულია მცირედი ეჭვის შემთხვევაშიც დასაქმებულთა უკანონო ქმედების შესახებ. მიუხედავად ამისა, გონივრული ეჭვის არსებობა სერიოზულ გადაცდომაზე, გამოვლენილი ზარალის მოცულობასთან ერთად, სერიოზული დასაბუთებაა, განსაკუთრებით, როდესაც კომპანიის შეუფერხებელ ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის არა ერთი თანამშრომლის სავარაუდო არასათანადო ქცევა, არამედ რამდენიმე თანამშრომლის შეთანხმებული ქმედებები.

ევროპული სასამართლოს აზრით, მოსარჩელეთა პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა იყო მიზნის თანაზომიერი. საბოლოო ჯამში, სასამართლოს დასკვნით, არ შეიძლება მტკიცება, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება. შესაბამისად, არ დარღვეულა პირადი ცხოვრების დაცვის უფლება.



## ჟურნალისტური წყაროს დაცვა

### 10 სედლეცკა უკრაინის წინააღმდეგ/Sedletska v. Ukraine (1 აპრილი, 2021 წელი)

#### კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება)

საქმე სედლეცკა უკრაინის წინააღმდეგ<sup>14</sup> ეხება სასამართლოს ნებართვას, რომ საგამოძიებო ორგანოებს ჰქონოდათ წვდომა მოსარჩელის – რადიო თავისუფალი ევროპის/რადიო თავისუფლების ჟურნალისტის საკომუნიკაციო (სატელეფონო) მონაცემებზე, რაც საფრთხეს უქმნიდა ჟურნალისტური წყაროს დაცვას.

**ა საჩივის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2015 წელს უკრაინის ანტიკორუფციულმა ბიურომ დაიწყო გამოძიება პროკურორ „კ“-ს წინააღმდეგ, უკანონო გამდიდრებაზე ეჭვის გამო. 2017 წელს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი შეხვდა მედიის წარმომადგენლებს და გააცნო ინფორმაცია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე, პროკურორ „კ“-ს შესახებ. ამის გამო, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის წინააღმდეგ, შემდეგი საფუძვლებით: ა) ინფორმაციის გავრცელება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული პირის პირად ცხოვრებაზე; და ბ) კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება მიმდინარე საქმეების შესახებ. 2017 წლის დეკემბერში მოსარჩელე პროკურატურაში დაიბარეს, სადაც განაცხადა, რომ კონფიდენციალურად მიღებულ ინფორმაციაზე ვერ მისცემდა ჩვენებას, რადგან გამჟღავნებოდა ჟურნალისტური წყარო.

2018 წლის აგვისტოში პროკურორმა მოითხოვა წვდომა მოსარჩელის სატელეფონო მონაცემებზე: 16 თვის განმავლობაში მისი საუბრების დრო, ხანგრძლივობა, სატელეფონო ნომრები, მიღებული და გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მოსარჩელის ადგილმდებარეობა სმს-ის გაგზავნის ან სატელეფონო საუბრის დროს.

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე, ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი უფლება ჟურნალისტური წყაროს დაცვის შესახებ.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ განიხილა, ჩაერიო თუ არა სახელმწიფო ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში, იყო თუ არა ეს ჩარევა კანონის შესაბამისი და ემსახურებოდა თუ არა ღონისძიება ლეგიტიმურ მიზანს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან ეროვნულმა

14 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-208882>.

სასამართლოებმა პროკურატურას მისცეს უფლება, მოეპოვებინა წვდომა მოსარჩელის საკომუნიკაციო მონაცემებზე, სახეზე იყო ჩარევა. ამავდროულად, ეროვნული სასამართლოს მხრიდან ნებადართულ წვდომას საფუძვლად ედო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლი, ხოლო გატარებული ღონისძიების ლეგიტიმური მიზანი, ევროპული სასამართლოს აზრით, იყო დანაშაულის აცილება და სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვა.

რაც შეეხება დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის საკითხს, ევროპული სასამართლოს თქმით, რაიონულმა სასამართლომ გასცა ნებართვა, რომ პროკურატურას შეეგროვებინა საკომუნიკაციო მონაცემები მოსარჩელის პერსონალურ და პროფესიულ კონტაქტებზე 16-თვიან პერიოდში. სადავო ნებართვა მოიცავდა წვდომას ინფორმაციაზე მოსარჩელის კომუნიკაციის დროისა და ხანგრძლივობის, ასევე, საკონტაქტო ნომრების შესახებ. აღნიშნულ მონაცემებში შეიძლებოდა ყოფილიყო კონფიდენციალურ წყაროთა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, რომელიც არანაირად არ უკავშირდებოდა ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს.

ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ ინტერესებს კიდევ უფრო დიდი საფრთხე ექმნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე, როგორც ჟურნალისტი, იძიებდა გახმაურებულ კორუფციულ საქმეებს, მათ შორის, პროკურატურასთან დაკავშირებით. რაიონული სასამართლოს ბრძანებაში არ იყო რაიმე გარანტია, რომ ამ წყაროთა იდენტიფიცირების შემთხვევაში, ინფორმაცია ცნობილი არ გახდებოდა პროკურატურის თანამშრომელთა ფართო წრისთვის და არ გამოიყენებოდა სხვა მიზნებით, გარდა იმ მიზნისა, რისთვისაც მოიპოვეს. ევროპული სასამართლოს აზრით, ეს ელემენტებიც საკმარისია იმის დასადგენად, რომ მონაცემებთან წვდომის ნებართვა აშკარად არათანაზომიერი იყო ისეთ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით, რომლებსაც ისახავდა ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის მხრიდან საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება. ევროპულმა სასამართლომ, ასევე, კონვენციის სტანდარტებთან შესაბამოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც პროკურატურას მოსარჩელის გეოლოკაციის მონაცემებზე წვდომას ანიჭებდა 16 თვის განმავლობაში. ასეთ დიდ პერიოდში, ასევე, კიევის ცენტრის ფართო გეოგრაფიულ არეალში, რომლის ფარგლებშიც უნდა მოპოვებულიყო ინფორმაცია მოსარჩელის გეოლოკაციის შესახებ, ჟურნალისტის სატელეფონო მონაცემები შეიძლება დაფიქსირებულიყო არაერთხელ, მათ შორის, ისეთ შემთხვევებშიც, რომლებიც არ უკავშირდებოდა პროკურორის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს.

ამასთან, მოსარჩელის უფლებებში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების დასაბუთებლად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მხოლოდ სისხლის სამართლის გამოძიების „ეფექტიანობა“ და სავარაუდო კონფიდენციალური შეხვედრის „ზუსტი დროისა და ადგილის“ დადგენა, ისე, რომ არ წარმოადგინა დასაბუთება, რატომ გადაწონდა ეს არგუმენტები მოსარჩელის ინტერესს, არ გამჟღავნებულიყო მისი გეოლოკაციის მონაცემები. დამატებით, საგამოძიებო ორგანოს ცალსახად არ დაუდგენია, რომ ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის სავარაუდო შეხვედრა ჟურნალისტებთან გაიმართა იმ გეოგრაფიულ არეალზე მდებარე ბიუროს ან სხვა შენობაში, რომელზეც

პროკურატურა გეგმავდა მოსარჩელის გეოლოკაციის მონაცემთა შეგროვებას; ასევე არ დაუსაბუთებია, რომ მოსარჩელე ნამდვილად იმყოფებოდა იმ შეხვედრაზე ან/და საერთოდ ჰქონდა ტელეფონი თან. დაბოლოს, სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია საკითხი, არსებობდა თუ არა ალტერნატიული საშუალებები იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომლის ამოღებასაც საგამოძიებო ორგანო იმედოვნებდა მოსარჩელის კომუნიკაციის მონაცემებიდან. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული ნებართვა მონაცემებზე წვდომის შესახებ არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

## 11 ჯეკერი შვეიცარიის წინააღმდეგ/*Jecker v. Switzerland* (6 ოქტომბერი, 2020 წელი)

### კონვენციის მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება)

საქმეში *ჯეკერი შვეიცარიის წინააღმდეგ*<sup>15</sup> შურნალისტი დაავალდებულეს, რომ გაემჟღავნებინა ნარკოტიკებით მოვაჭრის ვინაობა, მასზე სტატიის გამოქვეყნების შემდეგ.

**ა საჯის ფაქტობრივი გარემოება:** მოსარჩელე შურნალისტმა რეგიონულ გაზეთში გამოაქვეყნა სტატია სათაურით „სტუმრობა მოვაჭრესთან“. სტატიაში მოთხრობილი იყო ერთსაათიან სტუმრობაზე ნარკოტიკებით მოვაჭრის ბინაში, რა დროშიც სამმა მომხმარებელმა მისგან შეიძინა ნარკოტიკული საშუალება. სტატიის მიხედვით, მოვაჭრეს ათი წლის განმავლობაში შემოჰქონდა კანაფი და ჰაშიში და ყოველწლიურად 10 ათას ევროზე მეტი შემოსავალი ჰქონდა.

პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო უცნობი პირ(ებ)ის მიმართ და გასცა ბრძანება, რომ მოსარჩელეს (შურნალისტს) მიეცა ჩვენება, რადგან ამ დანაშაულზე დადგენილი იყო საკანონმდებლო გამონაკლისი, რომელზეც არ ვრცელდებოდა შურნალისტური წყაროს დაცვის უფლება. მოსარჩელემ გაასაჩივრა ბრძანება. საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ, ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საკმარისი საფუძველი კანონმდებლის მიერ დადგენილი მხარეთა ინტერესების ბალანსის ეჭვქვეშ დასაყენებლად. შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ ნარკოდანაშაულის სათანადოდ გამოძიება და დამნაშავე პირთა მიმართ დევნის დაწყების საჯარო ინტერესი გადაწონიდა შურნალისტის კერძო ინტერესს, დაეცვა შურნალისტური წყარო.

### ★ ავროპული სასამართლოს შეფასება:

*ჩარევის კანონიერება და ლეგიტიმური მიზანი:* საქმის გარემოებათა შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ განიხილა როგორც ჩარევის სამართლებრივი საფუძველი, ისე მისი ლეგიტიმური მიზანი. სასამართლოს პოზიციით, ბრძანება, რომელიც მიიღეს მოსარჩელის მიმართ, ეფუძნებოდა კანონს. ამასთანავე, მხარეები არ დავობდნენ, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმურ მიზნად ისახვდა „დანაშაულის თავიდან აცილებას“.

15 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-204938>.

ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო პროკურატურის დახმარება ნარკოტიკებით მოვაჭრე კონკრეტული პირის იდენტიფიცირებაში. ამავდროულად, უდავო იყო, რომ არსებობდა ლეგიტიმური საფუძველი ნარკომოვაჭრის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.

მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს აზრით, წყაროს გამჟღავნების აუცილებლობის დასადასტურებლად არ იყო საკმარისი მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრის ვინაობის გაუმჟღავნებლად შეუძლებელი იქნებოდა სისხლის სამართლის გამოძიების წარმოება. ასეთ ვითარებაში გასათვალისწინებელი იყო იმ დანაშაულის სიმძიმეც, რომელიც გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი. სასამართლოს აზრით, საქმეში საკმარისი მნიშვნელობა არ მიენიჭა შესაბამის დანაშაულს: ფედერალური უზენაესი სასამართლო გადაიხარა საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევანისკენ – ამ უკანასკნელმა სიტუაცია მოაქცია იმ დანაშაულთა კატეგორიაში, რომლებიც უშვებდა გამონაკლისს წყაროს დაცვიდან. ამავდროულად, უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა ნარკომოვაჭრის საქმიანობის კომერციულ ბუნებას და მიღებულ მოგებას, თუმცა არ უმსჯელია ფაქტზე, რომ მსუბუქი ნარკოტიკებით ვაჭრობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა მომხმარებელთა ჯანმრთელობას.

სასამართლოს აზრით, ეროვნულ სასამართლოებს გადაწყვეტილების მიღებისას ასევე უნდა შეეფასებინათ შემდეგი ფაქტორები (გარდა იმისა, რომ დანაშაული ეხება მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებებს და ნაკლებ საფრთხეს შეიცავს სხვა საგამონაკლისო საფუძვლებთან შედარებით, რომლებზეც არ ვრცელდება ჟურნალისტური წყაროს დაცვის წესი): მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, სავარაუდოდ, ექნებოდა სტატიას (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრემ შეძლო შეუფერხებელი საქმიანობა 10 წლის განმავლობაში); გაზეთის რეპუტაციისათვის შექმნილი საფრთხეები სამომავლო წყაროების კონტექსტში; საზოგადოების წევრთა ინტერესი, მიიღონ ინფორმაცია ანონიმური წყაროებიდან.

სასამართლომ გაითვალისწინა ჟურნალისტურ წყაროთა დაცვის მნიშვნელობა პრესის თავისუფლებისთვის და მიუთითა, რომ უფლებაში ჩარევისთვის არ იყო საკმარისი დანაშაულის მოქცევა გარკვეულ კატეგორიაში ან რეგულირება ზოგადად ფორმულირებული სამართლებრივი წესით. ამის ნაცვლად, ეროვნულ სასამართლოებს უნდა დაედგინათ, რომ ჩარევა აუცილებელი იყო კონკრეტული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა, ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა მინიჭებოდა საზოგადოებისა და მოსარჩელის ინტერესებს და საქმის გადაწყვეტისას მიუთითა კანონმდებლის მიერ დადგენილ ზოგად და აბსტრაქტულ გზებზე ინტერესთა ასაწონად. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ გადაწყვეტილებიდან არ იკვეთებოდა, თუ რატომ გადაწონდა მოსარჩელის მიერ ჩვენების მიცემისგან თავშეკავება საზოგადოებრივ ინტერესს. მისი აზრით, სახელმწიფომ საკმარისად ვერ დაასაბუთა, რომ გატარებული ღონისძიება შეესაბამებოდა აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.



# ურთიერთობის კონფიდენციალურობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

## 12 სარგავა ესტონეთის წინააღმდეგ/Särgava v. Estonia (16 ნოემბერი, 2021 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (მიმონათესავეთა თავისუფლება)

საქმე სარგავა ესტონეთის წინააღმდეგ<sup>16</sup> ეხება საკმარისი პროცედურული გარანტიების არარსებობას ადვოკატის პრივილეგირებული მონაცემების დასაცავად.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2016 წელს ესტონეთის საგამოძიებო ორგანომ სავარაუდო დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. საგამოძიებო ორგანოთა ეჭვით, მოსარჩელის, როგორც ადვოკატის როლი იყო დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან დაკავშირებული კომპანიების მართვა, შესაბამისი დოკუმენტების შედგენა და ტრანზაქციების სამართლებრივი სისწორის უზრუნველყოფა. ის ასევე ეჭვმიტანილი იყო ყალბი დოკუმენტის გამოყენებაში კომპანია S-თან მიმართებით. მოსარჩელის სახლიდან და ავტომანქანიდან ამოიღეს მისი ლეპტოპი და მობილური ტელეფონი, რომლებიც მოგვიანებით შემოწმდა სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში. მოსარჩელე იშველიებდა იურისტის პროფესიულ პრივილეგიას და სამართლებრივ მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელშეუხებლობას, როცა ამტკიცებდა, რომ ლეპტოპისა და მობილური ტელეფონის ამოღება და შემდგომი შემოწმება (მათ შორის, საკვანძო სიტყვების მეშვეობით) იყო უკანონო და ამ მოწყობილობებიდან „კოპირებული“ მასალა არ უნდა გამოეყენებინათ მტკიცებულებად. მიუხედავად ამისა, მისი საჩივარი წარუმატებელი აღმოჩნდა.

**★** **ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ინფორმაციის მატარებელი ნივთების ამოღება და მოგვიანებით შემოწმება ითვლებოდა ჩარევად მიმოწერის პატივისცემის უფლებაში.

ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობდა გარკვეული გარანტიები, როგორც ზოგადად ჩხრეკა-ამოღებასთან, ისე ადვოკატის შენობის ჩხრეკასთან დაკავშირებით (მაგ: საადვოკატო ბიუროში ჩხრეკის ჩატარება წინასწარი გამოძიების მოსამართლის ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე და პროცესზე ადვოკატის დასწრება, მათ შორის, იმ ადვოკატის, რომლის შენობაშიც მიმდინარეობს ჩხრეკა). აღნიშნული

16 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-213208>.

რეგულაციების მიუხედავად, სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავდა საკმარის პროცედურულ გარანტიებს იურისტის პროფესიულ პრივილეგიაში თვითნებური ან არათანაზომიერი ჩარევის ასაცილებლად.

კერძოდ, ამ კონკრეტულ საქმეში საკვანძო საკითხი იყო ადვოკატისა და კლიენტის კონფიდენციალურობით დაცული მასალის განცალკევება იმ მასალისგან, რომელთან მიმართებითაც პირი ვერ დაეყრდნობოდა კონფიდენციალურობის არგუმენტს.

სასამართლოს განმარტებით, დაცული და დაუცველი ფაილების გარჩევა/გამიჯვნა უდავოდ მნიშვნელოვანია დაბეჭდილი მასალის კონტექსტში, თუმცა ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება, როდესაც დაცული ფაილების შინაარსი არის ციფრულად შენახულ მონაცემთა ნაწილი. ასეთ სიტუაციაში, თუნდაც ადვოკატი ან მისი წარმომადგენელი ყოფილიყო ჩხრეკის ადგილზე, რთული იქნებოდა გარჩევა, კონკრეტულად რომელი ელექტრონული ფაილები იყო დაცული იურისტის პროფესიული პრივილეგიით და რომელი არა. ამასთან, საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც შიდა კანონმდებლობის ან პრაქტიკის თანახმად, მონაცემები იმიჯნება არა ჩხრეკის ადგილზე, არამედ მოგვიანებით, ინფორმაციის მატარებელთა ამოღების შემდეგ.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავდა პროცედურას, რომელიც გამოიყენებოდა ამ ინფორმაციის მატარებელთა შესამოწმებლად და, ამასთანავე, დაიცავდა იურისტის პროფესიული პრივილეგიით დაცული კომუნიკაციის კონფიდენციალურობას; ის არც გარანტიებს აწესებდა ამ კომუნიკაციის დარღვევით ასაცილებლად, რაც ცხადად გამოვლინდა აღნიშნულ საქმეზე. კერძოდ, მართალია, პროკურორის შუამდგომლობა ჩხრეკის ორდერის გაცემაზე ნათლად მიუთითებდა, რომ მოსარჩელეს შეიძლება ჰქონოდა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან, თუმცა წინასწარი გამოძიების მოსამართლის მიერ გაცემული ჩხრეკის ორდერი არ ითვალისწინებდა გარანტიებს იმ მასალის დასაცავად, რომელზეც ვრცელდებოდა პროფესიული საიდუმლოება. ამასთან, მართალია, ლეპტოპისა და მობილური ტელეფონის ჩხრეკა ჩატარდა საკვანძო სიტყვების საფუძველზე, თუმცა ეს ვალდებულება არ გამომდინარეობდა შიდა კანონმდებლობიდან. შესაბამისად, საკვანძო სიტყვებით ჩხრეკაზე არაფერი იყო მითითებული პროკურატურის შუამდგომლობასა და წინასწარი გამოძიების მოსამართლის მიერ გაცემულ ჩხრეკის ორდერში. საპირისპიროდ, საკვანძო სიტყვებით ძებნის გადაწყვეტილება და ამ სიტყვების შერჩევა (რომელთა ნაწილი საკმაოდ ზოგადი იყო) სრულად მინდობილი ჰქონდათ საგამოძიებო ორგანოებს, ხოლო მოსარჩელეს ეროვნული კანონმდებლობა არ ანიჭებდა უფლებას, დასწრებოდა აღნიშნულ პროცესს. კანონმდებლობა ასევე არ შეიცავდა კონკრეტულ წესს, რომელიც უნდა დაკმაყოფილებულიყო, თუკი გამოითქმებოდა პროტესტი იმ ინფორმაციის ამოღებასა და შემოწმებასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა ადვოკატი-კლიენტის კონფიდენციალურ კომუნიკაციას.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მისთვის არ წარუდგენიათ მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობით განსაზღვრავდა, ნამდვილად დაირღვა თუ არა ამ საქმეზე მოთხოვნა ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის შესახებ.



მიუხედავად ამისა, პროფესიული პრივილეგიის დაცვის პროცედურულ გარანტიათა არარსებობა თავისთავად არღვევდა მოთხოვნას, რომ ჩარევა უნდა იყოს კანონის შესაბამისი, გამომდინარე კონვენციის მე-8(2) მუხლიდან. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## 13 კრუგლოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ/Kruglov and Others v. Russia (4 თებერვალი, 2020 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (საცხოვრისისა და მიმონარის დაცულობა)

საქმე კრუგლოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ<sup>17</sup> ეხება მოსარჩელების – ადვოკატებისა და მათი კლიენტების ბინებისა და ოფისების ჩხრეკას პოლიციის მიერ.

**ა** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში, 2003-იდან 2016 წლამდე, რუსეთში ჩატარდა ჩხრეკა ადვოკატებისა და მათი კლიენტების ბინებში. 16 ჩხრეკიდან 14-ს საფუძვლად ედო სასამართლო ბრძანება, ხოლო 2 შემთხვევაში ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის გამო, შემთხვევის ადგილის შესამოწმებლად დადგენილი პროცედურების საფუძველზე. ზოგიერთი ჩხრეკისას საგამომძიებო ორგანოებმა ამოიღეს კომპიუტერები, მათი მეხსიერებები და დოკუმენტები. ადვოკატები ასაჩივრებდნენ, რომ მათ საცხოვრებლესა და ოფისებში ჩატარებული ჩხრეკა და ელექტრონული საშუალებების ამოღება, რომლებიც შეიცავდა პერსონალურ ინფორმაციასა და დოკუმენტებს, დაცული იყო იურისტის პროფესიული პრივილეგიით და არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს. მათი აზრით, სასამართლოს ბრძანებას საფუძვლად არ ედო საკმარისი მტკიცებულებები. 14 საქმეზე მოსარჩელები არ იყვნენ ოფიციალურად ეჭვმიტანილები; 12 შემთხვევაში მოსარჩელები საქმეს უკავშირდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე. მათი მტკიცებით, ეროვნულ სასამართლოებს დეტალურად არ განუსაზღვრავთ ჩხრეკის ფარგლები და არ გაუციათ რაიმე ინსტრუქცია იმ დოკუმენტთა დაცვაზე, რომლებზეც ვრცელდება იურისტის პროფესიული პრივილეგია.

მოსარჩელები ასევე ამტკიცებდნენ, რომ 6 საქმეზე მონაცემთა შემცველი მოწყობილობების ამოღება და ხანგრძლივად შენახვა არღვევდა მათ საკუთრების უფლებას; ამასთანავე, ამოღებას არ ახლდა პროცედურული გარანტიები, როგორცაა დამოუკიდებელ დამკვირვებელთა მონაწილეობა პროცესში.

**★** **ევროპული სასამართლოს შეფასება:** წინამდებარე საქმეში საგამომძიებო ორგანოებმა მოსარჩელეთა სახლებსა თუ ოფისებში ჩატარეს „ინსპექტირება“, „დანაშაულის ადგილის შემოწმება“, ან „ჩხრეკა“. სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც არ განსხვავდება ჩხრეკისგან აღსრულების წესითა და პრაქტიკული შედეგებით, შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული სახელწოდების მიუხედავად, უტოლდება პირის უფლებებში ჩარევას, კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

17 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-200719>.

როგორც აღნიშნა ევროპულმა სასამართლომ, კონკრეტულ საქმეებს ის განიხილავს დაშვებით, რომ ჩხრეკა ჩატარდა კანონის შესაბამისად და ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა დანაშაულის აცილებას. ამგვარად, სასამართლომ უნდა დაადგინოს გასაჩივრებულ ღონისძიებათა „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“, კერძოდ, რამდენად თანაზომიერი იყო ისინი დასახულ მიზანთან მიმართებით. ამისათვის, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ითვალისწინებდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობა გარანტიებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უკანონობისგან დასაცავად და როგორ უზრუნველყვეს ისინი აღნიშნულ საქმეებზე. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია შემდეგი ელემენტები: იმ დანაშაულის სიმძიმე, რომელთან მიმართებით ჩატარდა ჩხრეკა და ამოღება; ეფუძნებოდა თუ არა ეს მოქმედება მოსამართლის ან იურიდიული ოფიცრის ბრძანებას; დაექვემდებარა თუ არა ის შემდგომ სასამართლო კონტროლს; გაიცა თუ არა ბრძანება გონივრული ეჭვის საფუძველზე; და იყო თუ არა მისი ფარგლები გონივრულად შეზღუდული. სასამართლომ ასევე უნდა განიხილოს, რა მეთოდით აღსრულდა ბრძანება და, როდესაც საქმე ეხებოდა ადვოკატის ოფისს, ჩატარდა თუ არა პროცედურა დამოუკიდებელი დამკვირვებლის მონაწილეობით; ამასთანავე, რამდენად ხელმისაწვდომი იყო სპეციალური გარანტიები, რომ არ ამოეღოთ იურისტის პროფესიული პრივილეგიით დაცული მასალები. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სავარაუდო გავლენაც, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ჩხრეკას შესაბამის პირთა სამსახურსა და რეპუტაციაზე.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მხოლოდ ერთ საქმეში არსებობდა ეჭვი მოსარჩელის ადვოკატის მიმართ, რომ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული - მოსამართლის ცილისწამება; 14 საქმეზე მოსარჩელები იყვნენ იურისტები, რომლებიც არ იყვნენ სისხლის სამართლის გამოძიების ობიექტები; 2 საქმეზე ჩხრეკა შეეხო მოსარჩელეთა ნათესავებს, რომლებიც არ იყვნენ სისხლის სამართლის საქმეში ეჭვიმტანილები; 12 საქმეზე კი გაიჩხრიკა ადვოკატთა ოფისები, რადგან მათი კლიენტების მიმართ მიმდინარეობდა გამოძიება და ადვოკატებს შეიძლება ჰქონოდათ გამოძიებისთვის სასარგებლო ინფორმაცია.

ეროვნულ სასამართლოთა ბრძანებები ჩხრეკის შესახებ მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული მასალები საკმარის საფუძველად ჩაითვალა გამოძიებისთვის საყურადღებო მასალებისა და ობიექტების მოსაძებნად მოსარჩელეთა ოფისებში. მიუხედავად ამისა, ბრძანებებში არ იყო განმარტებული, თუ რა მასალები იყო ეს, ან რის საფუძველზე ჩამოყალიბდა რწმენა, რომ შესაბამისი მტკიცებულებები შეიძლებოდა მოსარჩელეთა ოფისებში ყოფილიყო. სასამართლოს ბრძანებები ჩხრეკის შესახებ ძალიან ზოგადად იყო ჩამოყალიბებული, რაც გამომძიებლებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებდა ჩხრეკის ჩასატარებლად.

რაც შეეხება იმ მოსარჩელებს, რომლებიც იყვნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრები, როგორც ჩანს, ეროვნულმა სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ ადვოკატის ოფისის ჩხრეკის ერთადერთი გარანტია იყო სასამართლოს წინასწარი ნებართვა და რომ ეს მოთხოვნა მხოლოდ პროცედურული სახის იყო. ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განაცხადა, რომ სასამართლო კონტროლი თავისთავად არ არის საკმარისი გარანტია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ეროვნულ სასამართლოებს არცერთ ეტაპზე არ უცდიათ, აეწონ-დაეწონათ, ერთი მხრივ, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობის ვალდებულება და, მეორე მხრივ, სისხ-

ლის სამართლის გამოძიების საჭიროებები. მაგალითად, მათ არ განუხილავთ ინფორმაციის მიღება სხვა წყაროებიდან (თუნდაც თავად ადვოკატთა კლიენტებისგან). გარდა ამისა, არაფერი მიუთითებს, რომ სასამართლოებს ჰქონდათ რაიმე წესი, რომლითაც განსაზღვრავდნენ, თუ როდის შეიძლება პროფესიული პრივილეგიით დაცულ დოკუმენტთა კონფიდენციალურობის დარღვევა. საპირისპიროდ, ჩხრეკის შესახებ ბრძანების გაცემისას ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ადვოკატსა და კლიენტის შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობა შეიძლება დარღვეულიყო ნებისმიერ საქმეზე, რომელზეც მიმდინარეობდა სისხლის სამართლის გამოძიება, მაშინაც კი, როცა გამოძიება უკავშირდებოდა არა ადვოკატს, არამედ მის კლიენტს.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეებში, სადაც ჩხრეკის ბრძანება გაიცა ჩხრეკის ჩატარებამდე, ეროვნულმა სასამართლოებმა არ აწონ-დაწონეს ინტერესები, ასევე, არ განიხილეს, პასუხობდა თუ არა მოსარჩელეთა უფლებებში ჩარევა მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას და იყო თუ არა ის დასახული ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი. ამასთან, საქმეებში, რომლებშიც ჩხრეკა კანონიერად ცნეს ჩატარების შემდგომ, ეროვნულმა სასამართლოებმა ძირითადად გამოიკვლიეს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესაბამისობა სისხლის სამართლის საპროცესო მოთხოვნებთან, თუმცა შეფასების მიღმა დატოვეს ამ ქმედებათა აუცილებლობისა და თანაზომიერების საკითხი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ რუსეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პროცედურულ გარანტიებს პროფესიულ საიდუმლოებაში ჩარევის ასაცილებლად (მაგ: ადვოკატის და კლიენტის პროფესიული კონფიდენციალურობით დაცულ დოკუმენტთა ამოღების აკრძალვა; ან ჩხრეკისას დამოუკიდებელი დამკვირვებლის დასწრება, რომელიც საგამოძიებო ჯგუფისაგან დამოუკიდებლად შეძლებდა ასეთი დოკუმენტების იდენტიფიცირებას). ამასთანავე, იმ დროისათვის არ არსებობდა შესაძლებლობა, რომ პროცესს დასწრებოდა ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი, ან გამომძიებელ მოსამართლეს (Investigating Judge) ემსჯელა, შეეძლო თუ არა გამოძიებას კონკრეტული დოკუმენტების ან ობიექტების გამოყენება მაშინ, როდესაც მოსარჩელები ამას აპროტესტებდნენ პროფესიული კონფიდენციალურობის დაცვის მოტივით.

რაც შეეხებათ მოსარჩელებს, რომლებიც იყვნენ პრაქტიკოსი იურისტები, მაგრამ არა ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ევროპულმა სასამართლომ განმარტა: რუსეთის კანონმდებლობით, იურიდიული კონსულტაციის გაწევა და სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობა შეუძლიათ ადვოკატებსა და „სხვა პირებს“. ამასთანავე, პროფესიული საიდუმლოება დაცულია მხოლოდ ადვოკატებთან მიმართებით, კლიენტსა და იურიდიულ მრჩევლებს შორის ურთიერთობა კი დაცვის მიღმა რჩება. სასამართლოს განმარტებით, კანონის უზენაესობასთან შეუთავსებელი იქნება, თუ ეს ურთიერთობა საერთოდ გარანტიების გარეშე დარჩება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ მოსარჩელეთა შენობების ჩხრეკა, რომლებიც იყვნენ პრაქტიკოსი იურისტები, მაგრამ არა ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ჩატარდა ასევე თვითნებურად, სათანადო პროცედურული გარანტიების გარეშე.

საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეთა მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.



## კომუნიკაციის მიყურადება, სატელეფონო მოსმენა და საიდუმლო თვალთვალი

### 14 *Big Brother Watch და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ/Big Brother Watch v. the United Kingdom, დიდი პალატა (25 მაისი, 2021 წელი)*

**კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა) და მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება)**

საქმე *Big Brother Watch* და *სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>18</sup> ეხება ფარული მიყურადების, მათ შორის, კომუნიკაციის მასობრივი მოსმენებისა და დაზვერვის მონაცემთა მიმოცვლის შესაბამისობას კონვენციასთან, ასევე, კონფიდენციალური ჟურნალისტური მასალის არასაკმარისად დაცვას ელექტრონული მიყურადების სქემის საფუძველზე.

**ა საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2013 წელს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა კონტრაქტორმა, ედუარდ სნოუდენმა, გაამჟღავნა ინფორმაცია, რომ გაერთიანებული სამეფოს სადაზვერვო სამსახური – მთავრობის კომუნიკაციების შტაბი (GCHQ) - აწარმოებდა ოპერაციას, სახელწოდებით TEMPORA, რომელიც აძლევდა დიდი მოცულობით მონაცემთა გაცვლა-შენახვის საშუალებას.

გაერთიანებული სამეფო კომუნიკაციების მასობრივი მიყურადებისთვის იყენებდა ორ სისტემას:

*პირველი სისტემა* ტრაფიკს ადარებდა „მარტივ სელექტორთა“ სიას, რის შედეგადაც გროვდებოდა სელექტორის შესაბამისი კომუნიკაცია (კონკრეტული იდენტიფიკატორი, მაგალითად, სახელი, ელექტრონული მისამართი და ა.შ.), ხოლო დანარჩენი კომუნიკაცია ავტომატურად ჩამოიწერებოდა. „გადარჩევის პროცესის“ შედეგად, ანალიტიკოსები წყვეტდნენ, რომელ კომუნიკაციას ჰქონდა მაღალი სადაზვერვო ღირებულება, შესაბამისად, რომელი მათგანი უნდა გაეხსნათ და წაეკითხათ. პრაქტიკაში, შეგროვებული ინფორმაციის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იხსნებოდა და იკითხებოდა, რადგან GCHQ-ს არ ჰქონდა ყველა კომუნიკაციის წაკითხვის შესაძლებლობა.

*მეორე სისტემა* ორეტაპიანი იყო: პირველ ეტაპზე „დამუშავების წესების“ გამოყენებით გამოირიცხებოდა არაღირებული ინფორმაცია, ხოლო მეორე ეტაპზე კომპლექსური კითხვარით შეირჩეოდა მაღალი სადაზვერვო ღირებულების მქონე მასალა. ანალიტიკოსები მხოლოდ ამ პროცესით შერჩეულ კომუნიკაციას ამოწმებდნენ, ხოლო დანარჩენი მასალა არ მოწმდებოდა.

18 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-210077>.

გარდა ამისა, გაერთიანებული სამეფოს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ (NSA) აღიარა ორი ოპერაციის არსებობა, სახელწოდებით PRISM და Upstream, რომელთა მეშვეობითაც გაერთიანებული სამეფო 2010 წლიდან იღებდა ინფორმაციას აშშ-დან და იყენებდა სადაზვერვო ანგარიშების მოსამზადებლად. PRISM-ის პროგრამა დაზვერვის მასალებს (როგორცაა კომუნიკაციები) მიზნობრივად მოიპოვებდა ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლებისგან; Upstream-ის პროგრამა კი საშუალებას იძლეოდა, კომუნიკაციის შინაარსი და მათთან დაკავშირებული მონაცემები მოეპოვებინათ აშშ-ის საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთა ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენებიდან და ინფრასტრუქტურიდან. Upstream პროგრამას ფართო წვდომა ჰქონდა გლობალურ მონაცემებზე, მათ შორის, იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იყვნენ აშშ-ის მოქალაქეები. მონაცემები გროვდებოდა, ინახებოდა და საკვანძო სიტყვებით იძებნებოდა.

მოსარჩელები – ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები და პირები – ამტკიცებდნენ, რომ თავიანთი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაერთიანებული სამეფოს სადაზვერვო სამსახურებს შეიძლება მათ კომუნიკაციებზე ინფორმაცია მიეღოთ: 1) TEMPORA-ს პროგრამით განხორციელებული მიყურადებით; 2) PRISM და Upstream პროგრამების მეშვეობით, სხვა სახელმწიფოებთან დაზვერვის მონაცემთა მიმოცვლის საფუძველზე; 3) და უშუალოდ საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისგან.

2013, 2014 და 2015 წლებში მოსარჩელებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გაერთიანებული სამეფოს ელექტრონული მეთვალყურეობის სამივე რეჟიმი არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების მოთხოვნებს.

2018 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებაში ევროპული სასამართლომ პალატამ დაადგინა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული მასობრივი თვალთვალის სისტემა და მონაცემთა მიღება საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისგან არღვევდა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებს. პალატამ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა სხვა სახელმწიფოებთან დაზვერვის მონაცემთა მიმოცვლის რეჟიმთან მიმართებით.

### ★ **ევროპული სასამართლოს დიდი კალათის შეფასება:**

#### **ა) კომუნიკაციის მასობრივი მიყურადება**

##### **კონვენციის მე-8 მუხლი**

მასობრივი მიყურადების ეტაპები სასამართლომ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

- ① მიყურადება და კომუნიკაციისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების (ე.წ. ტრაფიკის მონაცემები) წინასწარი შენახვა – ამ ეტაპზე დაზვერვის სამსახურები ახორციელებდნენ ელექტრონული კომუნიკაციების მასობრივ მიყურადებას ადამიანთა ფართო ჯგუფის მიმართ, იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც არ შედიოდნენ დაზვერვის სამსახურთა ინტერესებში. კომუნიკაციების გარკვეული ნაწილი, რომლებიც დაზვერვის სამსახურისთვის არ იყო საინტერესო, შეიძლება გაფილტრულიყო ამ ეტაპზე;
- ② სპეციალურ სელექტორთა გამოყენება შენახული კომუნიკაციებისა და მათთან დაკავშირებული მონაცემების მიმართ – ეს ეტაპი გულისხმობდა პირველად ძებნას,

ძირითადად ავტომატურად, რა დროსაც შენახული კომუნიკაციებისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების მიმართ გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სელექტორი, მათ შორის, „ძლიერიც“ (როგორცაა ელფოსტის მისამართი). ამ ეტაპზე ასევე შესაძლებელი იყო ინდივიდთა სამიზნედ არჩევა, პროცესში ძლიერი სელექტორების გამოყენებით;

- ③ შერჩეული კომუნიკაციისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების შესწავლა ანალიტიკოსთა მიერ – ამ ეტაპზე ანალიტიკოსები პირველად ერთვებოდნენ მონაცემთა შესწავლაში;
- ④ მონაცემთა შემდგომი შენახვა და „საბოლოო პროდუქტის“ გამოყენება, მათ შორის, გაზიარება მესამე მხარისათვის – ამ ეტაპზე დაზვერვის სამსახურები უშუალოდ იყენებდნენ მოპოვებულ მასალას: კერძოდ, შეიძლება შექმნილიყო დაზვერვის ანგარიში და მასალა გაეგზავნათ იმავე ქვეყნის სხვა სადაზვერვო სამსახურებისთვის, ან უცხო ქვეყნის სამსახურებისთვის.

დიდი პალატის განმარტებით, კონვენციის მე-8 მუხლი ყველა ზემოაღნიშნულ ეტაპზე ვრცელდებოდა. შესაბამისად, მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა იკვეთებოდა მასობრივი მიყურადების ყველა ეტაპზე და ჩარევის ხარისხი იზრდებოდა მიყურადების თანმიმდევრულად.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში, მასობრივ მიყურადებას ჰქონდა საკანონმდებლო საფუძველი და ლეგიტიმური მიზნები: ეროვნული უსაფრთხოების დაცვა, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება და სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. შესაბამისად, დიდ პალატას უნდა შეეფასებინა ეროვნული კანონმდებლობის ხელმისაწვდომობა, ასევე, შეიცავდა თუ არა ის სათანადო და ეფექტიან გარანტიებს, რომ დაეკმაყოფილებინა „გაჩქვრეტადობისა“ და „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის“ მოთხოვნები.

დიდი პალატის განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა ხელმისაწვდომი იყო; რაც შეეხება სათანადო და ეფექტიან გარანტიებს, სასამართლომ ეს საკითხი შეაფასა 8 კრიტერიუმის საფუძველზე:

- ① მასობრივი მიყურადებისთვის ნებართვის გაცემის საფუძველები;
- ② გარემოებები, რომლებშიც შეიძლება პირის კომუნიკაციაზე მიყურადება;
- ③ ნებართვის გაცემის პროცედურა;
- ④ მიყურადებით მოპოვებული მასალის შერჩევის, შემოწმებისა და გამოყენების პროცედურა;
- ⑤ სიფრთხილის ღონისძიებები მასალის მესამე პირებისთვის გადაცემისას;
- ⑥ მიყურადების ხანგრძლივობა და მიყურადებით მოპოვებული მასალის შენახვის ვადები, ასევე, გარემოებები, რომლებშიც ეს მასალა უნდა წაიშალოს და განადგურდეს;
- ⑦ დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან ზედამხედველობის პროცედურები და მეთოდები, ასევე, რეაგირების უფლებამოსილება ზემოაღნიშნულ გარანტიებთან შეუსაბამობის შემთხვევაში;

Ⓔ შესაბამისობის დამოუკიდებლად (ex post facto) შემოწმების პროცედურები და სათანადო ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რომ რეაგირება მოახდინოს შესაბამისობის შემთხვევებზე.

1. მასობრივი მიყურადებისთვის ნებართვის გაცემის საფუძვლები – დიდი პალატის შეფასებით, გაერთიანებულ სამეფოში საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება მოსმენის ნებართვის გაცემა, საკმაოდ ფართო იყო, თუმცა ისინი მაინც ფოკუსირდებოდა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, სერიოზულ დანაშაულებსა და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, რადგან ეს ინტერესები უკავშირდებოდა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს.

2. გარემოებები, რომლებშიც შეიძლება კომუნიკაციის მიყურადება – დიდი პალატის შეფასებით, ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, საერთაშორისო კომუნიკაციების (ანუ რომლებიც კვეთს სახელმწიფო საზღვრებს) მიყურადება შესაძლებელი იყო: სადაზვერვო სამსახურებს შეეძლოთ მხოლოდ იმ გარე კომუნიკაციების მოსმენა, რომლებიც ექცეოდა დაზვერვის ინტერესში. დიდი პალატის განმარტებით, მასობრივი მიყურადების კონტექსტში, ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ შეიძლებოდა იმ გარემოებათა დამატებით შეზღუდვა, რომლებშიც შესაძლებელი იყო ინდივიდის კომუნიკაციის მოსმენა.

3. ნებართვის გაცემის პროცედურა – მოქმედი კანონმდებლობით, მასობრივ მიყურადებაზე ბრძანების გაცემის უფლებამოსილება ჰქონდა მხოლოდ სახელმწიფო მდივანს. დიდი პალატის შეფასებით, სახელმწიფო მდივანი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ორგანოს და, შესაბამისად, ნებართვის გაცემის პროცედურას არ ახლდა ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია - დადასტურება დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან. რაც შეეხება ნებართვის გაცემაზე წარდგენილი განაცხადის შემოწმებას, ნებართვის გაცემამდე, სახელმწიფო მდივანი ამოწმებდა მიყურადების მიზანს და აფასებდა თანაზომიერების საკითხს. მიუხედავად ამისა, დიდი პალატის შეფასებით, პრობლემა იყო ის, რომ განაცხადში არ მიეთითებოდა სელექტორთა კატეგორიები. შესაბამისად, შეფასების მიღმა რჩებოდა მათი გამოყენების თანაზომიერება. ამასთან, როდესაც ანალიტიკოსი მოგვიანებით ამატებდა ახალ სელექტორს, ვალდებული იყო, წერილობით დაესაბუთებინა მისი გამოყენების საჭიროება და თანაზომიერება. დიდი პალატის განმარტებით, სელექტორების, განსაკუთრებით, ძლიერი სელექტორების გამოყენება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მასობრივი მოსმენის პროცესში, რადგან ამ ეტაპზე სადაზვერვო სამსახურებს შეიძლება მიზანში ამოეღოთ კონკრეტული პირის კომუნიკაცია. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, ამ შემთხვევაშიც პრობლემური საკითხი იყო ის, რომ სელექტორი არ ექვემდებარებოდა წინასწარ შიდა შეფასებას და ნებართვის გაცემას.

4. მიყურადებით მოპოვებული მასალის შერჩევის, შესწავლისა და გამოყენების პროცედურა – დიდი პალატის განმარტებით, პრობლემას ქმნიდა ფაქტი, რომ მიყურადების ნებართვის გაცემაზე წარდგენილ განაცხადში არ მიეთითებოდა სელექტორთა კატეგორიები, ასევე, არ არსებობდა ვალდებულება, რომ კონკრეტულ იდენტიფიცირებად ინდივიდთან ძლიერი სელექტორების დაკავშირებისთვის გაცემულიყო წინასწარი ავტორიზაცია. ამ ნაკლოვანებებს დამატებით ამწვავებდა სახელმწიფო მდივნის სერტიფიკატის ზოგადი ბუნება (ის გაიცემოდა მდივნის მიერ ნებართვასთან ერთად, რათა მოსმენით

მოპოვებული ინფორმაციის გადარჩევისას, მხოლოდ სერტიფიკატში აღწერილი მასალა ყოფილიყო ხელმისაწვდომი ადამიანური კვლევისთვის). კერძოდ, სერტიფიკატებში იდენტიფიცირებული მასალა გადმოცემული იყო ძალიან ზოგადი სიტყვებით (მაგ: „მასალები, რომლებიც უზრუნველყოფენ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას ტერორიზმთან დაკავშირებით“). დიდი პალატის შეფასებით, გარემოებები, რომლებშიც შესაძლებელი იყო მიყურადებით მოპოვებული მასალების შერჩევა, შესწავლა და გამოყენება არ იყო საკმარისად „განჭვრეტადი“ კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის.

5. *სიფრთხილის ღონისძიებები მასალის მესამე პირებისთვის გადაცემისას* – სასამართლოს შეფასებით, მიყურადებით მოპოვებული მასალის სხვა პირებისთვის გადაცემისას მისაღები სიფრთხილის ღონისძიებები იყო საკმარისად ნათელი და ითვალისწინებდა სათანადო გარანტიებს, კერძოდ: ეროვნული კანონმდებლობით, განსაზღვრული იყო: 1) გარემოებები, რომელთა დროსაც შეიძლებოდა მონაცემთა გადაცემა; 2) ზომები, რომლებიც ინფორმაციის გადამცემ სახელმწიფოს უნდა გაეთარებინა, რათა მიმღებ სახელმწიფოს, მონაცემთა დამუშავებისას, დაეცვა ეს მასალები უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და არათანაზომიერი ჩარევისგან; 3) ზომები, რომლებიც ინფორმაციის გადამცემ სახელმწიფოს უნდა გაეთარებინა კონფიდენციალური მასალების დასაცავად; 4) დამოუკიდებელი კონტროლი, როცა მასალები გადაეცემოდა სხვა ქვეყნის დაზვერვის სამსახურს.

6. *მიყურადების ხანგრძლივობა და მიყურადებით მოპოვებული მასალის შენახვის ვადები, ასევე, გარემოებები, რომლებშიც ეს მასალა უნდა წაიშალოს და განადგურდეს* – ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, მიყურადების ნებართვა გაიცემოდა 6 თვით, ხოლო მძიმე დანაშაულის ასაცილებლად – 3 თვით. პირველ შემთხვევაში ნებართვის გაგრძელება შეიძლებოდა 6 თვით, მეორე შემთხვევაში კი 3 თვით. გაგრძელების მოთხოვნაში უნდა მითითებულიყო მიყურადების გაგრძელების საჭიროება. დიდი პალატის შეფასებით, ვინაიდან კანონი მკაფიოდ განსაზღვრავდა ვადებს და ითვალისწინებდა მათ პერიოდულ გადახედვას გასაგრძელებლად, ის იყო საკმარისად ნათელი და შეიცავდა სათანადო გარანტიებს. ამასთან, კანონით გაწერილი იყო ვადები მიყურადებით მოპოვებული სხვადასხვა კატეგორიის მასალის შესანახად: ეს პერიოდი არ აღემატებოდა ორ წელს, თუმცა პრაქტიკაში შენახვის ვადები უფრო მოკლე იყო. კანონის თანახმად, მიყურადების მასალები ნადგურდებოდა, თუ მათი შენახვის საჭიროება აღარ არსებობდა. ამგვარად, დიდი პალატის შეფასებით, კანონი ამ ნაწილშიც საკმარისად ნათელი იყო.

7. *დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან ზედამხედველობის პროცედურები და მეთოდები, ასევე, რეაგირების უფლებამოსილება ზემოაღნიშნულ გარანტიებთან შეუსაბამობის შემთხვევაში* – გაერთიანებულ სამეფოში მასობრივ მიყურადებას აკონტროლებდა კომუნიკაციების მიყურადების კომისარია. დიდი პალატის შეფასებით, კომისარია დამოუკიდებელ და ეფექტიან ზედამხედველობას უწევდა ამ პროცესს. კერძოდ, მას ჰქონდა უფლებამოსილება, შეეფასებინა მიყურადებაზე ნებართვის გასაცემად მიღებული განაცხადების აუცილებლობა და თანაზომიერება, ასევე, სელექტორთა შემდგომ ეტაპზე არჩევის პროცესი, და გამოეკვლია მიყურადებით მიღებული კომუნიკაციებისა და მათთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვების, შენახვისა და განადგურების პროცედურები.



მას შეეძლო, რეკომენდაციებიც გაეცა შესაბამისი საჯარო უწყებებისთვის და მიეღო ინფორმაცია ამ რეკომენდაციათა შესრულების პროგრესზე. ამასთან, კომისარი ზედამხედველობდა დაზვერვის სამსახურის მიერ მიყურადების მასალების გაზიარებას სხვა დაზვერვის ორგანოებთან.

8. შესაბამისობის დამოუკიდებლად (*ex post facto*) შემოწმების პროცედურები და სათანადო ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რომ რეაგირება მოახდინოს შესაბამისობის შემთხვევებზე – გაერთიანებულ სამეფოში დამოუკიდებელ შემოწმებას ატარებდა სპეციალიზებული ორგანო – საგამოძიებო უფლებამოსილების ტრიბუნალი. ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევდა, რომ დაექვემდებარა ფარულ მიყურადებას, შეეძლო ტრიბუნალისთვის მიმართვა. მიყურადების პროცესში ჩართულ პირებს მოეთხოვებოდათ ტრიბუნალთან თანამშრომლობა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა. ტრიბუნალს ჰქონდა უფლებამოსილება, დაეკისრებინა კომპენსაცია, გაეუქმებინა მიყურადების ნებართვა და მოეთხოვა ნებისმიერი მასალის განადგურება. შესაბამისად, დიდი პალატის შეფასებით, ეს ეფექტიანი სისტემა იყო.

საბოლოოდ, დიდმა პალატამ გამოავლინა შემდეგი ხარვეზები: მასობრივი მიყურადების ნებართვას არ გასცემდა დამოუკიდებელი ორგანო; ნებართვის განაცხადში არ მიეთითებოდა სელექტორთა კატეგორიები და ინდივიდთან დაკავშირებულ სელექტორებზე არ გაიცემოდა წინასწარი შიდა ნებართვა. დიდი პალატის განმარტებით, ხარვეზები შეეხებოდა არა მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსზე მიყურადებას, არამედ მასთან დაკავშირებულ მონაცემებსაც. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციის მიყურადების კომისარი დამოუკიდებელ და ეფექტიან ზედამხედველობას უწევდა რეჟიმს, ხოლო ტრიბუნალი ნებისმიერი პირისთვის უზრუნველყოფდა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, ეს გარანტიები არ იყო საკმარისი არსებულ ხარვეზთა დასაბალანსებლად. აქედან გამომდინარე, მასობრივი მიყურადების მოქმედი რეჟიმი არ აკმაყოფილებდა „კანონის ხარისხიანობის“ მოთხოვნას და ვერ უზრუნველყოფდა, რომ „ჩარევა“ ყოფილიყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

#### კონვენციის მე-10 მუხლი:

დიდი პალატის შეფასებით, სადავო მიყურადების რეჟიმი ჩაერთა მოსარჩელების – ინფორმაციის შემგროვებელი ორგანიზაციის (Newsgathering organisation) წარმომადგენლებისა და ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში. ჩარევა ამ შემთხვევაშიც მოხდა კანონის შესაბამისად. რაც შეეხება კანონის განჭვრეტადობას, ეროვნული კანონმდებლობა კონფიდენციალური ჟურნალისტური მასალების შენახვასთან, გადაცემასა და განადგურებასთან დაკავშირებით იყო ადეკვატური. ევროპულმა სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ:

① როდესაც დაზვერვის სამსახურის მიზანია წვდომა კონფიდენციალურ ჟურნალისტურ მასალაზე, ან, გამოსაყენებელი სელექტორების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით, შესამოწმებლად შეირჩევა კონფიდენციალური ჟურნალისტური მასალა, ამ სელექტორების ან საძიებო სიტყვების გამოყენებამდე, აუცილებელია მოსამართლის ან სხვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ნებართვა. მოსამართლემ

ან შესაბამისმა ორგანომ უნდა დაადგინოს, გამართლებულია თუ არა აღნიშნული სელექტორების ან საძიებო ტერმინების გამოყენება აღმატებული საჯარო ინტერესით და ხომ არ არსებობს ნაკლებად ჩამრევი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა;

- ② თუ კომუნიკაცია არ შერჩეულა შესამოწმებლად სელექტორის ან საძიებო ტერმინის მეშვეობით, მაგრამ მაინც მოიცავდა კონფიდენციალურ ჟურნალისტურ მასალას, ანალიტიკოსის მიერ მისი შენახვისა და შემოწმების გაგრძელებამდე, აუცილებელია მოსამართლის ან სხვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ნებართვა, რომლებიც განსაზღვრავენ, გამართლებულია თუ არა აღმატებული საჯარო ინტერესით ამ მასალის შემდგომი შენახვა და შემოწმება.

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა ამგვარ მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა. ამ ნაკლოვანებების, ასევე, მე-8 მუხლთან დაკავშირებული ხარვეზების საფუძველზე, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მასობრივი მიყურადების რეჟიმი არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებასაც.

### ბ) დაზვერვის მონაცემთა მიღება უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურებიდან

დიდი პალატის შეფასებით, დაზვერვის მონაცემთა მოთხოვნა-მიღებას კონვენციის არაწევრი სახელმწიფოდან ჰქონდა ცხადი საკანონმდებლო საფუძველი და შემდეგი ლეგიტიმური მიზნები: ეროვნული უსაფრთხოების დაცვა, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. კანონმდებლობა მკაფიოდ არეგულირებდა, რა შემთხვევებსა და პირობებში შეეძლო ხელისუფლებას მონაცემთა მოთხოვნა სხვა ქვეყნიდან. მასალის შენახვის, წვდომის, შემოწმება-გამოყენების, სხვა პირებისთვის გადაცემის, წაშლისა და განადგურების პროცედურები იყო საკმარისად ცხადი და სათანადო გარანტიებს ქმნიდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად. კომუნიკაციების მიყურადების კომისარი ზედამხედველობდა დაზვერვის მონაცემთა მიმოცვლის რეჟიმს, ნებართვების გაცემას და მასალების შენახვას დაზვერვის სამსახურთა მიერ. გარდა ამისა, აღნიშნულ რეჟიმს ex post facto ზედამხედველობას უწევდა საგამოძიებო ტრიბუნალი და ნებისმიერ პირს შეეძლო, კონკრეტული ან ზოგადი საჩივრით მიემართა მისთვის. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მასალების მოთხოვნა-მიღების რეჟიმი შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლს.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურებიდან დაზვერვის მონაცემთა მიღებასთან მიმართებით.

### გ) კომუნიკაციის მონაცემთა მიღება საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისგან

ევროპული სასამართლოს პალატის განმარტებით, მიმწოდებელთა მიერ მოპოვებულ მასალებზე ხელისუფლებას წვდომა უნდა ჰქონოდა მაშინ, როდესაც სახეზე იყო ლეგიტიმური მიზანი – „მძიმე დანაშაულის“ აღკვეთა; ამასთანავე, მსგავსი წვდომა წინასწარ უნდა შეემოწმებინა სასამართლოს ან დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. მიუხედავად ამისა, არსებული რეჟიმი არ ითვალისწინებდა ამგვარ გარანტიებს და ევროპული სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ მსგავსი ხარვეზები ვერ ჩაითვლებოდა კანონის შესაბამისად. დიდმა პალატამ გაიზიარა პალატის მოსაზრება და დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

პალატის განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ძლიერ გარანტიებს, როდესაც მონაცემები მოიპოვებოდა ჟურნალისტის წყაროს იდენტიფიცირებისათვის: კერძოდ, ასეთ შემთხვევაში უნდა არსებულიყო აღმატებული საჯარო ინტერესი, ასევე, სასამართლოს ბრძანება ამ მონაცემთა მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დებულებები არ გამოიყენებოდა, როცა მოთხოვნა შეეხებოდა ჟურნალისტის საკომუნიკაციო მონაცემთა მიღებას. გარდა ამისა, მსგავს საქმეებში არ არსებობდა სპეციალური დებულებები, რომლებიც შეზღუდავდა წვდომას „მძიმე დანაშაულთან“ ბრძოლის მიზნით. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ რეჟიმი არ იყო „კანონის შესაბამისი“ მე-10 მუხლის საჩივრის მიზნებისთვის. ეს მოსაზრება გაიზიარა დიდმა პალატამაც.

## 15 *Centrum för rättvisa შვედეთის წინააღმდეგ/ Centrum för rättvisa v. Sweden*, დიდი პალატა (25 მაისი, 2021 წელი)

### მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე *Centrum för rättvisa შვედეთის წინააღმდეგ*<sup>19</sup> ეხება ფარული მიყურადების რეჟიმის, მათ შორის, კომუნიკაციის მასობრივი მოსმენებისა და დაზვერვის მონაცემთა მიმოცვლის შესაბამისობას კონვენციასთან.

**ღ საჭიის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელის - ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის აზრით, არსებობდა საფრთხე, რომ მისი კომუნიკაცია მობილური ტელეფონისა და უკაბელო ინტერნეტის საშუალებით, იყო ან შეიძლება გამხდარიყო მოსმენისა ან შესწავლის საგანი, კერძოდ, სიგნალების დაზვერვის (*signals intelligence*) მეშვეობით, რომელსაც ასევე უწოდებდნენ კომუნიკაციის მასობრივ მიყურადებას.

სიგნალების დაზვერვა შეიძლება განიმარტოს, როგორც მონაცემთა მოსმენა ელექტრონული სიგნალებიდან, მათი დამუშავება, ანალიზი და ანგარიშგება. ამ პროცედურებით შეგროვებული მასალა შეიძლება ეხებოდეს როგორც კომუნიკაციის შინაარსს, ისე მასთან დაკავშირებულ საკომუნიკაციო მონაცემებს. ელექტრონული სიგნალების შეგროვება უცხოური დაზვერვის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც შვედეთში არეგულირებს სიგნალების დაზვერვის კანონი. ამ კანონის მიხედვით, ეროვნული თავდაცვის რადიოდაწესებულებას (*National Defence Radio Establishment*) აქვს სიგნალების დაზვერვის უფლებამოსილება. 2018 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, ევროპული სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

### ★ ევროპული სასამართლოს დიდი პალატის შეფასება:

მსგავსად საქმის *Big Brother Watch* და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, დიდმა პალატამ ჩამოაყალიბა მასობრივი მიყურადების 4 ეტაპი (დეტალური ინფორმაცია მიმოხილულია ზემოთ, *Big Brother Watch*-ის საქმეში):

19 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-210078>.

- ① მიყურადება და კომუნიკაციისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების (ე.წ. ტრაფიკის მონაცემები) წინასწარი შენახვა;
- ② სპეციალური სელექტორების გამოყენება შენახული კომუნიკაციებისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების მიმართ;
- ③ შერჩეული კომუნიკაციისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების შესწავლა ანალიტიკოსთა მიერ;
- ④ მონაცემთა შემდგომი შენახვა და „საბოლოო პროდუქტის“ გამოყენება, მათ შორის, გაზიარება მესამე მხარისათვის.

დიდი პალატის განმარტებით, კონვენციის მე-8 მუხლი ყველა ზემოაღნიშნულ ეტაპზე ვრცელდებოდა. შესაბამისად, მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა იკვეთებოდა კომუნიკაციის მასობრივი მიყურადების ყველა ეტაპზე და ჩარევის ხარისხი იზრდებოდა მიყურადების თანმიმდევრულად.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში მასობრივ მიყურადებას ჰქონდა საკანონმდებლო საფუძველი და ლეგიტიმური მიზანი – ეროვნული უსაფრთხოების დაცვა. შესაბამისად, დიდ პალატას უნდა შეეფასებინა ეროვნული კანონმდებლობის ხელმისაწვდომობა, ასევე, შეიცავდა თუ არა ის სათანადო და ეფექტიან გარანტიებს, რომ დაეკმაყოფილებინა „განჭვრეტადობისა“ და „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის“ მოთხოვნები.

დიდი პალატის განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა ხელმისაწვდომი იყო; რაც შეეხება სათანადო და ეფექტიან გარანტიებს, სასამართლომ ეს საკითხი შეაფასა 8 კრიტერიუმის საფუძველზე:

- ① მასობრივი მიყურადებისთვის ნებართვის გაცემის საფუძვლები;
- ② გარემოებები, რომლებშიც შეიძლება პირის კომუნიკაციაზე მიყურადება;
- ③ ნებართვის გაცემის პროცედურა;
- ④ მიყურადებით მოპოვებული მასალის შერჩევის, შემოწმებისა და გამოყენების პროცედურა;
- ⑤ სიფრთხილის ზომები მასალის მესამე პირებისთვის გადაცემისას;
- ⑥ მიყურადების ხანგრძლივობა და მიყურადებით მოპოვებული მასალის შენახვის ვადები, ასევე, გარემოებები, რომლებშიც ეს მასალა უნდა წაიშალოს და განადგურდეს;
- ⑦ დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან ზედამხედველობის პროცედურები და მეთოდები, ასევე რეაგირების უფლებამოსილება ზემოაღნიშნულ გარანტიებთან შეუსაბამობის შემთხვევაში;
- ⑧ შესაბამისობის დამოუკიდებლად (ex post facto) შემოწმების პროცედურები და სათანადო ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რომ რეაგირება მოახდინოს შეუსაბამობის შემთხვევებზე.

ეროვნული კანონმდებლობით გაწერილი იყო საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც დაიშვებოდა მასობრივი მიყურადება. მაგალითად, სიგნალების დაზვერვა შესაძლებელი იყო, როცა მიმდინარეობდა მონიტორინგი ქვეყნის გარე სამხედრო საფრთხეებზე, საერთაშორისო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობის პირობებზე, ან ქვეყნის ინტერესთა უსაფრთხოებაზე ასეთ ოპერაციებში მონაწილეობისას. დიდი პალატის შეფასებით, მასობრივი მიყურადების საფუძვლებს ნათლად და ამომწურავად განსაზღვრავდა ეროვნული კანონმდებლობა. გარდა ამისა, შესაბამისი სამართლებრივი ნორმები დეტალურად ადგენდა გარემოებებს, რომლებშიც შეიძლებოდა კომუნიკაციის მოსმენა.

ეროვნული კანონმდებლობით, სიგნალის დაზვერვის ყველა შემთხვევა საჭიროებდა წინასწარ ავტორიზაციას საგარეო დაზვერვის სასამართლოს მხრიდან. თუ დაგვიანებას შეიძლება ზიანი მიეყენებინა დაზვერვის ერთ-ერთი მიზნისთვის, ეროვნული თავდაცვის რადიოდაწესებულება უფლებამოსილი იყო, გაეცა დაზვერვის ნებართვა, თუმცა ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა სასამართლოსთვის, რომელსაც, თავის მხრივ, შეეძლო, გაეუქმებინა ან შეეცვალა გადაწყვეტილება. ეროვნული კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებდა ძლიერი სელექტორების წინასწარ ავტორიზაციას სასამართლოს მხრიდან. შესაბამისად, დიდი პალატის შეფასებით, სასამართლო დამოუკიდებელ და ეფექტიან ზედამხედველობას უწევდა მასობრივ მიყურადებას.

ეროვნული თავდაცვის რადიოდაწესებულება მონაცემებს ამუშავებდა ავტომატური და არაავტომატური საშუალებებით, შემდეგ კი ამ მასალას ანალიტიკოსები ანალიზებდნენ დაზვერვისთვის საინტერესო ინფორმაციის გამოსავლენად. მომდევნო ეტაპზე, უკვე იდენტიფიცირებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მზადდებოდა ანგარიში. გარდა ამისა, მასობრივი მიყურადების ყველა ეტაპზე ანალიტიკოსები აღწერდნენ და ინიშნავდნენ შესაბამის ნაბიჯებსა და გამოყენებულ სელექტორებს. ამგვარად, დიდი პალატის მოსაზრებით, მასობრივი მიყურადებით მოპოვებული მასალის შერჩევის, შესწავლისა და გამოყენების პროცედურებს ახლდა შესაფერისი წესები უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად.

ეროვნული კანონმდებლობით დეტალურად იყო მოწესრიგებული ნებართვის მოქმედების ვადაც: კერძოდ, ის გაიცემოდა 6 თვით და შეიძლება გაგრძელებულიყო ამავე ვადით, რისთვისაც აუცილებელი იყო ხელახალი განხილვა სასამართლოს მიერ. შვედეთის კანონმდებლობით, საგარეო დაზვერვასა და მასობრივ მოსმენებზე ზედამხედველობა ეკისრებოდა საგარეო დაზვერვის ინსპექციას. უწყება განიხილავდა ეროვნული თავდაცვის რადიოდაწესებულების საქმიანობის ყველა ასპექტს, მიყურადების, ანალიზის, გამოყენებისა და განადგურების ჩათვლით. ამასთან, ინსპექცია უფლებამოსილი იყო, შეეფასებინა არა მხოლოდ კანონთან შესაბამისობა, არამედ ინდივიდუალურ უფლებებში ჩარევის თანაბრობაზეც. შესაბამისად, დიდი პალატის შეფასებით, ინსპექცია დამოუკიდებელ და ეფექტიან ზედამხედველობას უწევდა მასობრივ მიყურადებას.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამ ხარვეზზე შვედეთის მასობრივი მოსმენების სისტემაში:

① მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ნათელი რეგულაციები პერსონალურ მონაცემთა შემცველი მასალის განადგურებასთან მიმართებით, არ არსებობდა მკაფიო წესი მოსმენით მიღებული ისეთი მასალის გასანადგურებლად, რომელიც არ შეიცავდა პერსონალურ მონაცემს, თუმცა მის შენახვას შეიძლება გავლენა ჰქონოდა, მაგალითად, პირის მიმოწერის თავისუფლებაზე. დიდი პალატის მოსაზრებით, დამატებით საჭირო იყო სამართლებრივი მოთხოვნის არსებობა იმ მონაცემთა წასაშლელად, რომლებმაც დაკარგეს აქტუალობა დაზვერვის მიზნებისთვის;

② ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მოთხოვნას, რომ როცა მიიღებოდა გადაწყვეტილება დაზვერვის მასალების სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემაზე, ეროვნული თავდაცვის რადიოდანერგებულებას შეეფასებინა გადაცემის აუცილებლობა, თანაზომიერება და შესაძლო გავლენა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებზე. ასეთ პირობებში, შეიძლება უცხო ქვეყანას გადასცემოდა პირად ცხოვრებასა ან მიმოწერის თავისუფლებასთან დაკავშირებული მაკომპრომეტირებული ინფორმაცია (მაშინაც კი, როცა მისი ღირებულება, დაზვერვის კუთხით, ძალიან დაბალი იყო) და ამას უარყოფითი გავლენა ჰქონოდა პირებსა და ორგანიზაციებზე, რომლებსაც ის შეეხებოდა. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ უწყებას არ ეკისრებოდა ვალდებულება, რომ გაეანალიზებინა და განესაზღვრა, მინიმალურად მაინც თუ იცავდა გარანტიებს მისი მიმღები უცხოეთში;

③ არ არსებობდა ეფექტიანი *ex post facto* კონტროლი. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში, საგარეო დაზვერვის ინსპექცია განიხილავდა, ექცეოდა თუ არა პირის კომუნიკაციის მოსმენა მასობრივი მოსმენების ფარგლებში, და თუ ექცეოდა, უნდა შეესწავლა, განხორციელდა თუ არა ეს კანონის შესაბამისად. ამასთან, ინსპექცია დაინტერესებულ პირს არ უგზავნიდა დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და არც იმ ფაქტს ატყობინებდა, მართლა უსმენდნენ თუ არა. დიდი პალატის შეფასებით, მართალია, ინსპექცია დამოუკიდებელი ორგანო იყო, თუმცა მისთვის დამატებით *ex post facto* როლის დაკისრებას შეიძლება შეექმნა სიტუაცია, რომელშიც მოუხდებოდა თავისივე წინარე პოზიციის შეფასება მასობრივ მოსმენებზე ზედამხედველობის ქრილში. ამასთან, ინსპექციის ორმაგ როლს შეიძლება გამოეწვია ინტერესთა კონფლიქტიც. შესაბამისად, დიდი პალატის შეფასებით, ასეთ პირობებში, ინდივიდუალური საჩივრების განხილვა ინსპექციის მიერ არ იძლეოდა სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ გარანტიებს.

დიდი პალატის შეფასებით, ეს ხარვეზები არ იყო საკმარისად კომპენსირებული მოქმედი გარანტიებით. აქედან გამომდინარე, შვედეთის მასობრივი მოსმენების რეჟიმი გასცდა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებს და არ ქმნიდა გარანტიებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

**კონვენციის მე-8 მუხლი (მიმონათესავეთა ტავისუფლება)**

საქმე ადომაიტის ლიეტუვის წინააღმდეგ<sup>20</sup> ეხება ციხის დირექტორის კომუნიკაციის მოსმენას სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში და ამ ინფორმაციის გამოყენებას დისციპლინურ სამართალწარმოებაში, რამაც გამოიწვია მისი სამსახურიდან გათავისუფლება.

**ღ** საქმის ფაქტობრივი გარემოებაები: მოსარჩელე იყო ციხის დირექტორი, რომლის მიმართაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა დაიწყო გამოძიება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე. გამოძიების ფარგლებში, სასამართლო განჩინების საფუძველზე, დაწესდა ციხის დირექტორის სატელეფონო საუბრებისა და სხვა კომუნიკაციის მოსმენა, რომელიც გრძელდებოდა ერთი წელი. 2016 წლის ივნისში გამოძიება შეწყდა დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, პროკურორმა გასცა თანხმობა, რომ მოპოვებული ინფორმაცია გამოყენებინათ ციხის დირექტორის დისციპლინური სამართალწარმოების საქმეზე, რის შედეგადაც იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან.

მოსარჩელე აცხადებდა, რომ არ არსებობდა მისი ფარული მიყურადების, მათ შორის, სატელეფონო საუბრების მოსმენის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. იგი მიუთითებდა, რომ დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის მიუხედავად, გამოძიება არ დასრულდა პირველი სამი თვის განმავლობაში; ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ვერ დაადგინა სისხლის სამართლის დანაშაული, შეგროვებული ინფორმაცია მაინც გამოიყენა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

**★** ევროპული სასამართლოს შეფასება: ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მოსარჩელის სატელეფონო საუბრების მოსმენა, ამ ინფორმაციის შენახვა და მისი გამოყენება დისციპლინური სამართალწარმოებისთვის, უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის პირად ცხოვრებაში ჩარევად. სასამართლოს აზრით, სატელეფონო მოსმენა ძალიან მძიმე ჩარევაა პირის უფლებებში და ამის გასაკეთებლად უნდა არსებობდეს გონივრულ ეჭვზე დაფუძნებული მტკიცე საფუძველი, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული. ევროპული სასამართლო ამ საქმეში მთავარ საკითხად მიიჩნევს, იყო თუ არა ჩარევა გამართლებული კონვენციის მე-8(2) მუხლით. სასამართლოს აზრით, მოსარჩელის უფლებაში ჩარევა იყო კანონის შესაბამისი და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, ამ შემთხვევაში – უწყისრიგობისა და დანაშაულის აცილებას და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

ჩარევის აუცილებლობასა და თანაბომიერებასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სატელეფონო მოსმენის უფლების გაცემამდე, რეგიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები: მოსარჩელე შეიძლება ჩართული

20 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-215168>.

ყოფილიყო კორუფციულ ქმედებებში, ამ შემთხვევაში – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში; და მოსმენამდე ჩატარებული იყო სხვა საგამოძიებო ღონისძიებები, რომლებიც არ აღმოჩნდა საკმარისი შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებათა გამოსავლენად. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, რეგიონულ სასამართლოს ჰქონდა საკმარისად კონკრეტული მიზეზები, რომ გაეცა სატელეფონო მოსმენის უფლება. დამატებით, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსმენის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 12 თვეს, როგორც განსაზღვრავდა ეროვნული კანონმდებლობა. ამასთან, მან გაიზიარა რეგიონული სასამართლოს პოზიცია, რომ სატელეფონო მოსმენა თანაზომიერი იყო მოსარჩელის პოზიციის გათვალისწინებით – ის იყო საპატიმრო დაწესებულების დირექტორი - რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა გამოძიების სხვა საშუალებები.

რაც შეეხება მოსმენით მიღებული ინფორმაციის გამოყენებას დისციპლინურ სამართალწარმოებაში: ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის თანამდებობა და იმ ქმედებათა სერიოზულობა, რომელთაც იძიებდნენ და დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმის დახურვა თავისთავად უკანონოს არ ხდიდა ამ ინფორმაციის გამოყენებას მოსარჩელის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებაში. ამასთანავე, არსებული კანონმდებლობით, ამ მასალების გამოყენება ვრცელდებოდა კორუფციულ აქტებზე. ეროვნულმა სასამართლომ დაასაბუთა მათი გამოყენების თანაზომიერება ისეთი მიზეზებით, როგორცაა სამართალდამცველ ორგანოთა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და მაღალი დისციპლინური თუ მორალური სტანდარტების დაცვა სახელმწიფო მოხელეთა შორის. დაბოლოს, მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, ეფექტიანად ჩართულიყო სასამართლო პროცესებში და გაესაჩივრებინა ამ მასალათა გამოყენების კანონიერება და თანაზომიერება.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა იყო აუცილებელი და თანაზომიერი. შესაბამისად, მან ამ საქმეზე არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

## **17** ეკიმძიევი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ/*Ekimdzhev and Others v. Bulgaria* (11 იანვარი, 2022 წელი)

### **კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)**

საქმე ეკიმძიევი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ<sup>21</sup> ეხება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უკანონობისგან დაცვის არასათანადო სამართლებრივ გარანტიებს საიდუმლო თვალთვალის შემთხვევაში, ასევე, კომუნიკაციის მოსმენით მიღებულ მონაცემთა შენახვასა და მათზე წვდომას.

**Q** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელები – ორი იურისტი და მათთან დაკავშირებული ორი არასამთავრობო ორგანიზაცია – ამტკიცებენ, რომ თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, არიან სახელმწიფოს მხრიდან ფარული მიყურადებისა და

21 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-214673>.



კომუნიკაციათა მოსმენის საფრთხის ქვეშ, ფარული მიყურადების შესახებ ბულგარეთში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და ამ კანონის პრაქტიკაში გამოყენების შედეგად, მოსარჩელები არ ამტკიცებენ, რომ რეალურად უთვალთვალებენ სახელმწიფო ორგანოები, ან უსმენენ მათ კომუნიკაციას.

## ★ ევროპული სასამართლოს შეფასება:

### ა) ფარული მიყურადება

ევროპულმა სასამართლომ განიხილა ფარული მიყურადების შესახებ კანონის გამოყენება ბულგარეთში. მისი აზრით, ეს პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე *ევროპული ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა ასოციაცია და ეკიმძიევი ბულგარეთის წინააღმდეგ*. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებლობა არ აკმაყოფილებდა მინიმალურ სტანდარტებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უკანონობისგან დასაცავად, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ:

- ▷ მიყურადებით მიღებული მასალების შენახვისა და განადგურების მარეგულირებელი შიდა წესები ხელმიუწვდომელი იყო საზოგადოებისთვის;
- ▷ „ობიექტებს“, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მიყურადებას (იმის გამო, რომ დაკავშირებულნი არიან ეროვნულ უსაფრთხოებასთან, ან ეს აუცილებელია იმ პირთა იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც უნდა მოექცნენ მიყურადების ქვეშ), ეროვნული კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ისე, რომ კანონი არ გამოყენებულიყო განურჩეველი მიყურადების საფუძველად;
- ▷ ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე მიყურადებისთვის გაცემული თავდაპირველი ნებართვის ზედმეტი ხანგრძლივობა (2 წელი) მნიშვნელოვნად ასუსტებდა სასამართლო კონტროლს პროცესზე. განსაკუთრებით, ეროვნული უსაფრთხოების ცნების არსებითად ბუნდოვანი კონტურების ფონზე;
- ▷ პრაქტიკაში ნებართვის გაცემის პროცედურა არ იძლეოდა ეფექტიან გარანტიას, რომ ფარული მიყურადება განხორციელებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“;
- ▷ ნორმატიულ დებულებებში არსებობდა რიგი ხარვეზები ისეთი კუთხით, როგორცაა მიყურადებით მიღებულ მონაცემთა შენახვა, წვდომა, შესწავლა, გამოყენება, გადაცემა და განადგურება. ამ მიმართულებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამართლებრივი ნორმების არარსებობაზე ფარული მიყურადებით მოპოვებულ იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა იურისტის პროფესიული პრივილეგიით დაცულ მასალებზე. სასამართლოს განმარტებით, არსებული მარეგულირებელი ნორმები არ აწესებდა საკმარის გარანტიებს ადვოკატთა ფარული მიყურადების შემთხვევაში. საპირისპიროდ, ისინი შეიცავდა ზოგად დანაწესს, რომ მიყურადება შესაძლებელია, როცა არსებობს გონივრული ეჭვი ადვოკატთა მხრიდან დანაშაულის ჩადენაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს განმარტებით, ასეთი მოთხოვნა არსებითად ყველანაირი მიყურადების შემთხვევაში არსებობდა და არა მხოლოდ ადვოკატებთან მიმართებით. მოქმედი ნორმები ასევე ეწინააღმდეგებოდა

2004 წლის ადვოკატთა აქტს, რომლის მიხედვითაც ყველა ადვოკატის ჩანაწერი და კომუნიკაცია, განურჩევლად ფორმისა, დაცულია გამონაკლისის გარეშე. ამასთან, მარეგულირებელი ნორმები არ ითვალისწინებდა საკმარის გარანტიებს შემთხვევით მოპოვებულ მასალებთან მიმართებით, რომლებიც შეეხებოდა ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციას, და არ არეგულირებდა მათი განადგურების წესს;

- ▷ მოქმედი საზედამხებველო სისტემა არ აკმაყოფილებდა საკმარისი დამოუკიდებლობის, კომპეტენციისა და უფლებამოსილების მოთხოვნებს. მათ შორის, საზედამხებველო ორგანოებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება, რომ მოეთხოვათ ფარული მიყურადებით მოპოვებული მასალების განადგურება;
- ▷ მოქმედი კანონმდებლობით, პირს ინფორმაცია მის მიმართ განხორციელებულ ფარულ მიყურადებაზე მიეწოდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანონოდ ხორციელდებოდა. სასამართლოს განმარტებით, ასეთი შეტყობინება საჭირო იყო ყველა შემთხვევაში, პირველივე შესაძლებლობისთანავე, თუმცა ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინათ მიყურადების მიზანი. ამასთანავე, არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა იურიდიულ პირთა შეტყობინების ვალდებულებას;
- ▷ სამართლებრივი დაცვის საშუალება არ იყო ეფექტიანი, რადგან ვერ განიხილავდა მიყურადების თითოეული შემთხვევის დასაბუთებას (გონივრული ეჭვისა და თანაზომიერების საფუძველზე); ასევე, ის არ იყო ხელმისაწვდომი იურიდიული პირისთვის და იზღუდებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ. ამგვარი სამართალწარმოების შედეგად, პირს შეეძლო მხოლოდ ფულადი კომპენსაციის მიღება, თუმცა სასამართლოებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება, რომ მოეთხოვათ მიყურადებით მოპოვებული მასალების განადგურება.

#### მიყურადების სისტემის მოქმედება ბულგარეთში

ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული ხშირი სკანდალები მიუთითებდა ქვეყანაში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკაზე, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, განპირობებული იყო არასათანადო სამართლებრივი გარანტიებით.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პოზიციით, ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა სრულად ვერ აკმაყოფილებდა „კანონის“ მოთხოვნას და ვერ უზრუნველყოფდა, რომ „ჩარევა“ ყოფილიყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

#### ბ) კომუნიკაციის მონაცემთა მოპოვება და წვდომა

ამ საკითხთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობა ქვეყანაში საკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებელ ყველა კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას, რომ კომუნიკაციის შედეგად მოპოვებული მონაცემები შეენახა ო თვის განმავლობაში, რათა გარკვეული სამართლებრივი საჭიროებისას, ხელმისაწვდომი ყოფილიყო სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსთვის.

ასეთი მონაცემების შენახვა და სახელმწიფო ორგანოთა წვდომა მათზე უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უკანონობისგან დაცვის იმავე გარანტიებით, რომლებიც არსებობდა ფარული მიყურადების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ბულგარეთის კანონმდებლობა არ აკმაყოფილებდა შემდეგ მინიმალურ სტანდარტებს. კერძოდ:

- ▷ მოსმენაზე ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურა ვერ უზრუნველყოფდა, რომ შენახულ საკომუნიკაციო მონაცემებზე წვდომა სახელმწიფო ორგანოებს ჰქონოდათ მხოლოდ მაშინ, როდესაც იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“;
- ▷ მკაფიოდ არ იყო დადგენილი, რა დროში უნდა განადგურებულიყო მონაცემები, რომლებზეც სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდათ წვდომა სისხლის სამართალწარმოებისას;
- ▷ ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენდა საკომუნიკაციო მონაცემთა შენახვის, წვდომის, განხილვის, გამოყენების, კომუნიკაციისა და განადგურების წესებს. საპირისპიროდ, ასეთი მონაცემები ინახებოდა სისხლის სამართლის საქმეში და მასზე წვდომა ჰქონდა ნებისმიერ პირს. ეს მიუთითებდა მონაცემთა არასათანადოდ დაცვაზე, რადგან არსებობდა პირის პირად ცხოვრებასა ან იურიდიული პირის კორესპონდენციაში არათანაზომიერი ჩარევის მაღალი რისკი;
- ▷ მოქმედ საზედამხედველო სისტემას არ ჰქონდა უნარი, რომ ეფექტიანად შეემოწმებინა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. მართალია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისიას ჰქონდა უფლებამოსილება, რომ შეემოწმებინა ღონისძიებები, რომლებსაც საკომუნიკაციო სერვისების მიწოდებელი იღებდა მონაცემთა მოპოვებასთან მიმართებით, თუმცა მას არ ეძლეოდა იმ სახელმწიფო ორგანოთა მოქმედებების შესწავლის საშუალება, რომლებსაც ჰქონდათ წვდომა ამ მონაცემებზე;
- ▷ ფარული მიყურადების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, პირს ინფორმაცია მის მიმართ განხორციელებულ მოსმენაზე მიეწოდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანონოდ ხორციელდებოდა. სასამართლოს განმარტებით, ასეთი შეტყობინება საჭირო იყო ყველა შემთხვევაში, პირველივე შესაძლებლობისთანავე, თუმცა ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინათ მოსმენის მიზანი. ამასთანავე, არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა იურიდიულ პირთა შეტყობინების ვალდებულებას;
- ▷ კომუნიკაციების მოსმენასთან დაკავშირებითაც, სასამართლომ მიუთითა იმავე არგუმენტებზე, რაც წარმოადგინა ფარული მიყურადების შემთხვევაში, და დაასკვნა, რომ არ არსებობდა უფლებათა ეფექტიანი დაცვის საშუალება.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პოზიციით, ბულგარეთის მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებდა კომუნიკაციის მოსმენით მიღებულ მონაცემთა შენახვასა და წვდომას, სრულად არ აკმაყოფილებდა „კანონის“ მოთხოვნას და ვერ უზრუნველყოფდა, რომ „ჩარევა“ ყოფილიყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

**კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)**

საქმე ვასილ ვასილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ<sup>22</sup> ეხება ბულგარელი ადვოკატის (მოსარჩელე) იმ სატელეფონო საუბრის მოსმენას, ჩაწერასა და მასზე ამონარიდის მომზადებას, რომელიც შედგა მასსა და მის კლიენტს (ბულგარეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი) შორის, რომლის სატელეფონო საუბრები ისმინებოდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში.

**ა საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელემ, რომელიც კლიენტს იცავდა სისხლის სამართლის საქმეში, საქმის მასალების გაცნობისას აღმოაჩინა, რომ მისი სატელეფონო საუბარი კლიენტთან ისმინებოდა, იწერებოდა და შესაბამისი კრებსებიც იყო მომზადებული. მოგვიანებით, მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ ასეთი ფარული მიყურადება განხორციელდა მისი კლიენტის წინააღმდეგ მიმდინარე სხვა სისხლის სამართლის საქმეზეც, რომელშიც კლიენტს ასევე მოსარჩელე წარმოადგენდა. მოსარჩელემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება სატელეფონო საუბრის მოსმენის, ჩაწერისა და მასზე კრების მომზადების შესახებ და ამტკიცებდა, რომ საუბარი დაცული იყო ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის პრივილეგიით და ამ საუბრის ჩანაწერი და კრებსები უნდა განადგურებულიყო. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მკაფიო წესებს, რომლებიც დაარეგულირებდა ადვოკატისა და კლიენტის საუბრის შემთხვევითი მოსმენით მიღებული მასალების განადგურებას. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ კანონმდებლობის თანახმად, ადვოკატის სატელეფონო მოსმენა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა არსებობდა ეჭვი, რომ იგი თავად იყო დანაშაულის მონაწილე, თუმცა ამ საქმეზე ამის მტკიცების საფუძველი არ არსებობდა. ეროვნულ დონეზე მოსარჩელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს განმარტებით, მართალია, უშუალოდ მოსარჩელის ტელეფონი არ იყო ფარული მიყურადების ქვეშ, თუმცა მისი კლიენტის ტელეფონის მოსმენა, რომლის ფარგლებშიც ჩაიწერეს ადვოკატის საუბარი კლიენტთან და მოამზადეს შესაბამისი კრებსები, იყო ჩარევა მოსარჩელის პირად ცხოვრებასა და მიმოწერაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში მოსარჩელესა და მის კლიენტს შორის სატელეფონო საუბარი, რომელზეც მომზადდა კრებსები, პირდაპირ არ უკავშირდებოდა იურიდიულ საკითხებსა და სისხლის სამართალწარმოებას, სასამართლოს აზრით, ადვოკატსა და კლიენტის კომუნიკაცია, პირადული და კონფიდენციალური ბუნებიდან გამომდინარე, მანც სარგებლობს მაღალი დაცულობით.

ევროპული სასამართლოს აზრით, არც ბულგარეთის ადვოკატთა საქმიანობის მარეგულირებელი კანონი (2004 წელი) და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ

22 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-213201>.

ადგენდა რაიმე წესს, რომელიც დაარეგულირებდა ადვოკატისა და კლიენტის საუბრის შემთხვევითი მოსმენით მიღებული მასალის განადგურებას. ეს საკითხი გარკვეულწილად წესრიგდებოდა მთავარი პროკურორის 2011 წლის ინსტრუქციით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თუ ხელისუფლების ორგანოები შემთხვევით ჩაიწერენ ადვოკატის საუბარს კლიენტსა ან სხვა ადვოკატთან და ეს საუბარი შეეხება კლიენტის დაცვის საკითხს, მათ არ უნდა მოამზადონ კრებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიყურადებით გამოვლინდება თავად ადვოკატის მონაწილეობა კრიმინალურ საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, საეჭვოა, რომ ინსტრუქცია აკმაყოფილებდა კონვენციის მოთხოვნებს. ამასთანავე, ის არ ადგენდა საკმარის გარანტიებს ადვოკატისა და კლიენტის საუბრის შემთხვევითი მოსმენით მიღებული მასალის განადგურებასთან მიმართებით. ინსტრუქცია ეხებოდა მხოლოდ კლიენტის დაცვასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას სამართალწარმოების ფარგლებში და არა ზოგადად ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციას.

საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან სამართლებრივი ჩარჩო არ იყო საკმარისად ნათელი და არ ადგენდა წესს, რომელიც დაარეგულირებდა ადვოკატისა და კლიენტის საუბრის შემთხვევითი მოსმენით მიღებული მასალის განადგურებას, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი.“ ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

## 19 მაზური მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ/Mazur v. the Republic of Moldova (14 თებერვალი, 2023 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა)

საქმე მაზური მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ<sup>23</sup> ეხება პირველი მოსარჩელის დამსაქმებლის მიერ მონაცემთა შეგროვება-გამოყენებას ორი მოსარჩელის სატელეფონო საუბრების შესახებ.

**საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** პირველი მოსარჩელე პროკურორად მუშაობდა გენერალურ პროკურატურაში. პროკურატურამ გააფორმა კონტრაქტი მობილური ტელეფონების ოპერატორთან და მიიღო სატელეფონო ნომრები, რომლებიც უნდა დაერიგებინა თანამშრომლებისთვის. პირველი მოსარჩელის არაერთმა კოლეგამ მიიღო ორი ან მეტი სატელეფონო ნომერი, რომლებსაც იყენებდნენ მათი ოჯახის წევრები. პირველ მოსარჩელეს ასევე გადაეცა ორი სატელეფონო ნომერი, რომელთაგან ერთი სარგებლობისთვის მისცა მეუღლეს. ამასთანავე, მან დაფარა ნომრის რეგისტრაციის ხარჯები. ამ ორ ნომერს შორის სატელეფონო ზარები იყო უფასო.

2011 წელს გენერალურმა პროკურატურამ გაათავისუფლა პირველი მოსარჩელე, თუმცა, სასამართლო დავის შედეგად, იგი აღადგინეს თანამდებობაზე. აღდგენიდან რამდენიმე თვეში პროკურატურამ ყოვლისმომცველად შეაფასა პირველი მოსარჩელის სამსახურებრივი საქმიანობა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მან დაარღვია შესაბამისი

23 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-223017>.

რეგულაციები (მაგ: არადამაკმაყოფილებელი შედეგები სამსახურებრივ საქმიანობაში, ინტერნეტით უნებართვოდ სარგებლობა). ერთ-ერთი დარღვევა იყო ის, რომ პირველი მოსარჩელე ყოველდღიურად ხანგრძლივად ესაუბრებოდა მეუღლეს სამუშაო საათებში, რაც დასტურდებოდა მობილური ოპერატორისგან მიღებული მონაცემებით სატელეფონო ნომრის, ადგილმდებარეობის, დროისა და ზარის ხანგრძლივობის შესახებ. შედეგად, პირველი მოსარჩელე გაათავისუფლეს სამსახურიდან.

ამის გამო, მოსარჩელებმა სარჩელი შეიტანეს ევროპულ სასამართლოში და ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება, როდესაც იღებდა და იყენებდა მონაცემებს მათ შორის განხორციელებული სატელეფონო ზარების შესახებ.

**★ ავროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მიერ მობილური ტელეფონების გამოყენებაზე ინფორმაციის მიღებით, გენერალური პროკურატურა ჩაერია კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში. მიუხედავად ამისა, მისივე აზრით, ჩარევა იყო „კანონის შესაბამისი“ (კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, მუხლი 73) და ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – პირველი მოსარჩელის დამსაქმებლის უფლებათა დაცვა. რაც შეეხება ჩარევის აუცილებლობას, უდავოა, მოსარჩელებს წინასწარ არ შეატყობინეს, რომ მათი კომუნიკაცია შეიძლება ყოფილიყო მონიტორინგის ქვეშ და გამოეყენებინა გენერალურ პროკურატურას.

მთავრობის არგუმენტი, რომ პირველი მოსარჩელე ზეპირი ფორმით გააფრთხილეს ამის შესახებ, არ დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით. გარდა ამისა, პირველი მოსარჩელის მონიტორინგმა სერიოზული შედეგები იქონია მასზე - ის გაათავისუფლეს სამსახურიდან, ნაწილობრივ, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ელექტრონული კომუნიკაციების კანონის 73(3)-ე მუხლის თანახმად, მობილურ სატელეფონო ოპერატორს დეტალურ ანგარიშფაქტურაში არ უნდა მიეთითებინა ინფორმაცია თავისი კლიენტების უფასო სატელეფონო ზარებზე. აქედან გამომდინარე, გენერალური პროკურატურა არა მარტო ამოწმებდა ოპერატორის მიერ რეგულარულად მიწოდებულ ინფორმაციას პირველი მოსარჩელის სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით, არამედ სპეციალურად ითხოვდა და იღებდა ისეთ დეტალურ მონაცემებს მოსარჩელეთა კომუნიკაციებზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომი არ იყო. ეროვნულ სასამართლოებს არ განუხილავთ, გასცდა თუ არა ასეთი მონიტორინგი დამქირავებლის სურვილს, უზრუნველყო საკუთარი თანამშრომლების ეფექტიანი საქმიანობა, და ხომ არ იყო სინამდვილეში მისი მიზანი პირველი მოსარჩელის დასჯა და ხელმეორედ გათავისუფლება სამსახურიდან. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეთა პერსონალური მონაცემების შეგროვება-გამოყენება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.



## ბავშვის პირადი ცხოვრების უფლების დაცულობა

**20** *D.B. და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ/D.B. and Others v. Switzerland (22 ნოემბერი, 2022 წელი)*

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა)

საქმე *D.B. და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ*<sup>24</sup> ეხება მშობლისა და ბავშვის სამართლებრივი ურთიერთობის ხანგრძლივ არაღიარებას უცხოეთში სუროგაციით დაბადებულ ბავშვსა და მშობელს შორის, რომელიც იყო ბავშვის გენეტიკური მამის რეგისტრირებული პარტნიორი მამაკაცი.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოვაზაბი:** პირველი და მეორე მოსარჩელები იყვნენ მამაკაცები, რომლებსაც პარტნიორული ურთიერთობები რეგისტრირებული ჰქონდათ 2011 წლის თებერვლიდან. 2010 წელს მათ აშშ-ში გააფორმეს კონტრაქტი სუროგაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მეორე მოსარჩელე უნდა გამხდარიყო დონორი. ორსულობის ფაქტის დადასტურების შემდეგ, აშშ-ის სასამართლომ ისინი ცნო დაუბადებელი ბავშვის კანონიერ მშობლებად. მესამე მოსარჩელე დაიბადა 2011 წელს და გაიცა დაბადების მოწმობა, რომელიც ასახავდა სასამართლო გადაწყვეტილებას.

2011 წლის მიწურულს მოსარჩელებმა მოითხოვეს, რომ: ა) შვეიცარიას ეღიარებინა აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილება; და ბ) ბავშვის დაბადების მოწმობა დარეგისტრირებულიყო სამოქალაქო აქტების რეესტრში. 2012 წლის მარტში კანტონის სამოქალაქო აქტების რეესტრმა უარი განაცხადა ორივე მოთხოვნაზე. 2015 წლის მაისში ფედერალურმა სასამართლომ აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილება ცნო იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა მშობელი-შვილის ურთიერთობას ბავშვსა და გენეტიკურ მამას შორის (მეორე მოსარჩელე), მაგრამ უარი განაცხადა, ეღიარებინა აშშ-ის სასამართლოს მიერ აღიარებული ურთიერთობა ბავშვსა და პირველ მოსარჩელეს შორის. 2015 წლის ნოემბერში მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

2018 წლის იანვარში შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ლეგალური გახდა შვილად აყვანა რეგისტრირებული პარტნიორის მიერ. ამის გამო, მოსარჩელებმა მოითხოვეს შვილად აყვანის დადასტურება. კანტონის შესაბამისმა სამსახურმა დაადასტურა შვილად აყვანა 2018 წლის დეკემბერში.

24 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-220955>.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვი (მესამე მოსარჩელე) დაბადებიდან ცხოვრობდა პირველ და მეორე მოსარჩელესთან და ჩათვალა, რომ ისინი ცხოვრობდნენ როგორც ოჯახი, რამაც მესამე მოსარჩელის „პირადი ცხოვრება“ და სამივე მოსარჩელის „ოჯახური ცხოვრება“ მოაქცია კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში.

ჩარევის არსებობა, მისი კანონიერება და ლეგიტიმური მიზანი – ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს იყო ჩარევა მესამე მოსარჩელის პირადი ცხოვრებისა და სამივე მოსარჩელის ოჯახური ცხოვრების უფლებაში. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ჩარევა (ანუ უარი, ელიარებიანთ აშშ-ის გადაწყვეტილება მშობლისა და შვილის ურთიერთობაზე პირველ და მესამე მომჩივანს შორის) მოხდა იმ კანონის შესაბამისად, რომელიც კრძალავდა სუროგაციას. ამასთან, ჩარევა მიზნად ისახავდა ჯანმრთელობის, ასევე, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

#### **აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში:**

ყველა მოსარჩელესთან დაკავშირებული გარემოებები – ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონკრეტულ საქმეში ბავშვი დაიბადა სუროგაციის გზით; ამასთანავე, პირველი და მეორე მოსარჩელები იყვნენ რეგისტრირებულ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი კაცები, მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ განხილულ ადრინდელ საქმეებზე (მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ, ლაბასე საფრანგეთის წინააღმდეგ და D. საფრანგეთის წინააღმდეგ) მოსარჩელის მშობლები იყვნენ განსხვავებული სქესის დაქორწინებული წყვილები. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს წინა საქმეებისგან ეს მთავარი ფაქტორი განასხვავებდა, სასამართლოს აზრით, ადრინდელ საქმეებზე დადგენილი პრინციპები გამოსადეგი იყო ამ შემთხვევაშიც – კონკრეტულად, პირველი და მესამე მოსარჩელის ურთიერთობაში.

ევროპული სასამართლოს აზრით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი, სხვა საკითხებთან ერთად, საჭიროებს იმ პირის სამართლებრივ იდენტიფიცირებას, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდაზე, მისი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. ამასთანავე, ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იცხოვროს და განვითარდეს სტაბილურ გარემოში. შესაბამისად, მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მოითხოვს, რომ ეროვნული კანონმდებლობა იძლეოდეს მშობლისა და შვილის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების საშუალებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსთვის მინიჭებული შეფასების ფარგლები იზღუდება, როდესაც წამოიჭრება მშობლად აღიარების ან მშობლობის დადგენის პრინციპი. ამასთანავე, ბავშვის ინტერესები არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ მშობელთა სექსუალურ ორიენტაციაზე.

ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რომლის გამოც მიიღო მოსარჩელეთა ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, იყო ის, რომ შვეიცარიის კანონმდებლობა სუროგაციას მიიჩნევდა საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგო მოვლენად. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს არგუმენტი, გარკვეულწილად, რელევანტური იყო, თუმცა არა გადაწყვეტი ამ საქმეში. კონვენციის გადმოსახედიდან, მშობელთა პოტენციურად მიუღებელი ქცევა უნდა შეფასდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა ამგვარ სიტუაციებში.



ზუსტად ეს იყო ადმინისტრაციული სასამართლოს მოსაზრებაც, რომელმაც დაადგინა, რომ ბავშვი არ უნდა აიძულონ, საკუთარ თავზე იწვნოს მშობელთა არჩევანის უარყოფითი შედეგები.

*მესამე მოსარჩელე* – რაც შეეხება მშობლად აღიარების ან მშობლობის დადგენის საშუალებას, ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ფარგლები. ამ საქმეში, მესამე მოსარჩელის დაბადებისას, ეროვნული კანონმდებლობა არ იძლეოდა მშობელი-შვილის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების შესაძლებლობას პირველ მოსარჩელესა და ბავშვს შორის. შვილად აყვანა შესაძლებელი იყო მხოლოდ დაქორწინებული წყვილებისთვის და არ ვრცელდებოდა რეგისტრირებულ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ წყვილებზე. როდესაც გაჩნდა ამის შესაძლებლობა, მოსარჩელებმა მოითხოვეს შვილად აყვანის დადასტურება, რაც მოხერხდა მხოლოდ 2018 წლის დეკემბერში.

აქედან გამომდინარე, თითქმის შვიდი წლისა და რვა თვის განმავლობაში (აღიარების შესახებ განაცხადის შეტანიდან შვილად აყვანის დადასტურებამდე) მოსარჩელებს არ ჰქონდათ მშობელი-შვილის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების საშუალება. დროის ეს მონაკვეთი შეუთავსებელი იყო ზემოაღნიშნულ საქმეებში დადგენილ პრინციპებთან, განსაკუთრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან, ვინაიდან ასეთი შესაძლებლობის არქონას შეუძლია, ბავშვს შეუქმნას სამართლებრივი გაურკვევლობა საზოგადოებაში იდენტიფიცირების თვალსაზრისით, ასევე, წაართვას სტაბილურ გარემოში ცხოვრებისა და განვითარების შესაძლებლობა.

ამ ვითარებაში, კანონიერად გაცემული უცხოური დაბადების მოწმობის არაღიარება, რომელიც ადასტურებდა კავშირს მშობელსა (პირველი მოსარჩელე) და აშშ-ში სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვს შორის, არ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, თუ არ არის უზრუნველყოფილი ამ ურთიერთობის აღიარების ალტერნატიული საშუალებები. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბავშვსა და პირველ მოსარჩელეს შორის ურთიერთობის აღიარების ზოგადი და აბსოლუტური შეუძლებლობა არათანაზომიერი ჩარევაა ბავშვის პირადი ცხოვრების უფლებაში. აქედან გამომდინარე, შვეიცარია გასცდა შეფასების ფარგლებს იმით, რომ დროულად არ მიიღო საკანონმდებლო ბაზა ასეთი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მესამე მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლება, კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია, დამატებით ემსჯელა ამავე მოსარჩელის ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევაზე.

რაც შეეხება პირველ და მეორე მოსარჩელებს, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ შვეიცარიის ხელისუფლების მიერ დაბადების მოწმობის არაღიარებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მათი ოჯახური ცხოვრების უფლებაზე.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ფედერალური სასამართლოს მოსაზრება, რომ პირველმა და მეორე მოსარჩელებმა სუროგაციას ამერიკაში იმიტომ მიმართეს, რომ გვერდი აეველოთ შვეიცარიაში მოქმედი აკრძალვისთვის, არ იყო დაუსაბუთებელი და თვითნებური. თავად მოსარჩელებიც არ უარყოფდნენ, რომ მათთვის ცნობილი იყო შვეიცარიაში მოქმედი კანონის შესახებ.

ამასთან, შვეიცარიის ხელისუფლების მიერ დაბადების მოწმობის არალიარებას, პრაქტიკაში მნიშვნელოვნად არ უმოქმედია პირველი და მეორე მოსარჩელის ოჯახურ ცხოვრებაზე, რადგან, ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, ფედერალურმა სასამართლომ ისინი მაინც ცნო კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ „ოჯახად“. მოსარჩელეთა მტკიცება, რომ არალიარების გამო, ისინი დაბრკოლებებს აწყდებოდნენ ბავშვის მოვლისას სკოლამდელ და სასკოლო პერიოდში, არ იყო საკმარისად დასაბუთებული. შესაბამისად, პრაქტიკული სირთულეები, რომლებსაც პოტენციურად აწყდებოდნენ მოსარჩელები ოჯახური თანაცხოვრებისას, რადგან შვეიცარიის კანონმდებლობა არ აღიარებდა პირველ და მესამე მოსარჩელეს შორის ურთიერთობას, არ სცდებოდა კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობისთვის დაწესებულ ფარგლებს. ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა პირველ და მეორე მოსარჩელესთან მიმართებით.



## დნმ-ის ინფორმაცია და თითის ანაბეჭდები

### 21 გაულანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gaughran v. the United Kingdom*) (13 თებერვალი, 2020 წელი)

#### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე გაულანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>25</sup> ეხება წვრილმანი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის დნმ-ის პროფილის, თითის ანაბეჭდებისა და ფოტოების შენახვას განუსაზღვრელი ვადით.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2008 წელს, ჩრდილოეთ ირლანდიაში, მოსარჩელე დააკავეს სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მართვის გამო (დანაშაული, რომელიც ისჯებოდა პატიმრობით) და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, ალკოტესტზე შესამოწმებლად. შემოწმებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის შემცველობა დადგინდა ნორმას აღემატებოდა. იმავე დღეს მოსარჩელისგან მოიპოვეს თითის ანაბეჭდები, ფოტოები და დნმ-ის ნიმუში (საიდანაც შემდგომ აიღეს დნმ-ის პროფილი). საბოლოოდ, მოსარჩელეს შეუფარდეს ჯარიმა, წვრილმანი დანაშაულის ჩადენისათვის. მოგვიანებით, მან პოლიციას მოსთხოვა თავისი დნმ-ის პროფილის, თითის ანაბეჭდებისა და ფოტოების განადგურება ან/და დაბრუნება. 2015 წელს პოლიციამ დნმ-ის ნიმუში გაანადგურა, თუმცა განუსაზღვრელი ვადით გააგრძელა დნმ-ის პროფილის, თითის ანაბეჭდებისა და ფოტოების შენახვა.

**★** **ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს განმარტებით, დნმ-ის პროფილისა და თითის ანაბეჭდების შენახვა უტოლდება პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას. რაც შეეხება ფოტოებს, სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელისთვის დაკავებისას გადაღებული ფოტო განუსაზღვრელი ვადით ინახებოდა პოლიციის მონაცემთა ბაზაში, რომელიც უწყებას შეიძლება გამოეყენებინა პირის იდენტიფიცირებისათვის (სახის ამომცნობი სისტემის მეშვეობით). შესაბამისად, მოსარჩელის ფოტოს გადაღება და შენახვა უტოლდებოდა ჩარევას პირად ცხოვრებაში.

სასამართლოს აზრით, ბიომეტრიული მონაცემებისა და ფოტოს შენახვას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – დანაშაულის თავიდან აცილება. თუ პირის ამ მონაცემთა მოპოვების მიზანი იყო, კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებინა კონკრეტული პირი, რომლის მიმართაც არსებობდა დანაშაულის ჩადენის ეჭვი, მათი შენახვა ემსახურებოდა ზოგად

25 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-200817>.

მიზანს – სამართალდამცველ ორგანოთა დახმარებას იმ პირთა იდენტიფიცირებაში, რომლებიც მომავალში ჩაიდენდნენ დანაშაულს.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლები ვიწროა, როცა საქმე ეხება მსჯავრდებულ პირთა ბიომეტრიული მონაცემების შენახვას. მიუხედავად ამისა, ასეთი მონაცემების შენახვის ხანგრძლივობა არ იყო გადაწყვეტი იმის შესაფასებლად, გადალახა თუ არა სახელმწიფომ დაშვებული ფარგლები შესაბამისი რეჟიმის დადგენისას. სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვანი იყო, რამდენად გაითვალისწინა დადგენილმა რეჟიმმა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ამ მონაცემთა შენახვის საჭიროება, ასევე, არსებობდა თუ არა მექანიზმი შესაბამისი პირის უფლებათა დასაცავად.

მოპასუხე სახელმწიფოს პოზიციით, რაც მეტ მონაცემს შეინახავდა სახელმწიფო, მით მეტ დანაშაულს აიცილებდა თავიდან. სასამართლოს მოსაზრებით, ამ არგუმენტის გაზიარება პრაქტიკაში გაამართლებდა ინფორმაციის განუსაზღვრელი ვადით შენახვას მთელი ქვეყნის მოსახლეობისა და მათი გარდაცვლილი ნათესავების შესახებ, რაც უდავოდ მეტისმეტი და შეუსაბამო ნაბიჯი იქნებოდა. მოპასუხე სახელმწიფომ ყურადღება გაამახვილა იმ არგუმენტზეც, რომ პირები, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული, დიდი ალბათობით, გაიმეორებდნენ ამას უახლოესი ორი წლის განმავლობაში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს, რომელმაც დააწესა ამ მონაცემთა განუსაზღვრელი ვადით შენახვის რეჟიმი, დანაშაულის ჩამდენი პირები უნდა უზრუნველყო შესაბამისი გარანტიებით. ამასთან, ბიომეტრიული მონაცემები და ფოტოები ინახებოდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად და არ იყო გათვალისწინებული რაიმე მუდმივი საჭიროება მათი განუსაზღვრელი ვადით შესანახად. პოლიციას ჰქონდა უფლებამოსილება, რომ ბიომეტრიული მონაცემები წაეშალა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ამასთანავე, არ არსებობდა მარეგულირებელი ნორმა, რომელიც მოსარჩელეს მიანიჭებდა შესაბამისი ორგანოსთვის მიმართვის უფლებას, რომ წაეშალათ მასთან დაკავშირებული მონაცემები, თუკი ეს ინფორმაცია აღარ იქნებოდა საჭირო დანაშაულის ბუნების, პირის ასაკის, დანაშაულის ჩადენიდან გასული დროისა და პირის ამჟამინდელი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფოტოსურათებთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ 2017 წელს ინგლისსა და უელსში შეიცვალა რეჟიმი და ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს მიეცათ უფლება, რომ ექვსი წლის შემდეგ მოეთხოვათ ფოტოების წაშლა. ამასთანავე, სასამართლოს აზრით, თანაზომიერების ტესტი არ გულისხმობდა ნაკლებად შემზღუდველი რეჟიმის დაწესებას, აქ მთავარი საკითხი იყო, მოქმედებდა თუ არა კანონმდებელი მინიჭებულ შეფასების ფარგლებში კონკრეტული ღონისძიების მიღებისას.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, მოსარჩელის, როგორც დანაშაულში მსჯავრდებული პირის დნმ-ის პროფილის, თითის ანაბეჭდებისა და ფოტოების შენახვის განურჩეველი უფლებამოსილება, რომელიც არ ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, ამ მონაცემთა განსაზღვრელი ვადით შენარჩუნებას და შენარჩუნების გადახედვის რეალურ შესაძლებლობას, ვერ უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს საზოგადოებრივ და კერძო

ინტერესებს შორის. სასამართლოს აზრით, პერსონალურ მონაცემთა ასეთი შენახვა არ არის დადგენილი შეზღუდვის თანაზომიერი ისეთ გარემოებებში, როცა არ არსებობს შესაფერისი გარანტია, მათ შორის, მექანიზმი მონაცემთა შენახვის გადაწყვეტილების გადასახედად.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ გადააჭარბა შეფასებისთვის დადგენილ ფარგლებს. ამგვარად, დნმ-ის პროფილის, თითის ანაბეჭდებისა და ფოტოების შენახვა იყო მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლების არათანაზომიერი შეზღუდვა, რის გამოც ის ვერ ჩაითვლება აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

## 22 *P.N. გერმანიის წინააღმდეგ/P.N. v. Germany (11 ივნისი, 2020 წელი)*

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე *P.N. გერმანიის წინააღმდეგ*<sup>26</sup> ეხება იმ პირის ფოტოებისა და აღწერილობის, ასევე, თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების შენახვას ხუთი წლის განმავლობაში, რომელმაც განმეორებით ჩაიდინა დანაშაული, დაცვის გარანტიებისა და საქმის ინდივიდუალური გადახედვის მექანიზმის გათვალისწინებით.

**ა** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2011 წელს პოლიციამ მოსარჩელის მიმართ დაიწყო სისხლის სამართალწარმოება. გამოძიების დაწყების შემდეგ, უწყებამ გასცა ბრძანება, რომ შეგროვებულიყო ამ პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (სახის, სხეულისა და ტატუების ფოტოები, თითისა და ხელისგულის ანაბეჭდები). პოლიციამ შეადგინა მოსარჩელის პიროვნულ მახასიათებელთა აღწერილობაც, ამასთანავე, განმარტა, რომ პირი წარსულში რამდენჯერმე იყო ნასამართლევ, შესაბამისად, მაღალი იყო ალბათობა, რომ მომავალშიც ჩაიდენდა მსგავს დანაშაულებს. ამის გათვალისწინებით, პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებები პირის მონაცემთა მოსაპოვებლად აუცილებელი და თანაზომიერი იყო. მოგვიანებით, სისხლის სამართალწარმოება მოსარჩელის მიმართ შეწყდა მტკიცებულებათა არარსებობის გამო. მოსარჩელემ ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და ამტკიცებდა, რომ პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიება – მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება - არათანაზომიერი იყო.

**★** **პროკული სასამართლოს შეფასება:** სხვადასხვა პერსონალური მონაცემის შეგროვება და შენახვა ითვლება მოსარჩელის პირად ცხოვრებაში ჩარევად. კერძოდ, ხელისგულის ანაბეჭდების აღება არის ღონისძიება, რომელიც თავისი ინტენსივობით, ასევე, მიღებულ მონაცემთა სამომავლო გამოყენებით, თითის ანაბეჭდების მსგავსი შემზღუდველი ღონისძიებაა. აქედან გამომდინარე, მასზე ვრცელდება დაცვის იგივე სტანდარტები. მოსარჩელის ფიზიკური აღწერა და ამ ინფორმაციის შეტანა პოლიციის

26 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=002-12731>.

მასალებში სამომავლო მაიდენტიფიცირებელი მიზნებით, უნდა ჩაითვალოს ფოტოს გადაღების მსგავს მოქმედებად. შესაბამისად, მე-8 მუხლი ვრცელდება ამ ღონისძიებაზეც. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ დნმ-ის პროფილებისა და ნიმუშებისგან განსხვავებით, ფოტოების, თითის ანაბეჭდებისა და ხელისგულის ანაბეჭდების შეგროვება, ასევე, პიროვნების აღწერა, ნაკლებად მძიმე ჩარევად მიიჩნევა.

სადავო ჩარევა იყო კანონის შესაბამისი (მოქმედი კანონმდებლობა და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა დეტალურად აწესრიგებდა მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შეგროვება-შენახვის წესს) და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - დანაშაულის თავიდან აცილებასა და სხვათა უფლებების დაცვას, კერძოდ, სამომავლო დანაშაულთა გამოძიების ხელშეწყობით.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, პირადი მონაცემების შეგროვებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ეროვნულმა ორგანოებმა სათანადოდ შეაფასეს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი მოსარჩელის მხრიდან, ასევე, მის მიერ წარსულში ჩადენილი არაერთი დანაშაულის ბუნება და სიმძიმე. მართალია მოსარჩელე არ იყო ცნობილი დამნაშავედ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, თუმცა მრავალჯერ იყო ნასამართლევი, მის მიერ ჩადენილი ზოგიერთი დანაშაული კი საკმარისად მძიმე აღმოჩნდა თავისუფლების აღსაკვეთად. მეტიც, მოსარჩელის წინააღმდეგ არაერთხელ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება, მათ შორის, მანამდეც, ვიდრე გაიცემოდა ბრძანება საიდენტიფიკაციო მონაცემთა შეგროვებაზე. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმ სამართალწარმოების შედეგების შეფასება ეროვნული ორგანოების მხრიდან, რომელიც მოსარჩელის წინააღმდეგ წარსულში დაიწყო და შეწყდა სხვადასხვა მიზეზით (თუმცა არა მოსარჩელის უდანაშაულობის ან/და გამოძიების თვითნებურად დაწყების გამო), მაინც რელევანტური იქნებოდა იმის დასადგენად, რამდენად შესაძლებელი იყო, მომავალში მოსარჩელეს განმეორებით ჩაედინა დანაშაული. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეს საქმე განსხვავდებოდა საქმეებისგან S. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>27</sup> და M. K. საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>28</sup>, რადგან ამ ორ საქმეში მოსარჩელები არ იყვნენ წარსულში ნასამართლევი პირები. შესაბამისად, მონაცემთა შეგროვებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ეს გარემოება არ იყო გათვალისწინებული. ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მიმდინარე სამართალწარმოების შედეგებს გავლენა არ ჰქონია მოსარჩელის მონაცემთა მოპოვება-შენახვის გადაწყვეტილებაზე, რადგან იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, ასეთი გადაწყვეტილება მიიღებოდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ.

რაც შეეხება საიდენტიფიკაციო მონაცემთა შენახვის ხანგრძლივობას, შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებდა კონკრეტულ ვადებს, რომლებშიც ხელახლა უნდა შეფასებულიყო მონაცემთა შენახვის საჭიროება, მიზნები, ტიპი და მნიშვნელობა. კანონმდებლობით ასევე განსაზღვრული იყო პერსონალურ მონაცემთა წაშლის ვადები, ამ კონკრეტული შემთხვევაში – 5 წელი, თუ არ დაიწყებოდა გამოძიება მოსარჩელის მხრიდან ახალი

27 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-90051>.

28 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-119075>.

დანაშაულის სავარაუდო ჩადენაზე. შესაბამისად, მოსარჩელეს შეეძლო, მოეთხოვა თავისი მონაცემების წაშლა პოლიციის რეესტრიდან, თუ მისი ქცევა აჩვენებდა, რომ ამ ინფორმაციის შენახვის საჭიროება აღარ არსებობდა.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, წინამდებარე შემთხვევა ამ ფაქტითაც განსხვავდებოდა საქმეებისგან, *S.* და *მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და *გაულანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, რომლებშიც მონაცემები ინახებოდა განუსაზღვრელი ვადით, ასევე, საქმისგან *M.K. საფრანგეთის წინააღმდეგ*, სადაც გამოიკვეთა, რომ პრაქტიკაში მონაცემები ინახებოდა 25 წლის განმავლობაში.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შეგროვების ნაკლები ინტენსივობა, მონაცემთა შენახვის ვადები, პოლიციის შიდა ბაზაში მონაცემთა შენახვის ნაკლები ზეგავლენა მოსარჩელის პირად ცხოვრებაზე და შესაბამისი გარანტიების არსებობა და დაასკვნა, რომ სადავო ღონისძიებამ დაადგინა სამართლიანი ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის და, შესაბამისად, მოექცა მოპასუხე სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში. ამგვარად, ჩარევა იყო თანაზომიერი, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და გამართლებული. შედეგად მოსარჩელის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.



## მონაცემთა შენახვა ან/და გამოყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში

**23** ალგირდას ბუტკევიჩუსი ლიეტუვის წინააღმდეგ/*Algirdas Butkevičius v. Lithuania* (14 ივნისი, 2022 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე ალგირდას ბუტკევიჩუსი ლიეტუვის წინააღმდეგ<sup>29</sup> ეხება მოსარჩელეს (იმხანად ლიეტუვის პრემიერ-მინისტრი) და ქალაქის მერს შორის სატელეფონო საუბრის გამჟღავნებას მედიისთვის.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მიმდინარე წინასწარი გამოძიების ფარგლებში, რომელიც ეხებოდა სავარაუდო კორუფციას ტერიტორიულ დაგეგმვასთან დაკავშირებით, საგამოძიებო ორგანოებმა მოიპოვეს ქალაქის მერის სატელეფონო საუბრის მოსმენის უფლება. მოსმენის ფარგლებში, მათ ჩაიწერეს მოსარჩელისა და ქალაქის მერის სატელეფონო საუბარი, რომელშიც განიხილავდნენ მთავრობის დადგენილებას ტერიტორიული დაგეგმვის შესახებ. მოგვიანებით, პროკურატურამ შეწყვიტა წინასწარი გამოძიება იმის გამო, რომ არ გამოიკვეთა კორუფციის ნიშნები.

ამისგან დამოუკიდებლად, ლიეტუვის პარლამენტის ანტიკორუფციულ კომისიას დაევალა იმ გარემოებათა საპარლამენტო მოკვლევა, რომლებშიც მიიღეს მთავრობის დადგენილება. პროკურატურამ ანტიკორუფციულ კომისიას წარუდგინა გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ. კომისიამ ჩაატარა საჯარო სხდომა, ჟურნალისტთა მონაწილეობით, რის შემდეგაც ერთ-ერთმა დამსწრე ჟურნალისტმა ონლაინ პუბლიკაციაში გამოაქვეყნა ამონაწერი ზემოაღნიშნული სატელეფონო საუბრიდან, რის შედეგადაც ეს ინფორმაცია ფართოდ გავრცელდა.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია მისი პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის თავისუფლება, სატელეფონო საუბრის მედიისთვის გამჟღავნებით.

**★** **ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს განმარტებით, საგამოძიებო ორგანოს მიერ მოპოვებული სატელეფონო საუბრის მონაცემთა გადაცემა სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის, ამ უწყებათა მიერ მათი გამოყენება და შემდგომში საჯაროდ გავრცელება იყო ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში. ამასთანავე, მოსარჩელის უფლებაში ჩარევა იყო კანონის შესაბამისი და მიზნად ისახავდა სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ასევე, დანაშაულისა და უწესრიგობის თავიდან აცილებას.

29 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-217713>.



სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ სატელეფონო საუბრის საჯაროდ გავრცელებამ გავლენა მოახდინა მის რეპუტაციაზე, მათ შორის, უარყოფითად აისახა სხვებთან ურთიერთობებზე. გარდა ამისა, რეპუტაციული საკითხები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მოსარჩელის, როგორც პროფესიონალი პოლიტიკოსის ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს არ მიუთითებია, თუ რა კონკრეტული და ხელშესახები გავლენა მოახდინა ამ სატელეფონო საუბრის მედიისთვის გამჟღავნებამ მის პირად ცხოვრებაზე, მით უფრო, რომ გასაჯაროებული ჩანაწერის საფუძველზე, ის არაფერში დაუდანაშაულებიათ, არც პრემიერ-მინისტრის პოზიციიდან გაუთავისუფლებიათ და არც ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს დაუდგენია არასასურველი შედეგი მის მიმართ. სასამართლოს მოსაზრებით, ამ გარემოებებმა გარკვეულწილად შეამსუბუქა მოსარჩელის მდგომარეობა. მან ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელობაზეც სავარაუდო პოლიტიკური კორუფციის საქმეებში.

ევროპული სასამართლოს აზრით, მაშინაც კი, თუ მოსარჩელეს რეპუტაციული ზიანი მიადგა ამ საუბრის გამჟღავნებით კოლეგებს შორის, არ არსებობდა ფაქტობრივი საფუძველი ან რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ ეს ზიანი იყო არსებითი და გაუტოლდა არათანაზომიერ ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლება.

## 24 ჰასჩაკი სლოვაკეთის წინააღმდეგ/*Haščák v. Slovakia* (23 ივნისი, 2022 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე ჰასჩაკი სლოვაკეთის წინააღმდეგ<sup>30</sup> ეხება ეროვნული უშიშროების სამსახურის თითქმის შეუზღუდავ უფლებამოსილებას მოსმენებთან მიმართებით, რომლის განხორციელების წესებიც არ ითვალისწინებდა სათანადო გარანტიებსა და დაცვას ასეთ ღონისძიებებს დაქვემდებარებული პირებისთვის.

**ღ საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** ამ საქმეზე მოსარჩელე იყო ბიზნესპარტნიორი სხვა მოსარჩელისა, რომლის მიმართაც ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე ზოლტან ვარგა სლოვაკეთის წინააღმდეგ.<sup>31</sup> 2005 და 2006 წლებში სლოვაკეთის უშიშროების სამსახურმა ჩაატარა მოსმენა (ე.წ. „გორილას ოპერაცია“), რომელზეც ბრატისლავის რეგიონულმა სასამართლომ სხვადასხვა დროს გასცა 2 ბრძანება. ამ ბრძანებების მიხედვით, უნდა მოესმინათ ბ-ნი ვარგასა და კიდევ ერთი შემთხვევითი პირის კომუნიკაციისთვის. წინამდებარე საქმეში მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ის „ერთი პირი“ თავად იყო. მოსმენის შედეგად გაკეთდა აუდიოჩანაწერი და მომზადდა ანალიტიკური მასალა. ეს ბრძანებები მოგვიანებით გააუქმა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელსაც საჩივრით მიმართა ბ-მა ვარგამ. მიუხედავად ამისა, მოსმენის მასალა ანონიმურად გამოქვეყნდა ინტერნეტში. მოსარჩელემ მიმართა არაერთ სამართლებრივ მექანიზმს,

30 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-217805>.

31 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-211180>.

როგორც სასამართლო და აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების ფარგლებში, რათა მოსმენის მასალა განადგურებულიყო. მან შეიტანა საკონსტიტუციო სარჩელიც, რომელიც არ დაკმაყოფილდა სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, დაგვიანების გამო.

★ **ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ორგანოებს არც ეროვნულ დონეზე და არც მის წინაშე არ დაუყენებიათ კითხვის ნიშნის ქვეშ ფაქტი, რომ მოსარჩელე მიყურადებას დაექვემდებარა ორი ბრძანების საფუძველზე და, მათი შესრულების შედეგად, გარკვეული მასალა კვლავ ინახებოდა საგამოძიებო ორგანოებში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ბრძანებათა შესრულება და მიღებული მასალების შენახვა იყო ჩარევა მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლებაში.

ა) ბრძანებების შესრულება – ევროპულმა სასამართლომ მოიშველია თავისი გადაწყვეტილება საქმეზე *ზოლტან ვარგა სლოვაკეთის წინააღმდეგ* და გაიმეორა, რომ ვარგას საქმის მსგავსად, არც აქ იყო ნათელი გამოსაყენებელი იურისდიქციული წესები, არ იყო შემუშავებული მათი შესრულების პროცედურა და არსებობდა ხარვეზები ამ წესების პრაქტიკაში გამოყენებისას. შესაბამისად, მოსმენის ბრძანებათა შესრულებისას, სახელმწიფო უშიშროების სამსახური, პრაქტიკულად, სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებამოსილებით, რასაც არ ახლდა გარანტიები უფლებებში უკანონო ჩარევისგან დასაცავად. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“, როგორც მოითხოვს კონვენციის მე-8(2) მუხლი. ამასთან, მოსარჩელის სიტუაციას დამატებით ამწვავებდა ის ფაქტიც, რომ თვითონ არ იყო მოსმენის ბრძანებათა სამიზნე და კანონი არ ითვალისწინებდა იმ პირთა დაცვას, რომლებსაც მოსმენა არაპირდაპირ შეეხოთ.

ბ) მოსმენით მიღებული მასალის შენახვა – ევროპულმა სასამართლომ ვარგას საქმეში ხაზი გაუსვა, რომ ამ მასალის შენახვა განისაზღვრებოდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ მიღებული საიდუმლო წესით, რომელიც არ ექვემდებარებოდა გარე კონტროლს. ასეთი წესები აშკარად არ აკმაყოფილებდა ხელმისაწვდომობის მოთხოვნას და არ იცავდა პირს პირად ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისგან. ევროპული სასამართლოს პოზიციით, ვინაიდან ამ მასალის შენახვის წესი არ იყო ხელმისაწვდომი, მან ვერ დააკმაყოფილა „კანონთან შესაბამისობის“ მოთხოვნა, რის გამოც საქმეზე *ზოლტან ვარგა სლოვაკეთის წინააღმდეგ* ევროპულმა სასამართლომ დადგინდა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა. ვარგას საქმეში დადგენილ პოზიციას ევროპული სასამართლო მიემხრო ამ საქმეზეც და, იმავე არგუმენტებზე მითითებით, დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

**კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)**

საქმე კატი გაერთიანებული სამეფოს<sup>32</sup> წინააღმდეგ ეხება მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მონაცემების შენახვას პოლიციის მონაცემთა ბაზაში.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 1948 წლიდან მოყოლებული, მოსარჩელე არაერთი მშვიდობიანი აქციის მონაწილე იყო. 2005 წელს იგი მონაწილეობდა დემონსტრაციებში, რომელთა ორგანიზატორიც იყო ძალადობრივი საპროტესტო ჯგუფი. ასეთმა გამოსვლებმა განაპირობა პოლიციის მობილიზება. აქციების მიმდინარეობისას მოსარჩელე ორჯერ დააკავეს, თუმცა ის არასდროს ყოფილა მსჯავრდებული რაიმე დანაშაულში და მისი მხრიდან ძალადობის საფრთხე იყო მცირე.

2010 წელს, 1998 წლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტის საფუძველზე, მოსარჩელემ პოლიციიდან გამოითხოვა მასზე დაცული მონაცემები. მიღებული ინფორმაციიდან მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ პოლიციის ბაზა, ცნობილი, როგორც „ექსტრემისტული მონაცემების ბაზა“, შეიცავდა ინფორმაციას მის მონაწილეობაზე 2005-2009 წლების დემონსტრაციებში: მათ შორის იყო სახელი და გვარი, საცხოვრებელი მისამართი, დაბადების თარიღი, ზოგ შემთხვევაში – გარეგნობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ერთ-ერთ დემონსტრაციაზე მისთვის გადაღებული ფოტო. ეროვნულ სასამართლოში სამართალწარმოებისას, მოსარჩელე ითხოვდა მისი მონაცემების წაშლას ბაზიდან, რადგან მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა მათი შენახვის საჭიროება.

**★** **ევროპული სასამართლოს შეფასება:** სასამართლოს განმარტებით, მონაცემთა შენახვა იყო ჩარევა მომჩივნის პირად ცხოვრებაში. ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მონაცემები შეგროვდა ზოგადი საპოლიციო უფლებამოსილების ფარგლებში, „შიდა ექსტრემიზმის“ სამუშაო განმარტებაზე მითითებით. თუმცა, საპოლიციო ორგანოები სხვადასხვანაირად განმარტავდნენ ამ ტერმინს. პოლიციის უფლებამოსილების ზოგადი ბუნებისა და აღნიშნული ტერმინის მრავალფეროვანი განსაზღვრებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გაუგებარი იყო, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით აგროვებდა პოლიცია ცნობებს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ რთული იყო „შიდა ექსტრემიზმის“ ბაზისთვის შეგროვებულ მონაცემთა ზუსტი ფარგლებისა და შინაარსის დადგენა; ამასთანავე, ამ პროცესს არ ჰქონდა მკაფიო და გასაგები სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს განმარტებით, იყო თუ არა მოსარჩელის პერსონალურ მონაცემთა შეგროვება, შენახვა და გამოყენება კანონის შესაბამისი, მჭიდროდ უკავშირდებოდა ჩარევის თანაზომიერების საკითხს. შესაბამისად, სასამართლომ მსჯელობა ამ კუთხით განაგრძო.

ევროპული სასამართლოს აზრით, მოსარჩელეზე ასეთი მონაცემების შეგროვება საჭირო იყო პოტენციურად ძალადობრივ საპროტესტო აქციებზე მონიტორინგისათვის,

32 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-189424>.

მიუხედავად იმისა, მოსარჩელე უშუალოდ მონაწილეობდა ასეთ ქმედებებში თუ არა. შესაბამისად, პოლიციისთვის გამართლებული იყო პერსონალურ მონაცემთა შეგროვება შემდგომი შეფასების მიზნით. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი მონაცემების შენახვის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება არ არსებობდა. იმ პირობებში, როცა არ იყო დადგენილი ასეთი მონაცემების შენახვის მაქსიმალური ვადა, მოსარჩელე სრულად იყო დამოკიდებული გარანტიების გონივრულ გამოყენებაზე. სასამართლოს აზრით, როდესაც სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას ასეთი სისტემის შექმნაზე, ეფექტიანი პროცედურული გარანტიების აუცილებლობა გადამწყვეტია. სწორედ მათი მეშვეობით უნდა განადგურდეს მონაცემები, როდესაც ისინი არათანაზომიერად ინახება.

მოქმედი სისტემის მიხედვით, პერსონალური მონაცემი შეიძლება შეენახათ განუსაზღვრელი დროით. მართალია, მოსარჩელეს შეეძლო, მოეთხოვა (და მოითხოვა კიდევ) ამ მონაცემთა გამჟღავნება მისთვის და განადგურება, თუმცა დაცვის გარანტიებს ჰქონდა შეზღუდული შედეგი, რადგან მას უარი უთხრეს მონაცემთა წაშლაზე ან შემდგომი შენახვის დასაბუთებაზე. ეფექტიანი გარანტიების არარსებობა განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო მოსარჩელის შემთხვევაში, რადგან მასზე შეგროვებული პერსონალური მონაცემებიდან ვლინდებოდა პირის პოლიტიკური შეხედულებები, რაც სარგებლობდა დაცვის მაღალი ხარისხით (როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი).

ევროპული სასამართლოს აზრით, მშვიდობიან პროტესტთან დაკავშირებით მოსარჩელის მონაცემთა შენახვა – მათ შორის, პირის ასაკის გათვალისწინებით – არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი და არ ემსახურებოდა კონკრეტული საქმის გამოძიებას. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ ვერ გაიზიარა სახელმწიფოს პოზიცია, თითქოს ამ პერსონალური მონაცემების განადგურება იმდენად დიდი ტვირთი იყო, რომ გონივრულად შეუძლებელი იქნებოდა ამის გაკეთება. სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობას სრულად ეწინააღმდეგება, როცა მთავრობის მიერ შექმნილ ბაზაში ვერ ხერხდება მონაცემთა ადვილად შეცვლა ან წაშლა და შემდეგ ხელისუფლება ამ არგუმენტით ასაბუთებს უარს მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის წაშლაზე. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## 26 *J.L. იტალიის წინააღმდეგ/J.L. v. Italy (27 მაისი, 2021 წელი)*

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე *J.L. იტალიის წინააღმდეგ*<sup>33</sup> ეხება სექსუალური თავდასხმის მსხვერპლის „მეორეულ ვიქტიმიზაციას“ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებაში ასახული მსჯელობის გამო, რომელიც მსხვერპლში იწვევდა ბრალის განცდას, ახდენდა მის მორალიზებას და ასახავდა სექსისტურ სტერეოტიპებს.

33 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-210299>.

**Q საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2008 წელს, მას შემდეგ, რაც მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა მოსარჩელემ შვიდ მამაკაცთან ერთად დატოვა წვეულება, ის ჯგუფურად გაუპატიურეს მანქანაში. მოგვიანებით, შვიდივე მამაკაცს წარედგინა ბრალდება მოსარჩელის ჯგუფურად გაუპატიურებისათვის. ექვსი მათგანი საქალაქო სასამართლომ დაამნაშავედ ცნო, თუმცა შემდეგ სააპელაციო სასამართლომ გაამართლა. სასამართლოს განმარტებით, მსხვერპლის მიერ გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებში არსებობდა არაერთი შეუსაბამობა, რაც ძირს უთხრიდა მისი ჩვენების სანდოობას. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, მსხვერპლის ქცევიდან იკვეთებოდა, რომ ის ბრალდებულებს დათანხმდა სექსუალური კავშირის დამყარებაზე.

სასამართლოს განმარტებით, მართალია, ოჯახური და პირადი მიზეზების გამო, მსხვერპლი რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო (დედა მძიმედ იყო ავად, მამა არ ჰყავდა, ცოტა ხნის წინ დაშორდა შეყვარებულს და, სადავო მოვლენებამდე, ჰქონდა შემთხვევითი სექსუალური ურთიერთობები, მათ შორის, ორ ბრალდებულთან), თუმცა მსხვერპლის მყიფე ფსიქოლოგიური მდგომარეობა გავლენას ვერ მოახდენდა მისი თანხმობის უნარზე. მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა მსხვერპლის პროვოკაციულ და ვულგარულ ქცევას, როგორც იყო: მაცდური ცეკვა წვეულებაზე, ბრალდებულებთან ჩახუტება, ერთ-ერთ პირთან სექსუალური კავშირის დამყარება წვეულებაზე ყოფნისას (რის შესახებაც მალევე გავრცელდა ინფორმაცია ბრალდებულთა შორის) და წითელი თეთრეულის ჩვენება მათთვის მექანიკური ხარის ტარებისას. ამის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ალკოჰოლი გავლენას ვერ მოახდენდა მის განსჯის უნარზე.

წვეულებაზე პროვოკაციული ქცევის, ასევე, ერთ-ერთ პირთან სექსუალური კავშირის დამყარების გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა მოსარჩელის პირველადი თანხმობა მასთან სექსუალურ კავშირზე. დამატებით, წვეულების დატოვების შემდეგ, მსხვერპლი არ გრძნობდა თავს უხერხულად და დამცირებულად იმის გამო, რომ ბრალდებულები სხეულზე ეხებოდნენ. პირიქით - მათ მისცა მანქანამდე გაცილების საშუალება, ხოლო სექსუალური კავშირის დამყარებისას, ინერტული დარჩა. შედეგად, სასამართლოს აზრით, ბრალდებულებმა ჩათვალეს, რომ მოსარჩელე მათთან სექსუალურ კავშირს დათანხმდა.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იტალიაში მოქმედი კანონმდებლობით, გაუპატიურება, მათ შორის, ჩადენილი ჯგუფურად, ძალადობით, ძალადობის მუქართა თუ მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, კანონით ისჯებოდა. შესაბამისად, იტალიაში მოქმედებდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო. ამგვარად, ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, შეძლო თუ არა მოსარჩელემ ეფექტიანად სარგებლობა თავისი უფლებებით და ხომ არ იყო იტალიის კანონმდებლობით გათვალისწინებული მსხვერპლთა დაცვის მექანიზმი ისეთი ხარვეზიანი, რომ გამოეწვია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევა.

ა) მოსარჩელის გამოკითხვა: სასამართლო ორგანოები აღმოჩნდნენ მოვლენათა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიის წინაშე. მათ ხელთ არსებული პირდაპირი მტკიცებულება შედეგობდა მოსარჩელის ჩვენებისგან, რომელიც, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგებოდა გინეკოლოგიური შემოწმების დასკვნას, ასევე, მრავალი ტექნიკური ექსპერტის მიგნებებს, შედგენილს გამომძიებელთა მიერ. ასეთ ვითარებაში, სამართლიანი სასამართლოს ინტერესები მოითხოვდა, რომ დაცვის მხარეს ჰქონოდა მოსარჩელის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ ის არ იყო არასრულწლოვანი და არ იმყოფებოდა ისეთ მოწყვლად მდგომარეობაში, რომ საჭირო გამხდარიყო დამატებითი დაცვის ღონისძიებები. მოსარჩელის, როგორც სექსუალური დანაშაულის მსხვერპლის ჯვარედინი დაკითხვისას, უნდა დადგენილიყო სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, მისი პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებას და, მეორე მხრივ, ბრალდებულის უფლებებს შორის. ასეთი დაკითხვა არ უნდა გამოყენებულიყო მოსარჩელის შეშინების ან დამცირების საშუალებად.

როგორც სასამართლომ აღნიშნა, სისხლის სამართალწარმოებისას, მოსარჩელე და სავარაუდო მოძალადეები არცერთ ეტაპზე არ დაუპირისპირებიან. წინასწარი გამომძიების ფარგლებში მოსარჩელის დაკითხვის ოქმიდან არ იკვეთებოდა მისი უპატივცემულობის ან დაშინების მცდელობა საგამომძიებო ორგანოთა მხრიდან, ან ისეთი ქმედება, რომ გამომძიება წარმართულიყო გარკვეული მიმართულებით. დასმული კითხვები იყო რელევანტური და ემსახურებოდა მოვლენათა აღდგენას მოსარჩელის არგუმენტებსა და პოზიციებზე დაყრდნობით, რაც საგამომძიებო ორგანოებს მისცემდა საგამომძიებო მასალის იმგვარად მომზადების საშუალებას, რომ საქმე სასამართლოში გაგრძელებულიყო. სასამართლოს აზრით, მართალია, ეს მოსარჩელისთვის არასასიამოვნო გამოცდილება იყო, თუმცა ვერ ჩაითვლება, რომ გამომძიების ფარგლებში ჩატარებულმა გამოკითხვებმა მას გაუმართლებელი ტრავმა მიაყენა, ან ეს არათანაზომიერი ჩარევა იყო მოსარჩელის ინტიმურ და პირად ცხოვრებაში.

სასამართლო პროცესის ფარგლებში მოსარჩელე ორჯერ დაიკითხა. ვინაიდან ის სრულწლოვანი იყო და არ მოუთხოვია სხდომის დახურვა, ჩატარდა ღია სხდომა. მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დარბაზში მყოფი ჟურნალისტებისთვის აეკრძალა ფოტო-ვიდეო გადაღება, მოსარჩელის პირადი ცხოვრების დასაცავად. ამას გარდა, ჯვარედინი დაკითხვისას სასამართლოს თავმჯდომარემ რამდენჯერმე გააჩერა ბრალდებულთა ადვოკატები, როდესაც მათ მეტისმეტად ბევრი და პირადული კითხვები დაუსვეს მოსარჩელეს, ან წამოწიეს საკითხები, რომლებიც არ უკავშირდებოდა საქმის გარემოებებს. სასამართლოს თავმჯდომარემ მოკლე შესვენებაც გამოაცხადა მოსარჩელის დასამშვიდებლად.

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მთელი ეროვნული სასამართლო პროცესი განსაკუთრებულად სტრესული იყო მოსარჩელისთვის, რადგან ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოუხდა პასუხების გაცემა მტკიცებულებებთან დაკავშირებულ კითხვებზე, რომლებსაც უსვამდნენ ჯერ გამომძიებლები, შემდეგ კი პროკურატურა და დაცვის მხარის რვა ადვოკატი. ეს უკანასკნელნი არ ერიდებოდნენ ძირის გამოთხრას მოსარჩელის სანდოობისთვის და უსვამდნენ პირადულ კითხვებს, რომლებიც შეეხებოდა მის ოჯახურ ცხოვრებას, სექსუალურ ორიენტაციას და ინტიმურ არჩევანს. ევროპული სასამართლოს

შეფასებით, ეს საკითხები არ უკავშირდებოდა საქმის გარემოებებს და აშკარად ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რომლებიც მიემართება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, არამედ იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც.

ევროპული სასამართლოს აზრით, პროკურორისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის დამოკიდებულება აჩვენებს, რომ გატარდა ღონისძიებები მოსარჩელის დასაცავად პირად ცხოვრებაში ჩარევისა და დაცვის მხარის ცილისწამებისგან. შესაბამისად, სამართალწარმოებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმ სტრუქტურული გამოცდილებისთვის, რომელიც მოსარჩელემ მიიღო სამართალწარმოების პროცესში; ამ ორგანოებს არაფერი გაუკეთებიათ, რაც დაარღვევდა მის პირად ავტონომიას.

ბ) სასამართლოების გადაწყვეტილებათა შინაარსი: რაც შეეხება გადაწყვეტილებათა დასაბუთებას, ევროპული სასამართლოს აზრით, მისი როლი არ არის, რომ ეროვნულ ორგანოთა ნაცვლად გადაწყვიტოს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მან უნდა შეაფასოს, განაპირობა თუ არა ეროვნულ სასამართლოთა დასაბუთებებმა და მათ მიერ გამოყენებულმა არგუმენტებმა ჩარევა მოსარჩელის პირადი ცხოვრებისა და ავტონომიის უფლებაში და დაირღვა თუ არა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება.

ევროპული სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების რამდენიმე მონაკვეთმა დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლება. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წითელ საცვალზე მითითება, რომელსაც მოსარჩელე „აჩვენებდა“ საღამოს განმავლობაში, იყო გაუმართლებელი, ისევე, როგორც კომენტარების გაკეთება მის ბიქსუალობაზე, სხვადასხვა ურთიერთობასა და შემთხვევით სექსუალურ კავშირებზე შესაბამის მოვლენამდე. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ შეუფერებლად მიიჩნია პოზიცია სექსის მიმართ მოსარჩელის არაერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებასთან მიმართებით. გარდა ამისა, სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის გადაწყვეტილება, გაესაჩივრებინა თავს გადამხდარი მოვლენები, განაპირობა საკუთარი სისუსტის გაქარწყლების სურვილმა, რაც სამწუხარო და შეუფერებელი იყო, ისევე, როგორც მითითება მოსარჩელის „არასწორხაზოვან ცხოვრებაზე“. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს არგუმენტები და მოსაზრებები არ იყო რელევანტური მომჩივნის სანდოობის შესაფასებლად და ეს საკითხი შეიძლება შეფასებულიყო გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მრავალი ობიექტური დასკვნის საფუძველზე.

მოსარჩელის სანდოობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რასაც შეიძლება გაემართლებინა ერთ ან რამდენიმე ბრალდებულთან წინა ურთიერთობების მოშველიება, ან ქალის ქცევაზე მითითება იმ საღამოს, როდესაც მასზე იძალადეს. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, მოსარჩელის ოჯახური მდგომარეობა, ურთიერთობები, სექსუალური ორიენტაცია, ჩაცმულობა და სახელოვნებო თუ კულტურული საქმიანობა არ უკავშირდებოდა მისი სანდოობის ან ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის შეფასებას. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, არ შეიძლება, ამგვარი ჩარევა მოსარჩელის პირად ცხოვრებასა და რეპუტაციაში გამართლდეს აუცილებლობით, რომ ბრალდებულს უნდა ესარგებლა დაცვის უფლებით.

ევროპული სასამართლოს აზრით, გენდერული ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება ასევე მოიცავს მისი ავტორიტეტის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების დაცვას ისეთი პერსონალური ინფორმაციისა და მონაცემების გამჟღავნებისგან, რომლებიც არ უკავშირდება საქმის გარემოებებს. მოსამართლეთა უფლება, საკუთარი პოზიცია გამომხატონ გადაწყვეტილებებში (სასამართლოთა დისკრეციული უფლებამოსილებისა და დამოუკიდებლობის გამოვლინება), შეზღუდულია ვალდებულებით, რომელიც გულისხმობს სასამართლოს წინაშე მყოფ პირთა რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების დაცვას გაუმართლებელი ჩარევისგან.

ევროპული სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ენა და არგუმენტები წარმოაჩენს იტალიის საზოგადოებაში არსებულ ცრურწმენებს ქალთა როლის შესახებ და, სავარაუდოდ, აბრკოლებს გენდერული ძალადობის მსხვერპლთა უფლებების ეფექტიან დაცვას, დამაკმაყოფილებელი საკანონმდებლო ბაზის არსებობის მიუხედავად.

სისხლის სამართალწარმოება და სანქციები არსებით როლს ასრულებს გენდერულ ძალადობაზე ინსტიტუციურ რეაგირებასა და გენდერულ უთანასწორობასთან ბრძოლაში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სასამართლო ორგანოებმა თავი აარიდონ სექსისტურ სტერეოტიპებს სასამართლო გადაწყვეტილებებში. მათ არ უნდა დააკნინონ გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის მნიშვნელობა, უნდა აიცილონ ქალთა მეორეული ვიქტიმიზაცია, იმოქმედონ ისე, რომ მსხვერპლში არ გამოიწვიონ ბრალეულობის განცდა და აირიდონ გამკიცხავი კომენტარები, რომლებსაც შეუძლია, ძირი გამოუთხაროს მსხვერპლთა ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ.

საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, ეროვნული ორგანოები შეეცადნენ, ამ საქმეზე გამოძიება და სასამართლო სამართალწარმოება წარმართულიყო კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესაბამისად, თუმცა, ამავე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელის უფლებები და ინტერესები არ იყო სათანადოდ დაცული, რაც განაპირობა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსმა. შესაბამისად, ეროვნულმა ორგანოებმა სამართალწარმოებისას ვერ დაიცვეს მოსარჩელე მეორეული ვიქტიმიზაციისგან, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბოლოო განაჩენის შინაარსმა, განსაკუთრებით, მისი საჯაროობის გამო. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.





# საგადასახადო ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება

## 27 L.B. უნგრეთის წინააღმდეგ/L.B. v. Hungary, დიდი პალატა (19 მარტი, 2023 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე L.B. უნგრეთის წინააღმდეგ<sup>34</sup> ეხება მოსარჩელის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, მათ შორის, საცხოვრებლის მისამართის გაუმართლებელ გამოქვეყნებას საგადასახადო სამსახურის ვებგვერდზე, რაც მოჰყვა მისი მხრიდან საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობას.

**ა** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2003 წლის ადმინისტრაციული საგადასახადო აქტის მიხედვით, საგადასახადო და საბაჟო ეროვნულმა სამსახურმა საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა მოსარჩელის პერსონალური მონაცემები (მათ შორის, სახელი, გვარი და საცხოვრებელი მისამართი). თავდაპირველად, სამსახურმა გაასაჯაროვა იმ პირთა სია, რომლებიც არ იხდიდნენ გადასახადებს, ხოლო მოგვიანებით გამოაქვეყნა დებიტორთა ნუსხა. საგადასახადო დებიტორთა პერსონალური მონაცემების სისტემური და სავალდებულო გამოქვეყნება ეხებოდა ყველა იმ პირს, რომელთა საგადასახადო დავალიანებაც შესაბამისი კვარტლის ბოლოს იყო 10 მლნ. უნგრული ფორინტი (დაახლოებით 28,000 ევრო) და აღემატებოდა 180 დღეს.

2021 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით, ევროპული სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ ამ საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, პალატის აზრით, პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროებით მოსარჩელის პირად ცხოვრებას არ დააწვა იმაზე მეტი ტვირთი, ვიდრე საჭირო იყო სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. მოსარჩელემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში.

**★** **ევროპული სასამართლოს დიდი პალატის შეფასება:** დიდ პალატაში საქმის განხილვა ეხებოდა მოსარჩელის, როგორც საგადასახადო დებიტორის, პირადი მონაცემების გამოქვეყნებას, რადგან პირველად მისი მონაცემების გამოქვეყნება (როგორც პირის, რომელიც არ იხდიდა გადასახადს) შეწყდა ექვსი თვით ადრე, ვიდრე ევროპულ სასამართლოს მიმართავდა.

34 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-223675>.

მონაცემები, როგორცაა სახელი და საცხოვრებელი მისამართი, საგადასახადო ორგანოს მიერ დამუშავდა და გამოქვეყნდა იმის გამო, რომ მოსარჩელემ არ შეასრულა საგადასახადო ვალდებულებები, აშკარად ეხებოდა ინფორმაციას პირადი ცხოვრების შესახებ. შესაბამისად, მოსარჩელის პერსონალურ მონაცემთა გამოქვეყნება შეიძლება ჩაითვალოს ჩარევად პირადი ცხოვრების უფლებაში.

i) დიდი პალატის მოსაზრებით, ასეთი მონაცემების გასაჯაროება დადგენილი იყო 2003 წლის საგადასახადო ადმინისტრირების აქტით. აქედან გამომდინარე, ჩარევა იყო კანონის შესაბამისი. ii) ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საგადასახადო დებიტორთა მონაცემების გასაჯაროებას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი - „ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების“ დაცვა. კერძოდ, ღონისძიება ემსახურებოდა საგადასახადო დისციპლინის გაუმჯობესებას შემაკავებელი ეფექტის მეშვეობით და შეეძლო ამ მიზნის მიღწევა. გარდა ამისა, ასეთი მონაცემები მესამე მხარეს აწვდიდა ინფორმაციას საგადასახადო დებიტორის ფინანსურ მდგომარეობაზე და, აქედან გამომდინარე, ინფორმაციის გასაჯაროება ემსახურებოდა ბიზნესურთიერთობის გამჭვირვალობასა და სანდოობას და, შესაბამისად, „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“.

iii) რაც შეეხება დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის საკითხს: ევროპული სასამართლოს აზრით, ამ საქმეში მთავარი კითხვა იყო, შენარჩუნდა თუ არა სწორი ბალანსი, ერთი მხრივ, ზემოაღნიშნულ ლეგიტიმურ მიზნებსა და ინტერესებს და, მეორე მხრივ, კერძო პირთა ინტერესებს შორის, რომ სახელმწიფოს დაეცვა მათ შესახებ საგადასახადო მიზნებით შენახული გარკვეული მონაცემები.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება არ იყო საგადასახადო სამსახურის ინდივიდუალური გადაწყვეტილება – ეს ვალდებულება გამომდინარეობდა საგადასახადო ადმინისტრირების აქტიდან. ამიტომ, მას უნდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს შეფასების თავისუფლება, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრავდა გადასახადების გადამხდელთა მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულებას.

ევროპული სასამართლო დაინტერესდა, იყო თუ არა კონსენსუსი ეროვნულ და ევროპულ დონეზე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მონაწილე 34 ქვეყნიდან, რომლებიც მან შეისწავლა, 21-ში საჯარო სამსახურს შეუძლია (ზოგ შემთხვევაში კი ევალება) იმ პირთა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ საგადასახადო ვალდებულებებს, თუმცა გარკვეული პირობების დაცვით. ამასთანავე, სახელმწიფოთა ამ ჯგუფის ეროვნულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი განსხვავებებია ისეთი კუთხით, როგორცაა გამოქვეყნებულ მონაცემთა ფარგლები, გამოქვეყნების წინაპირობები, გადაუხდელი დავალიანების ოდენობა და მისი ხანგრძლივობა, რის შემდეგაც საჯაროვდება ეს მონაცემები. ამ სახელმწიფოთა უმრავლესობა იძლევა შეუზღუდავ წვდომას ინფორმაციაზე გადასახადის გადამხდელთა შესახებ. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს მიერ მიმოხილული სახელმწიფოებიდან მხოლოდ 8 ასაჯაროებს გადასახადის გადამხდელის საცხოვრებელ მისამართს, აქედან 2-ში დამატებით მიეთითება საცხოვრებელი მუნიციპალიტეტიც.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მონაწილე სახელმწიფოები შეფასების დიდი თავისუფლებით სარგებლობენ, როცა განსაზღვრავენ, რამდენად საჭიროა მათი საგადასახადო სისტემის სათანადოდ ფუნქციონირებისთვის იმ პირთა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება, რომლებიც ვერ ასრულებენ საგადასახადო ვალდებულებებს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს დისკრეცია ამ სფეროში არ არის შეუზღუდავი. ევროპული სასამართლოს აზრით, კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა – იქნება ეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო – უნდა დაადგინონ ბალანსი სხვადასხვა კონკურენტულ ინტერესს შორის და, სულ მცირე, გაითვალისწინონ: ა) შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების საჯარო ინტერესი; ბ) გავრცელებული ინფორმაციის ბუნება; გ) გავლენა და საფრთხეები შესაბამის პირთა მიერ პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობასთან მიმართებით; დ) პოტენციური წვდომა ამ ინფორმაციის გასავრცელებლად გამოყენებულ საშუალებაზე, განსაკუთრებით ინტერნეტით; ე) მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები, მათ შორის, შეზღუდვის მიზნის, შენახვის ხანგრძლივობის, მონაცემთა მინიმუმაციისა და მათი სისწორის შესახებ. ამ თვალსაზრისით, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პროცედურული გარანტიების არსებობამაც.

ამის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ განიხილა, მოექცა თუ არა უნგრეთში დადგენილი ნორმატიული რეგულირება სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში. ევროპული სასამართლოს პოზიციით, მონაცემთა სავალდებულო გამოყენების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ უნგრეთის საგადასახადო ორგანოს, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, არ აქვს დისკრეცია, იმსჯელოს გადასახადის გადამხდელთა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების საჭიროებაზე. პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება სავალდებულო იყო რაიმე სუბიექტური შეცდომის ან სხვა ინდივიდუალური გარემოების მიუხედავად და საგადასახადო სამსახური საკუთარ ვებგვერდზე სისტემატურად ასაჯაროებდა ნებისმიერი საგადასახადო დებიტორის სახელსა და საცხოვრებელ მისამართს, თუკი ის აკმაყოფილებდა საგადასახადო აქტის 55(5)-ე ნაწილით დადგენილ ობიექტურ კრიტერიუმებს. ეს ინფორმაცია გამოქვეყნებული რჩებოდა ვიდრე არ დაიფარებოდა დავალიანება, ან ის აღარ იყო აღსრულებადი. სხვა სიტყვებით, 2003 წლის საგადასახადო ადმინისტრირების აქტით განსაზღვრული გამოქვეყნების წესი არ მოითხოვდა კონკურენტული ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსის დადგენას, ან ინდივიდუალური თანაზომიერების შეფასებას საგადასახადო ორგანოს მიერ.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ასეთი ზოგადი სისტემის არსებობა, თავისთავად, არ არის პრობლემა, ისევე, როგორც გადასახადის გადამხდელთა მონაცემების გამოქვეყნება. მიუხედავად ამისა, იგი საჭიროდ მიიჩნევა საკანონმდებლო არჩევანის განხილვას, კერძოდ: შეაფასა თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლებამ კონკურენტული ინტერესები, მით უფრო, ისეთი პერსონალური მონაცემის გამოქვეყნებისთვის, როგორცაა საცხოვრებლის მისამართი.

ევროპული სასამართლოს აზრით, ნათელი არ არის, რომ პარლამენტმა შეაფასა საგადასახადო ადმინისტრირების აქტის 55(5)-ე ნაწილით განსაზღვრული ყველა ელემენტის გამოქვეყნების აუცილებლობა, განსაკუთრებით, იყო თუ არა საჭირო გადასახადის გადამხდელის საცხოვრებელი მისამართის გამოქვეყნება შემაკავებელი ეფექტის მოსახდენად.

მეტიც, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ხელისუფლებამ განიხილა აქტის 55(5)-ე ნაწილით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა გამოქვეყნების გავლენა პირად ცხოვრებაზე, განსაკუთრებით, საფრთხე, რომ საზოგადოების სხვა წევრები ბოროტად ისარგებლებდნენ საგადასახადო დებიტორთა მისამართის ცოდნით. არც ის ჩანს, რომ გაითვალისწინეს შესაბამისი ინფორმაციის გასავრცელებელ საშუალებებზე პოტენციური წვდომის ბუნებრივი, სავარაუდო და განჭვრეტადი შედეგები: კერძოდ, საგადასახადო ორგანოს ვებგვერდზე პერსონალური მონაცემის გამოქვეყნება გულისხმობს, რომ წვდომის მოტივის მიუხედავად, მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირს შეუძლია, შეუზღუდავად მიიღოს ინფორმაცია ამ სიაში მყოფ საგადასახადო დებიტორთა სახელებსა და საცხოვრებელ მისამართებზე, გარდა იმისა, რომ არსებობს მონაცემთა ხელახლა გამოქვეყნების საფრთხე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება მტკიცება, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება შეესაბამება საჯარო ინტერესებს, თუმცა არ ჩანს, რომ პარლამენტმა განიხილა, იყო თუ არა აუცილებელი ყველა შესაბამისი მონაცემის, განსაკუთრებით, საგადასახადო დებიტორის საცხოვრებელი მისამართის გამოქვეყნება მონაცემთა შეგროვების თავდაპირველი მიზნის მისაღწევად – ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის დასაცავად. მართალია, ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა ქვეყანაში საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების ხელშეწყობა, ხოლო გადასახადის გადამხდელთა საცხოვრებელი მისამართების გამოქვეყნება საჭირო იყო გასაჯაროებული ინფორმაციის დასადასტურებლად, სასამართლოს აზრით, არ ჩანს, რომ ხელისუფლების ღონისძიებები სათანადოდ პასუხობს გასაჯაროებულ მონაცემთა მინიმუმაციის პრინციპს.

შესაბამისად, გაითვალისწინა რა გადასახადის გადამხდელთა მონაცემების, მათ შორის, საცხოვრებელი მისამართების სისტემატური გამოქვეყნება, ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა შემდეგი დასკვნა: მართალია, სახელმწიფოს ჰქონდა თავისუფალი შეფასების ფარგლები, თუმცა მიზეზები, რომლებსაც უნგრეთის საკანონმდებლო ორგანო დაეყრდნო აქტის 55(5)-ე ნაწილის მიღებისას, რელევანტურობის მიუხედავად, არ იყო საკმარისი იმის საჩვენებლად, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და მოპასუხე სახელმწიფომ დაიცვა სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ ინტერესებს შორის.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.



## სატელეკომუნიკაციო სერვისკროვადარის მონაცემთა შეგროვება და გამოყენება

### 28 ბრეიერი გერმანიის წინააღმდეგ/Breyer v. Germany (30 იანვარი, 2020 წელი)

#### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე ბრეიერი გერმანიის წინააღმდეგ<sup>35</sup> ეხება მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთა ვალდებულებას, შეენახათ იმ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები, რომლებიც იყენებდნენ წინასწარი გადახდის (pre-paid) სიმბარათს, და მიეწოდებინათ ისინი სახელმწიფო ორგანოებისთვის, მათი თხოვნის საფუძველზე.

**ა** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2004 წელს, გერმანიის ტელეკომუნიკაციის აქტში შეტანილი ცვლილებით, სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებს დაეკისრათ ვალდებულება, შეეგროვებინათ და შეენახათ ყველა მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, იმათიც, ვისი მონაცემებიც არ იყო საჭირო გადასახადის დასარიცხად ან სხვა სახელშეკრულებო მიზნებისთვის. ამ ცვლილებამდე, მიმწოდებლები უფლებამოსილნი იყვნენ, შეეგროვებინათ და შეენახათ მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის, წინასწარი გადახდის სიმბარათები კი ამგვარი მონაცემების შეგროვებას არ საჭიროებდა. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი პერსონალური ინფორმაციის მოძიება და გადაცემა შეიძლება მოეთხოვა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს, სასამართლო ბრძანებისა და იმ პირის შეტყობინების გარეშე, რომელსაც შეეხებოდა აღნიშნული ინფორმაცია. მონაცემთა გამოთხოვა დაშვებული იყო, თუ ეს საჭიროდ მიიჩნეოდა „დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მისაცემად, საფრთხის ასაცილებლად და უშიშროებასთან დაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად“.

მოსარჩელებმა შეიძინეს წინასწარ გადახდილი სიმბარათი. გააქტიურებისას მათ მოსთხოვეს, რომ შესაბამის მომსახურების მიმწოდებელთან დაერეგისტრირებინათ საკუთარი სახელები, საცხოვრებელი მისამართები და დაბადების თარიღები. ამ მოთხოვნით უკმაყოფილო მოსარჩელებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუმცა მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

35 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-200442>.

ამის შემდეგ მოსარჩელებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს, რომლის წინაშეც ამტკიცებდნენ, რომ პერსონალური ინფორმაციის შენახვა არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს და ასეთი ჩარევა პირად ცხოვრებაში არ იყო დასახული მიზნის თანაზომიერი.

★ **ევროპული სასამართლოს შეფასება:** მომსახურების მიმწოდებელთა ვალდებულება, რომ ტელეკომუნიკაციის აქტის 111-ე მუხლის შესაბამისად, შეენახათ მოსარჩელეთა პერსონალური მონაცემები, იყო ჩარევა მათ პირად ცხოვრებაში.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეთა პერსონალური მონაცემები ინახებოდა ტელეკომუნიკაციის აქტის 111-ე მუხლზე დაყრდნობით. შესაბამისად, შენახვას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. აქტის ეს მუხლი საკმარისად ცხადი და განჭვრეტადი იყო, გარდა ამისა, ადგენდა მონაცემთა შენახვის ხანგრძლივობას და მკაფიოდ განსაზღვრავდა შენახვის ტექნიკურ მხარეს. რაც შეეხება სახელმწიფო უწყებათა წვდომას მონაცემებზე, ამ საკითხის მარეგულირებელი მუხლების (აქტის 112-ე-113-ე მუხლები) განჭვრეტადობა და საკმარისი დეტალურობა უკავშირდებოდა უფრო ფართო თემას – იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი და თანაზომიერი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლოს განმარტებით, ჩარევას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევი საშუალების არჩევისას, ხელისუფლება სარგებლობდა გარკვეული თავისუფლებით, რადგან წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობდა კონსენსუსი იმ მონაცემთა შეგროვება-შენახვაზე, რომლებიც შეეხებოდა წინასწარ გადახდილ სიმბარათთა მფლობელებს. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ გადაუღალავს ამ თავისუფლების ფარგლები. ამასთან, სასამართლომ დაადასტურა, რომ ასეთი ინფორმაციის შენახვა შესაფერისი პასუხია ზოგადად კომუნიკაციის სფეროში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე: მობილური ტელეფონის მომხმარებელთა წინასწარი რეგისტრაცია მნიშვნელოვნად გაამარტივებდა და დააჩქარებდა სამართალდამცველი ორგანოებისთვის გამოძიების პროცესს. შესაბამისად, ამ ღონისძიებას შეეძლო წვლილის შეტანა სამართალდამცველ ორგანოთა ეფექტიან საქმიანობაში, ასევე, უწყსრიგობისა და დანაშაულის აცილებაში. გარდა ამისა, სამართლებრივი ვალდებულებისთვის გვერდის ავლის შესაძლებლობა ეჭვქვეშ ვერ დააყენებდა მის ზოგად სარგებლიანობასა და ეფექტიანობას. საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა თანაზომიერი იყო შემდეგი მიზეზების გამო:

ა) *პირად ცხოვრებაში ჩარევის ხარისხი* – სასამართლოს აზრით, პერსონალური მონაცემები, რომელთა შეგროვებასა და შენახვასაც ასაჩივრებდნენ მოსარჩელები, არ შეიცავდა მეთისმეტად პირადულ ინფორმაციას და არ იძლეოდა მათი პერსონალური პროფილის შექმნის ან გადაადგილების კონტროლის შესაძლებლობას. ამასთანავე, არასოდეს ინახებოდა ინფორმაცია პირის კომუნიკაციაზე. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში ჩარევა იყო შეზღუდული სახის;

ბ) დაცვის გარანტიები – სასამართლოს აზრით, ასეთი მონაცემების შენახვას არ ემუქრებოდა რაიმე ტექნიკური საფრთხე. ამასთანავე, შენახვის ხანგრძლივობა იყო შეზღუდული – კერძოდ, ინფორმაცია ინახებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების მომდევნო კალენდარულ წლამდე. ეს ვადა არ შეიძლებოდა შეუსაბამოდ ჩათვლილიყო, მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს და პროცესი გაგრძელდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც. ამასთანავე, შენახული მონაცემები მოიცავდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელი იყო მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ ტელეკომუნიკაციების აქტის 112-ე მუხლი ამარტივებდა მონაცემთა გამოთხოვას სახელმწიფო უწყებების მიერ: ინფორმაციის გამოთხოვის ცენტრალიზებული და ავტომატიზებული პროცედურა მათთვის მონაცემებს ხელმისაწვდომს ხდიდა ნებისმიერ დროს, დაყოვნების გარეშე, თუმცა იმავე აქტში ამომწურავად იყო ჩამოთვლილი ინფორმაციის გამოთხოვაზე უფლებამოსილი უწყებები, რაც სასამართლომ მზლუდავ ფაქტორად მიიჩნია. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა უფლებამოსილი უწყების საქმიანობა უკავშირდებოდა სამართალდამცავ საქმიანობის ან ეროვნული უსაფრთხოების დაცვას.

რაც შეეხება 113-ე მუხლს, რომელიც ინფორმაციის გამოთხოვისთვის ითვალისწინებდა წერილობითი მოთხოვნის წარდგენას, ეს ნორმა უშუალოდ არ ჩამოთვლიდა უფლებამოსილ პირებს, თუმცა მათ განსაზღვრავდა სამსახურებრივ მოვალეობებზე მითითებით. სასამართლოს შეფასებით, მართალია, უფლებამოსილ პირთა ჩამონათვალის არარსებობა ტოვებდა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, თუმცა, მეორე მხრივ, სამსახურებრივ მოვალეობებზე მითითებით, ნორმა საკმარისად ნათლად განსაზღვრავდა, თუ ვის ჰქონდა ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ორივე მუხლი მონაცემებს იცავდა გადამეტებული ან არაკეთილსინდისიერი გამოყენებისგან, რადგან ინფორმაციის მომთხოვნ ორგანოს დამატებითი სამართლებრივი საფუძველი სჭირდებოდა სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამასთან, შესაბამის ორგანოებს, რომლებიც ითხოვდნენ ინფორმაციას, ეკისრებოდათ ზოგადი ვალდებულება – ზედმეტი შეფერხების გარეშე წაეშალათ ნებისმიერი მონაცემი, რომელიც არ სჭირდებოდათ. დაბოლოს, ინფორმაციის მოთხოვნაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება, შეემოწმებინათ მოთხოვნის დასაშვებობა, თუმცა ინფორმაციის როგორც წერილობით, ისე ცენტრალიზებული და ავტომატიზებული პროცედურით მოთხოვნისას, შესაბამის ორგანოებს ჰქონდათ ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია. გარდა ამისა, ინფორმაციის გამოთხოვის თითოეული შემთხვევა და გაცემული მონაცემები აღირიცხებოდა მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველობის მიზნით. პროცესს აკონტროლებდა მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც, გარდა იმისა, რომ ამოწმებდა მონაცემთა რეგულაციებთან შესაბამისობას, უფლებამოსილი იყო, განეხილა ნებისმიერი პირის საჩივარი, რომელიც მიიჩნევდა, რომ დაერღვა უფლებები საჯარო უწყებათა მიერ მისი პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა ან გამოყენებისას. და ბოლოს, ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ზოგად წესებზე დაყრდნობით, პირს

შექმლო სამართლებრივი დავის წამოწყება ინფორმაციის უკანონოდ გამოთხოვასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეთა პერსონალური მონაცემების შენახვა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლების მიერ, ტელეკომუნიკაციის აქტის შესაბამისად, იყო თანაზომიერი და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ამგვარად, არ დარღვეულა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.





## პირადი მიმოწერის მონიტორინგი/გამოყენება

**29** ნუჰ უზუნი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ/*Nuh Uzun and Others v. Turkey* (29 მარტი, 2022 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (მიმოწერის თავისუფლება)

საქმე ნუჰ უზუნი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ<sup>36</sup> ეხება თავისუფლებააღკვეთილ პირთა კორესპონდენციის შემოწმებას და ატვირთვას ეროვნული სასამართლო ქსელის სერვერზე.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2016 წელს, გადატრიალების მცდელობის შემდეგ, 14 მოსარჩელე მოათავსეს თურქეთის სხვადასხვა ციხეში, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის. მათ მიმართეს ეროვნულ სასამართლოს, სადაც ამტკიცებდნენ, რომ უნდა დასრულებულიყო მათი მიმოწერის (როგორც მიღებული, ისე გაგზავნილი წერილების) სისტემური შემოწმება და ატვირთვა ეროვნული სასამართლო ქსელის სერვერზე (UYAP). მოსარჩელები იშველიებდნენ კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, იცავს პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის თავისუფლებას. ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მოსარჩელეთა მოთხოვნა და განმარტეს, რომ გარდა იმ ფაქსიმილიური შეტყობინებებისა და დალუქულ კონვერტებში მოთავსებული წერილებისა, რომლებსაც მსჯავრდებულები/დაკავებულები თავიანთ ადვოკატებს გადასცემდნენ დაცვის მიზნით, ან ოფიციალური ორგანოებისთვის წარსადგენად, ყველა წერილი, ფაქსიმილური შეტყობინება და შუამდგომლობა, რომლის გაგზავნაც სურდათ მათ (განსაკუთრებით, ტერორიზმისა ან ორგანიზებული დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს/დაკავებულებს), ან/და რომლებსაც ისინი იღებდნენ, აუცილებლად უნდა დასკანერებულიყო და ატვირთულიყო UYAP-ის სისტემაში.

**★** **ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა პირადი მიმოწერა, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, ექცევა პირადი ცხოვრების სფეროში. მისი აზრით, პირადი მიმოწერის სკანირება და ატვირთვა სერვერზე იყო ჩარევა მოსარჩელეთა პირადი ცხოვრების უფლებასა და მიმოწერის თავისუფლებაში. სასამართლოს მითითებით, როდესაც საქმე ეხებოდა პერსონალურ მონაცემებს, მნიშვნელოვანი იყო მკაფიო და დეტალური წესების არსებობა, რომლებიც მოაწესრიგებდა ასეთ ღონისძიებათა გამოყენების ფარგლებს და განსაზღვრავდა მინიმალურ გარანტიებს, რათა შეენარჩუნებინათ ამ მონაცემთა კონფიდენციალურობა და დაედგინათ პროცედურა მათი განადგურებისთვის.

36 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-216748>.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, პატიმართა და მსჯავრდებულთა მიმოწერაზე მონიტორინგს არეგულირებდა ეროვნული კანონმდებლობა, თუმცა ის არ აწესრიგებდა ამ მიმოწერის სკანირებისა და UYAP-ის კომპიუტერულ სისტემაში ატვირთვის საკითხებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიმოწერის ატვირთვის ეროვნული სასამართლო ქსელის სერვერზე საფუძვლად ედო იუსტიციის მინისტრის ინსტრუქცია, მომზადებული 2016 და 2017 წლებში, წერილების სახით. ამ დოკუმენტის მიხედვით, გარდა ფაქსიმილური შეტყობინებებისა და დალუქულ კონვერტებში მოთავსებული წერილებისა, რომლებსაც დაკავებულები/მსჯავრდებულები უგზავნიდნენ ადვოკატებსა ან ოფიციალურ ორგანოებს, ნებისმიერი წერილი, ფაქსით შეტყობინება და შუამდგომლობა, რომელთა გაგზავნაც სურდათ მათ (განსაკუთრებით, ტერორიზმისა ან ორგანიზებული დანაშაულისთვის დაკავებულებს), ან/და რომლებსაც ისინი იღებდნენ, აუცილებლად უნდა დასკანერებულიყო და ატვირთულიყო UYAP-ის სისტემაში. ევროპული სასამართლოს აზრით, არაფერი მიუთითებდა, რომ წერილების სახით მომზადებული ინსტრუქცია ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით, მოსარჩელე პატიმრებისთვის.

ევროპული სასამართლოს აზრით, 2016 და 2017 წლების წერილები იყო შიდა, გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, რომლებითაც იუსტიციის სამინისტრო ინსტრუქციებს გაცემდა სასჯელაღსრულების ორგანოებისთვის. შესაბამისად, ეს მითითებები არ იყო სავალდებულო მოქალაქეებისთვის, რადგან მათ შინაარსს არ აცნობდნენ პატიმრებს. ამასთან, ინსტრუქციები ვერ სთავაზობდა პატიმრებს შესაფერის დაცვას, რომ თავიდან აეცილებინათ სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებური ჩარევა კონვენციით გარანტირებულ უფლებებში. ამგვარად, ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთი ინსტრუქციები ვერ ჩაითვლებოდა „კანონად“, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეთა უფლებებში ჩარევა ვერ იქნებოდა „კანონის შესაბამისი“, კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით. ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## 30 *M.P. პორტუგალიის წინააღმდეგ/M.P. v. Portugal (7 სექტემბერი, 2021 წელი)*

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე *M.P. პორტუგალიის წინააღმდეგ*<sup>37</sup> ეხება მოსარჩელის ელექტრონულ მიმოწერას გაცნობის ვებგვერდზე, რომელიც მისი თანხმობის გარეშე გამოიყენა ყოფილმა ქმარმა სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

**ა** **საპრინციპული ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელის ყოფილი ქმარი გაეცნო მოსარჩელის ელექტრონულ მიმოწერას გაცნობის ვებგვერდზე და მისი თანხმობის გარეშე წარადგინა სასამართლო პროცესებზე, როგორც ერთობლივ მეურვეობასთან დაკავშირებით (რომელიც თავისი ინიციატივით დაიწყო), ისე განქორწინების შესახებ. საოჯახო საქმეთა სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს ელექტრონული მიმოწერა. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელემ გაასაჩივრა ფაქტი, რომ ეროვნულმა ორგანოებმა არ დააკისრეს პასუხისმგებლობა ყოფილ ქმარს ამ მიმოწერის გასაჯაროებისთვის.

37 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-211781>.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს აზრით, საქმე ეხებოდა ელექტრონულ მიმოწერას, რომელსაც მოსარჩელე აწარმოებდა კაცებთან, გაცნობის ვებგვერდზე. ეს იყო პირადი გზავნილები, რომელთა მიმართაც პირებს ჰქონდათ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ არ გამოქვეყნდებოდა მათი თანხმობის გარეშე, რადგან ასეთი მიმოწერის გასაჯაროება იქნებოდა მძიმე ჩარევა პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის უფლებაში. აღნიშნული გზავნილები ექცეოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში, შესაბამისად, საქმის გარემოებებზე ვრცელდებოდა ამ მუხლით განსაზღვრული გარანტიები. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვინაიდან მოსარჩელის პირად ცხოვრებაში ჩაერია კერძო პირი (ყოფილი მეუღლე) და არა სახელმწიფო, სარჩელი განიხილებოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კუთხით, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-8 მუხლი.

მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, წერილებისა და კომუნიკაციის შინაარსზე წვდომა ავტორის თანხმობის გარეშე და მისი გასაჯაროება ისჯებოდა სისხლის სამართლი კანონმდებლობით. მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი მიმოწერის უფლების დარღვევაზე, რის შედეგადაც პროკურატურამ დაიწყო გამოძიება. ამასთან, მოსარჩელეს, მისივე თხოვნის საფუძველზე, მიენიჭა უფლება, მონაწილეობა მიეღო სისხლის სამართალწარმოებაში, რაც საშუალებას აძლევდა, აქტიური როლი შეესრულებინა ამ პროცესში. კერძოდ, მას ჰქონდა საშუალება, წარედგინა მტკიცებულება და, მოგვიანებით, მოეთხოვა გამოძიების დაწყება, როდესაც პროკურატურამ მიიღო გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ უარი თქვა კომპენსაციის მოთხოვნაზე მიმოწერის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მან გამოთქვა სურვილი, რომ სისხლის სამართალწარმოება გაგრძელებულიყო მხოლოდ მისი უფლებების სავარაუდო დარღვევის აღიარებისთვის. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის შემთხვევაში, პორტუგალიის მოქმედი სამართლებრივი სისტემა სათანადოდ დაიცავდა პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის საიდუმლოებას.

რაც შეეხება წვდომას მოსარჩელის ელექტრონულ ფოსტაზე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ ქმარს სრული წვდომა მისცა ფოსტაზე, რომელსაც იყენებდა გაცნობის საიტზე შესასვლელადაც. ამგვარად, ამ საიტზე არსებული მესიჯები იყო უკვე წყვილის (და არა მხოლოდ მოსარჩელის) პირადი ცხოვრების ნაწილი. მართალია, საქმეში არსებობდა ვარაუდი, რომ მოსარჩელემ ქმარს მეილებზე წვდომის თანხმობა კონფლიქტის შედეგად მისცა, თუმცა, ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნული სასამართლოების შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით არ აღმოჩნდა საკმარისად თვითნებური, რომ მას ისინი სხვაგვარად შეეფასებინა.

რაც შეეხება პირადი მიმოწერის წარდგენას განქორწინებისა და ერთობლივი მეურვეობის სამართალწარმოებაში, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვია მოსარჩელის ქმრის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მიმოწერის საიდუმლოების დარღვევისთვის, რადგან გამჟღავნებაზე თანხმობის არარსებობის პირობა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით, არ იყო დაკმაყოფილებული. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სამოქალაქო სამართალწარმოებაში

ამ მიმოწერის მნიშვნელობის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო მეუღლეებს შორის და ოჯახში არსებული მდგომარეობის შეფასებას. ასეთ სიტუაციაში პირად ცხოვრებაში ჩარევა, რომელსაც მოჰყვა პირადი ინფორმაციის გამჟღავნება, შემოიფარგლებოდა მხოლოდ მკაცრი აუცილებლობით.

სააპელაციო სასამართლოს პოზიციის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო მიმოწერის გამჟღავნების გავლენა მოსარჩელის პირად ცხოვრებაზე იყო შეზღუდული. კერძოდ, ეს ინფორმაცია გამჟღავნდა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და საზოგადოების წვდომა მასზე იყო შეზღუდული. ამას გარდა, შესაბამისი მიმოწერის შინაარსი არ განხილულა.

შედეგად, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა ძლიერი საფუძველი ეროვნული სასამართლოების შეფასების შესაცვლელად, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ მათ სათანადოდ დააბალანსეს დაპირისპირებული ინტერესები, პრეცედენტულ სამართალში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. გარდა ამისა, ვინაიდან მოსარჩელემ უარი განაცხადა კომპენსაციის მოთხოვნაზე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, გადასაწყვეტი იყო მხოლოდ ქმრის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაზეც ევროპული სასამართლო ვერ იმსჯელებდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება და დაიცვა მოსარჩელის პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის საიდუმლოება. საბოლოო ჯამში, მან დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება.



## პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროება

### 31 *Standard Verlagsgesellschaft mbH ავსტრიის წინააღმდეგ (N 3)/Standard Verlagsgesellschaft mbH v. Austria (N 3) (7 დეკემბერი, 2021 წელი)*

#### კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება)

საქმე *Standard Verlagsgesellschaft mbH ავსტრიის წინააღმდეგ (N3)*<sup>38</sup> ეხება სასამართლო ბრძანებებს, რომლებითაც მედიაკომპანიას დაევალა, გაემჟღავნებინა პოლიტიკური დებატების ფარგლებში მის ინტერნეტპორტალზე განთავსებული შეურაცხმყოფელი კომენტარების ავტორთა მონაცემები.

**ა** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელე არის შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში - „შპს“), რომელიც უშვებს ყოველდღიურ გაზეთს, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმატით. მის ონლაინ საინფორმაციო პორტალზე ქვეყნდება ცალკეული სტატიები და რეგისტრირებულ პირებს შეუძლიათ, სადისკუსიო ფორუმზე განთავსონ საკუთარი კომენტარები ამ პუბლიკაციებთან დაკავშირებით. ონლაინპორტალზე მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებული ორი სტატიის ქვეშ განთავსდა შეურაცხმყოფელი კომენტარები, რომლებიც უკავშირდებოდა ორ პოლიტიკოსს და პოლიტიკურ პარტიას. მოგვიანებით, მოსარჩელემ აღნიშნული კომენტარები წაშალა, თუმცა პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პარტიას, მათი მოთხოვნის მიუხედავად, არ გაუმჟღავნა კომენტარების ავტორთა ვინაობა. ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა, პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, უარი სასამართლოში გაასაჩივრა და ითხოვდა, რომ სასამართლოს მოსარჩელისთვის დაევალებულიყვნენ ამ ინფორმაციის გამჟღავნება, რათა მათ შესძლებოდათ კომენტარების ავტორთა წინააღმდეგ სარჩელის შეტანა ცილისწამების შესახებ, ელექტრონული კომერციის აქტზე დაყრდნობით (აქტის მე-18 მუხლის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, იმ მომხმარებლის სახელი და მისამართი, რომელთანაც ინფორმაციის შენახვის ხელშეკრულება აქვს დადებული, გადასცეს მესამე მხარეს, ამ უკანასკნელის მოთხოვნით, თუ ის აჩვენებს, რომ ჰქონდა აღმატებული სამართლებრივი ინტერესი ამ მომხმარებლის ვინაობისა და კონკრეტული უკანონო სიტუაციის დადგენის მიმართ, ამასთანავე, შეძლებს დემონსტრირებას, რომ ასეთი ინფორმაციის ცოდნა სამართლებრივი დავის წარმოების მატერიალური წინაპირობაა). ეროვნული სასამართლოს ორმა ინსტანციამ მოსარჩელეს დაავალა ამ კომენტარების ავტორთა ვინაობის გამჟღავნება. სასამართლოებმა არ გაიზიარეს პოზიცია, რომ ეს კომენტარები უნდა ჩათვლილიყო ჟურნალისტურ წყაროდ. მოსარჩელე (გაზეთი) ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლება.

38 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-213914>.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მას უნდა ემსჯელა, იყო თუ არა მოსარჩელე ვალდებული, გაემჟღავნებინა მის პორტალზე რეგისტრირებულ პირთა ვინაობა, რომლებმაც გააკეთეს შეურაცხყოფელი კომენტარები.

ამისათვის, ევროპულმა სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, განიხილა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საკითხი. მისი მოსაზრებით, მოსარჩელე კომპანია, როგორც ჟურნალისტური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი, საინფორმაციო პორტალს იყენებდა სადისკუსიო ფორუმად, რათა მონაწილეობა მიეღო იდეების გავრცელებაში საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, რაც დაცულია პრესის თავისუფლებით. სასამართლოს განმარტებით, ჟურნალისტურ „წყაროში“ იგულისხმება „ნებისმიერი პირი, რომელიც ინფორმაციას აწვდის ჟურნალისტს“; შესაბამისად, ვინაიდან საინფორმაციო პორტალის მკითხველთა მიერ ფორუმზე განთავსებული კომენტარების ადრესატი იყო საზოგადოება და არა ჟურნალისტი, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალისტურ წყაროდ. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს არ შეეძლო, დაჰყრდნობოდა ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალურობას.

მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, მე-10 მუხლში ჩარევა შეიძლება იკვეთებოდეს არა მარტო მაშინ, როდესაც პირს ჟურნალისტური წყაროს გამჟღავნებას ავალდებულებენ. სასამართლოს შეფასებით, ამ საქმეზე მოსარჩელის, როგორც მედიაკომპანიის როლი და საქმიანობა სცდება მხოლოდ ფორუმის მიმწოდებლის (host provider) ფუნქციას. კომპანია გამოსცემს ყოველდღიურ ონლაინგაზეთს და ამუშავებს საინფორმაციო პორტალს და ამასთანავე, აქტიურ როლს ასრულებს პორტალზე რეგისტრირებულ პირთა მიერ კომენტარების განთავსებაში, რასაც აღწერს საინფორმაციო პორტალის მნიშვნელოვან და ღირებულ ნაწილად. მოსარჩელე კომპანია, ნაწილობრივ მაინც, უზრუნველყოფს მომხმარებელთა მიერ პორტალზე განთავსებული კომენტარების მოდერაციას. აქედან გამომდინარე, მისი ზოგადი ფუნქციაა ღია დისკუსიის ხელშეწყობა, ასევე, ინფორმაციისა და იდეების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, რომლებიც დაცულია პრესის თავისუფლებით. შესაბამისად, მისთვის ვალდებულების დაკისრება, რომ გაამჟღავნოს ონლაინკომენტარების ავტორთა მონაცემები, ხელს შეუშლის დებატების წარმართვას, რაც „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებს ზოგადად ფორუმებზე რეგისტრირებულ მომხმარებლებზე და არაპირდაპირ გავლენას მოახდენს მოსარჩელის, როგორც მედიაკომპანიის პრესის თავისუფლებაზე.

მოსარჩელე კომპანიამ თავისი პორტალით მოსარგებლე პირებს გარკვეული ანონიმურობა მიანიჭა – არა მხოლოდ პრესის თავისუფლების, არამედ მათი პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებით. ეს ანონიმურობა არ იქნება ეფექტიანი, თუ მოსარჩელე კომპანია ვერ შეძლებს მომხმარებელთა დაცვას მის ხელთ არსებული საშუალებებით. ამასთან, თავად მომხმარებლებისთვისაც რთული იქნება საკუთარი ანონიმურობის დაცვა, თუ მათი ვინაობა გაუმჟღავნდებათ სამოქალაქო სასამართლოებს. შესაბამისად, ამ უფლებებში ჩარევა იქნებოდა ანონიმურობისთვის ფარდის ახდა. ამგვარად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, რომ გამჟღავნებულიყო პორტალზე განთავსებული კომენტარების ავტორთა მონაცემები, არის ჩარევა მოსარჩელე კომპანიის პრესის თავისუფლებაში.

ევროპული სასამართლოს მითითებით, მხარეებს არ უდავიათ, რომ ჩარევა განსაზღვრული იყო კანონით, კერძოდ, ელექტრონული კომერციის აქტით, და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლოს აზრით, კონვენცია არ ითვალისწინებს ინტერნეტში ანონიმურობის აბსოლუტურ უფლებას: მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ანონიმურობა შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ინტერესთა ბალანსის მნიშვნელობა სწორედ ამ ცნობიერებიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება პოლიტიკურ გამოხატვას და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დებატებს. ეს საკითხი განისაზღვრება სასამართლოს მრავალწლიანი პრეცედენტული სამართლით, რომლის თანახმადაც, მომხმარებლის მონაცემთა გამჟღავნება აუცილებელი და თანაზომიერი უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ცილისმწამებლური განცხადების პოტენციურ მსხვერპლს უნდა ჰქონდეს სასამართლოსთვის მიმართვის ეფექტიანი უფლება, რათა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა სასამართლოს წინაშე. ეროვნულმა სასამართლოებმა, ვიდრე მიიღებენ გადაწყვეტილებას მომხმარებლის მონაცემთა გამჟღავნება-არგამჟღავნებაზე, უნდა აწონ-დაწონონ მხარეთა კონკურენტული ინტერესები, კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში. ამ საქმეში, აღნიშნული ინტერესები მოიცავს, ერთი მხრივ, ცილისმწამებლური განცხადების მსხვერპლთა რეპუტაციის დაცვას და, მეორე მხრივ, მოსარჩელე კომპანიის პრესის თავისუფლებას, ასევე, მის როლს, დაიცვას კომენტარების ავტორთა პერსონალური მონაცემები და უფლება, საკუთარი მოსაზრება გამოხატონ საჯაროდ. მართალია, ინტერნეტპორტალზე გაკეთებული კომენტარები პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებით შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ არ გამოხატავდა სიძულვილს ან ძალადობის მოწოდებას, ასევე, არ იყო აშკარად უკანონო. ამასთან, კომენტარები გაკეთდა დებატების კონტექსტში, რომელიც შეეხებოდა ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს, კერძოდ, იმ პოლიტიკოსთა ქცევას, რომლებიც მოქმედებდნენ საჯარო უფლებამოსილებით და რომელთა კომენტარებიც გამოქვეყნდა იმავე საინფორმაციო პორტალზე. ვინაიდან ასეთი კომენტარების გაკეთება შეიძლება შეფასდეს პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებად, განსაკუთრებით საგანგაშო ფაქტი, რომ სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა არ აწონ-დაწონეს მხარეთა კონკურენტული ინტერესები და არ წარმოადგინეს არგუმენტები, თუ რატომ გადაწონდა მოსარჩელე პოლიტიკოსისა და პოლიტიკური პარტიის ინტერესები მონაცემთა გამჟღავნების კუთხით მოსარჩელე კომპანიის ინტერესებს, დაეცვა მომხმარებელთა ანონიმურობა. საპირისპიროდ, ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული ინტერესები უნდა აწონ-დაწონილიყო იმ სამართალწარმოების ფარგლებში, რომელიც წარიმართებოდა ცილისმწამებლური კომენტარების ავტორთა წინააღმდეგ, და არა მოსარჩელე კომპანიაზე მიმდინარე სასამართლო პროცესში. ასეთი აწონ-დაწონის გარეშე, ანონიმურობა, როგორც შურისძიების ან არასასურველი ყურადღების აცილების საშუალება, ვერ შეასრულებდა თავის ფუნქციას და დაკნინდებოდა მისი როლი აზრების, იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალ გაცვლაში. შესაბამისად, ვინაიდან სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებს არ აუწონიათ ინტერესები გადაწყვეტილებათა მიღებისას,

ისინი არ იყო გამყარებული შესაფერისი და საკმარისი მიზეზებით, რაც გაამართლებდა უფლებაში ჩარევას. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

## 32 სამოილოვა რუსეთის წინააღმდეგ/Samoylova v. Russia (14 დეკემბერი, 2021 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე სამოილოვა რუსეთის წინააღმდეგ<sup>39</sup> ეხება ორ საკითხს:

- ① მოსარჩელის შემოსავალზე ინფორმაციის გასაჯაროება ტელევიზიით, რომელიც აშუქებდა სისხლის სამართლის საქმეს მოსარჩელის ქმრის, პენსიაზე გასული პროკურორის მიმართ;
- ② მოსარჩელის მისამართის, საგადასახადო ნომრისა და საცხოვრებელი სახლის შიდა ფოტოების გასაჯაროება ტელევიზიით, რომელიც აშუქებდა სისხლის სამართლის საქმეს მოსარჩელის ქმრის მიმართ.

**ღ საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ პოპულარული სატელევიზიო გადაცემის ფარგლებში გავრცელდა მისი პერსონალური მონაცემები, თანხმობის გარეშე: კერძოდ, 2009 წელს სატელევიზიო არხმა მოამზადა გადაცემა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მიმდინარეობდა საჯარო მოხელეებისა და სხვა პირების მიმართ, მისი ქმრის - მოსკოვის ყოფილი პროკურორის ჩათვლით, და სავარაუდოდ, უკავშირდებოდა 2007 წელს მომხდარ მითვისების ფაქტებს. სატელევიზიო გადაცემაში აჩვენეს საგადასახადო სამსახურის წერილი - პასუხი მისი ქმრის საქმის გამომძიებლის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე - რომელშიც გამოჩნდა მოსარჩელისა და მისი ქმრის სრული სახელები, ოფიციალური რეგისტრაციის მისამართი მოსკოვში, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი და მათ მიერ გაცხადებული მონაცემები 2004-2007 წლების შემოსავლებზე. გადაცემა ასევე შეეხო ოჯახის აგარაკს, ხაზი გაუსვა მის მაღალ ღირებულებას და აჩვენა შიდა ფოტოებიც. სამოქალაქო სარჩელი, რომელიც მოსარჩელემ და მისმა ქმარმა სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში შეიტანეს სატელევიზიო არხისა და ჟურნალისტიკის წინააღმდეგ, არ დაკმაყოფილდა.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის სრული სახელი და საცხოვრებელი მისამართი, ისევე, როგორც საგადასახადო ნომერი, ექცევა „პირადი ცხოვრების“ სფეროში. მან მიიჩნია, რომ აგარაკის ფოტოები ასევე ექცევა „პირადი ცხოვრებისა“ და „საცხოვრებლის“ სფეროში. სასამართლომ მიუთითა, რომ ეს ინფორმაცია გავრცელდა მოსარჩელის თანხმობის გარეშე, ხოლო ფოტოები გადაიღეს გამომძიებლებმა, მოსარჩელის ქმარზე მიმდინარე სისხლისსამართლებრივი საქმის ფარგლებში, ან, სავარაუდოდ, ჟურნალისტიკაში, როდესაც ამზადებდნენ ამ სატელევიზიო

39 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-213868>.



გადაცემას. რაც შეეხება საქმის არსებით ნაწილს, სასამართლომ შეაფასა და დაადგინა შემდეგი გარემოებები:

ა) წვლილის შეტანა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხთა განხილვაში – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო გადაცემა ეროვნული ტელევიზიის ეთერში გავიდა მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ბრალდებასთან დაკავშირებულ გარემოებათა გარდა, სატელევიზიო გადაცემა ზოგადად შეეხო „მთავარი“ გმირების (განსაკუთრებით, საჯარო თანამდებობის პირების) მდიდრულ ცხოვრებას და ამ სიმდიდრის წარმომავლობას. აღნიშნული კუთხით, გადაცემაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მოსარჩელის ქმარზე. შემოსავლებზე ინფორმაციის გავრცელება ემსახურებოდა იმის ჩვენებას, რომ მოსარჩელის ქმრის ოფიციალურად გაცხადებული შემოსავალი, დამოუკიდებლად ან ოჯახის სხვა წევრების შემოსავალთან ერთად, არ იყო საკმარისი აგარაკის შესაძენად პრესტიჟულ რაიონში. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, გადაცემის ამ ნაწილის ძირითადი მიზანი (გარდა მიმდინარე საქმეზე ინფორმირებისა) იყო წვლილის შეტანა საზოგადოებისთვის საინტერესო თემების განხილვაში.

ბ) რამდენად კარგად იცნობდა საზოგადოება მოსარჩელესა და მის საქმიანობას გადაცემის ეთერში გასვლამდე – ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია, დაედგინა, იყო თუ არა მოსარჩელე „საჯარო ფიგურა“, რადგან სატელევიზიო გადაცემამ გავლენა მოახდინა მასზე, როგორც ყოფილ მაღალი თანამდებობის პირთან ქორწინებაში მყოფ პირზე. მოსარჩელის ქმარზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც შეეხებოდა აშკარა განსხვავებას, ერთი მხრივ, ქმრის ქონებასა და მდიდრულ ცხოვრებას და, მეორე მხრივ, გაცხადებულ შემოსავლებს შორის, შეეძლო, ლეგიტიმურად ემსჯელა ამ ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე, მით უფრო, რომ ყოფილმა თანამდებობის პირმა, ოჯახის ქონების გასამართლებლად, მოიშველია მოსარჩელის – თავისი მეუღლის დეკლარირებული შემოსავალი.

გ) ინფორმაციის მიღების მეთოდი და მისი სანდოობა – უდავოა, რომ ჟურნალისტებს გამომძიებელმა მიაწოდა საგადასახადო სამსახურის წერილის ასლი. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ შესაბამისი ინფორმაცია კანონიერად მოიპოვეს ჟურნალისტებმა.

რაც შეეხება ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დებატებში წვლილის შეტანისას, პრესას, როგორც წესი, უნდა შეეძლოს ოფიციალური წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობა, მათი შემდგომი გადამოწმების გარეშე, განსაკუთრებით, ოფიციალურ დოკუმენტში წარმოდგენილი ფაქტების ნამდვილობასთან მიმართებით. ამ კონკრეტულ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში ნათლად არ დადგენილა, რომ ინფორმაცია მოსარჩელის დაბალი შემოსავლების შესახებ იყო არაზუსტი. ამასთანავე, მართალია, სამოქალაქო სასამართლოებმა გაითვალისწინეს მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტი უფრო მაღალი შემოსავლის შესახებ, თუმცა შეუსაბამოა მაინც არსებობდა მოსარჩელის შემოსავალსა და სახლზე მთლიანად დახარჯულ თანხას შორის. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მას არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი, რომ არ დათანხმებოდა ამ შეფასებას.

დ) სატელევიზიო გადაცემის შინაარსი, ფორმა და შედეგები

(i) სავარაუდო ცილისწამების და მონაცემების, როგორც მოსარჩელის გაცხადებული შემოსავლის, წარმოჩენის მიმართ – გადაცემაში მოსარჩელესა და მის შემოსავალზე მიეთითა მხოლოდ ქმრის სიმდიდრის შეფასების კონტექსტში. სხვა მხრივ, მასზე, თუნდაც მის კავშირზე დანაშაულებრივ საქმიანობასთან, არ უსაუბრიათ. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს აზრით, სატელევიზიო გადაცემაში საგადასახადო სამსახურის წერილის ჩვენება და მისი განმარტება ჟურნალისტის მიერ არ გასცდენია მოსარჩელის, როგორც მეუღლის შესახებ მსჯელობას. ეს იყო მედიასაშუალების წვლილი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის განხილვაში, რომელიც უკავშირდებოდა მოსარჩელის მეუღლეს. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მას არ ჰქონდა საფუძველი, რომ დაეჭვებულყო ჟურნალისტის ტექნიკაში ამ საკითხის შესწავლა-გაშუქების კუთხით – კერძოდ, უფრო დეტალურად გამოეკვლია სახელმწიფო მოხელეთა სავარაუდო უკანონო შემოსავლების წყაროები, მათ შორის, შეუსაბამო მოსარჩელის ოჯახის შემოსავალსა და ხარჯებს შორის. დამატებით, სასამართლოს განმარტებით, გადაცემაში მოსარჩელე ნახსენები იყო იმიტომ, რომ თავად ქმარმა ახსენა მისი დეკლარირებული შემოსავალი. რაც შეეხება სავარაუდო ცილისწამებას, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმამდე, სამოქალაქო სასამართლოებმა სათანადოდ დაადგინეს სამართლიანი ბალანსი კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებს შორის. აქედან გამომდინარე, არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

(ii) მოსარჩელის რეგისტრაციის მისამართის, საგადასახადო ნომრისა და აგარაკის ფოტოების გასაჯაროება – ევროპული სასამართლოს აზრით, სამოქალაქო სასამართლოებს არ განუხილავთ და დაუსაბუთებიათ მოსარჩელის პირადი მონაცემების ამ ასპექტითა გასაჯაროების საკითხი: კერძოდ, არ უმსჯელიათ მათი გასაჯაროების „აუცილებლობაზე“ და რა წვლილის შეტანა შეეძლო ამ ინფორმაციას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხთა განხილვაში.

შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოებს არ დაუდგენიათ სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ ინტერესებს შორის, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

### 33 ჰაიოვსკი სლოვაკეთის წინააღმდეგ/Hájovský v. Slovakia (1 ივლისი, 2021 წელი)

#### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე ჰაიოვსკი სლოვაკეთის წინააღმდეგ<sup>40</sup> ეხება მოსარჩელის პირადი ინფორმაციისა და ფარულად გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებას გაზეთში.

**□ საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ ყოველდღიურ გაზეთში ანონიმურად გამოაქვეყნა სარეკლამო განცხადება პოტენციური სუროგატი დედებისთვის, იგი მოექცა სატელევიზიო გადაცემის ყურადღების ცენტრში. გადაცემა

40 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-210766>.

მომზადა საგამოძიებო ჟურნალისტმა, რომელმაც მალულად ჩაწერა შეხვედრა მოსარჩელესთან, რომელსაც გაეცნო, როგორც პოტენციური სუროგატი დედა. სიუჟეტს მოჰყვა სტატია – როგორც ბეჭდურ გაზეთში (რომელიც ყოველდღიურად ვრცელდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით), ისე ონლაინგამოცემაში, სათაურით „ვაჭრობა დაუბადებელი ბავშვებით“. სტატიაში აღწერილი იყო მოსარჩელის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სატელევიზიო გადაცემაზე დაყრდნობით, ასევე, წარმოდგენილი იყო მისი ფოტოები, ამავე გადაცემიდან. სატელევიზიო გადაცემაშიც და გაზეთშიც აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ მოსარჩელე იყო ორგანიზებული ჯგუფის წევრი, ჩართული ბავშვების საზღვარგარეთ გაყიდვაში, და დაუსჯელი რჩებოდა, რადგან სლოვაკეთში არ არსებობდა კანონი, რომელიც პასუხისმგებლობას დააკისრებდა მსგავსი ქმედებისთვის. მოსარჩელემ ტელევიზიის წინააღმდეგ წარმატებული სარჩელი შეიტანა სასამართლოში პირადი ცხოვრების უფლების დარღვევისთვის, თუმცა მისი სარჩელი გაზეთის წინააღმდეგ, რომელმაც გამოაქვეყნა ეს სტატია, ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპული სასამართლოს აზრით, მას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, დაიცვეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის პირად ცხოვრებასა და მოპასუხის გამოხატვის თავისუფლებას შორის. ამის შესაფასებლად, ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) რამდენად ცნობილი იყო მოსარჩელე, მისი საქმიანობა და სტატიაში განხილული საკითხი ამ სტატიის გამოქვეყნებამდე.

ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ სარეკლამო განცხადების გამოქვეყნებით, მოსარჩელემ გადაწყვიტა საზოგადოებრივ არენაზე გამოსვლა და მას უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ მოექცეოდა საზოგადოების ყურადღების ქვეშ, განსაკუთრებით, რაც მისი ვინაობა გაცხადდა სატელევიზიო გადაცემაში. ევროპული სასამართლოს აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ, როგორც ჩვეულებრივმა პირმა, ანონიმურად გააკეთა სარეკლამო განცხადება, თავისთავად ვერ იქნება არგუმენტი, რომ კონვენციის მე-8 მუხლი მას ნაკლები ხარისხით იცავს. მოსარჩელე არ იყო საზოგადოებისთვის ცნობილი პირი კონვენციის პრეცედენტული სამართლის გაგებით; ის არ ცდილობდა ყურადღების მიპყრობას – მხოლოდ სარეკლამო განცხადება გააკეთა, რომელშიც მზადყოფნა გამოხატა კომერციული სუროგაციისთვის, კონფიდენციალურობის პირობით, და ვერ იეჭვებდა, რომ პირთან კონტაქტით, რომელსაც ესაუბრებოდა როგორც პოტენციურ სუროგატ დედას, რისკავდა მისი საუბრის ჩაწერას და ვინაობის გამჟღავნებას მედიაში.

სტატიამ გამოაშკარავა მოსარჩელის პირადი ცხოვრების ზოგიერთი დეტალი. ვინაიდან მასში მოხსენებულნი იყვნენ ექიმებიც (სახელების გარეშე), რომლებიც დაინტერესებულ პირებს ესმარებოდნენ ხელოვნურ განაყოფიერებასა და დოკუმენტების გაყალბებაში. ამასთანავე, ქვეყანაში არ მოქმედებდა ამგვარი პრაქტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოების დასკვნა, რომ სტატიის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, რომლებიც უკავშირდებოდა სუროგაციას.

*ბ) სტატიის შინაარსი, ფორმა და შედეგები*

სტატია შეიცავდა გარკვეულ დეტალებს მოსარჩელის შესახებ, მის გეგმებს და იმ ჟურნალისტთან საუბრის შინაარსს, რომელიც თავს სუროგატ დედად ასალებდა. პუბლიკაციის გზავნილის მიხედვით, მართალია, სუროგაციით ბავშვის დაბადება სლოვაკეთში უკანონო პროცედურა იყო, თუმცა მოსარჩელე, რომელიც ამგვარ საქმიანობას ეწეოდა, არ დაისჯებოდა შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობის გამო. სასამართლოს განმარტებით, სტატია მოსარჩელეს საკმაოდ უარყოფითად ახასიათებდა და მისი ზოგადი ტონი არ იყო მოსარჩელისთვის ხელსაყრელი. ამასთან, ვინაიდან სტატიის გამოქვეყნებას წინ უძღოდა სატელევიზიო გადაცემა იმავე საკითხზე, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მხოლოდ სტატიის ტონი და მოსარჩელის უარყოფით კონტექსტში მოხსენიება თავისთავად არღვევდა მის პირადი ცხოვრების უფლებას.

*გ) დებატების ხელშეწყობა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე*

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან სტატია გამოქვეყნდა სატელევიზიო გადაცემიდან 2 დღეში და უკავშირდებოდა სუროგაციას, მისი მიზანი იყო დებატების ხელშეწყობა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, სტატიის მომზადების მეთოდი – კერძოდ, მოსარჩელის დიდი ზომის ფოტოების გამოქვეყნება – ვერ ჩაითვლება ასეთი დებატების ხელშეწყობა ქმედებად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ იყო საზოგადოებისთვის ცნობილი პირი. არც ეროვნულ სასამართლოებს დაუსაბუთებიათ, თუ რატომ იყო საჭირო მოსარჩელის ფოტოების გამოქვეყნება ამ ამბის გასაშუქებლად.

*დ) გარემოებები, რომლებშიც გადაიღეს ფოტოები*

ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ფაქტს, რომ მოსარჩელის ვინაობა უკვე გამჟღავნებული იყო სატელევიზიო გადაცემაში. მიუხედავად ამისა, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებიდან, დაიცვას კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება, განსაკუთრებით, თუ პირს თავად არ გაუმჟღავნებია აღნიშნული ინფორმაცია ან არ დათანხმებია მის გამჟღავნებას. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ინფორმაცია უკვე ცნობილი იყო საზოგადოებისთვის, მისი შემდგომი გავრცელება უნდა აწონილიყო მოსარჩელის პირადი ცხოვრების დაცვის გათვალისწინებით.

უდავო იყო – და სატელევიზიო გადაცემიდანაც დადასტურდა – რომ ჟურნალისტი მოსარჩელეს დაუკავშირდა როგორც სუროგატი დედა და საუბარი ჩაწერა ფარული კამერით, ისე, რომ მოსარჩელემ არ იცოდა ამის შესახებ და არ დათანხმებია ჩაწერას. მოსარჩელეს ასევე არ გაუცია თანხმობა მისთვის ფოტოების გადაღებასა და გამოქვეყნებაზე. ვინაიდან არ ელოდა, რომ ამ საუბარს ჩაწერდნენ და გაასაჯაროებდნენ, ასევე, ნებაყოფლობით არ უთანამშრომლია მედიასთან, მოსარჩელეს ჰქონდა მაღალი გონივრული მოლოდინი პირადი ცხოვრების დაცულობის მიმართ. მართალია, ტელევიზიის წინააღმდეგ მიმდინარე დავის ფარგლებში, სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მოსარჩელესთან დაკავშირებული მასალა მოპოვებული იყო უკანონოდ და გადაიკა კანონდარღვევით, თუმცა გაზეთის წინააღმდეგ დავის განმხილველ სასამართლოებს ეს გარემოება არ გაუთვალისწინებიათ. მათ არც ის შეუფასებიათ, რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა ჟურნალისტი

და ეკიდებოდა თუ არა საკითხს საკმარისი სიფრთხილით, როდესაც ავრცელებდა სხვა წყაროდან მოპოვებულ მასალას. გარემოებები, რომლებშიც ფოტოები გადაიღეს, გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა ყოფილიყო როგორც ჟურნალისტისთვის, ისე გაზეთისათვის, რომ ეს მასალა სიფრთხილით გამოეყენებინათ და გავრცელებისას დაეფარათ მოსარჩელის სახე.

ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა სრულყოფილად ვერ შეაფასეს მოსარჩელის მოქმედება სატელევიზიო გადაცემამდე და არ განიხილეს ფოტოების გადაღების მეთოდი, განსაკუთრებით, მათი გამოქვეყნების საჭიროება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატებისთვის, მათ ვერ აწონ-დაწონეს კონკურენტული უფლებები, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. სასამართლოს აზრით, ასეთ ვითარებაში, სახელმწიფომ ვერ შეძლო კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების შესრულება, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## 34 სტოკლოსა პოლონეთის წინააღმდეგ/*Stoklosa v. Poland* (14 სექტემბერი, 2021 წელი)

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)

საქმე *სტოკლოსა პოლონეთის წინააღმდეგ*<sup>41</sup> ეხება საჯარო სხდომაზე მოსამართლის მხრიდან მოსარჩელის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას.

**ღ** **საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელის წინააღმდეგ, რომელიც იყო პოლონეთის სენატის წევრი, განიხილებოდა სისხლის სამართლის საქმე. სამი მცდელობის მიუხედავად, სასამართლომ ვერ გამართა სხდომა მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც დადასტურებული იყო სამედიცინო დასკვნებით. ამ მიზეზით, მოსამართლემ მოითხოვა ექსპერტის დასკვნა, რომელმაც გამოავლინა, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი და მას შეეძლო სასამართლო სხდომაში მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელე არ გამოცხადდა 2011 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე. მისმა ადვოკატმა წარადგინა კიდევ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს ჰქონდა დაავადება, კოდით A09. მოსამართლემ შეაჩერა სხდომა, რათა დაედგინა დაავადების ბუნება, სხდომაზე დაბრუნების შემდეგ კი განაცხადა, რომ მოსარჩელის მდგომარეობა განსხვავდებოდა წინარე შემთხვევებში მითითებული დაავადებებისაგან - კერძოდ, ეს იყო დიარეა, ზედა სასუნთქი გზების საექსპო ინფექციით. სხდომას ესწრებოდნენ ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტები, რომლებსაც არ ჰქონდათ ჩაწერის უფლება, თუმცა მოსამართლის განცხადება მინც გააშუქეს ტელევიზიით.

მოსარჩელის ადვოკატებმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანეს მოსამართლის წინააღმდეგ, მათი კლიენტის პირადი ცხოვრების დარღვევის გამო. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოსამართლემ უკანონოდ გამჟღავნა მისი დაავადება სხდომაზე, რითაც შეელახა პირადი ცხოვრებისა და ღირსების უფლება. იგი მოსამართლისგან ითხოვდა ბოდიშის მოხდას და

41 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-212461>.

ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ საჯარო სხდომაზე მისი დაავადების გამჟღავნებამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაავადებაზე ინფორმაციის გამჟღავნება არის ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირადი ცხოვრების უფლებაში. აქედან გამომდინარე, მას უნდა შეეფასებინა, რამდენად აკმაყოფილებდა ასეთი ჩარევა კონვენციის მე-8(2) მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

რაც შეეხება საკითხს, იყო თუ არა ჩარევა „კანონის შესაბამისი“, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდვას საფუძვლად ედო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის თანახმადაც, სამედიცინო ცნობის დადასტურებისთვის აუცილებელი იყო დოკუმენტის წაკითხვა სხდომაზე. ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა, რომ პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – დანაშაულის თავიდან აცილება და სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

რაც შეეხება მესამე მოთხოვნის („აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“) დაკმაყოფილებას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ინფორმაციის განსაკუთრებით, სამედიცინო მონაცემების, დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით სარგებლობისთვის. აქედან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს შესაბამისი გარანტიები ჯანმრთელობის მონაცემთა დასაცავად გამჟღავნებისგან. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ, სამი მცდელობის მიუხედავად, მოსამართლემ ვერ ჩაატარა სხდომა, რადგან ყველა ჯერზე მხარემ წარმოადგინა სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ მოსარჩელეს არ შეეძლო სხდომაში მონაწილეობა ავადმყოფობის გამო. შესაბამისად, მოსამართლემ მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც გამოავლინა, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი და მას შეეძლო სხდომაში მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ის კვლავ არ გამოცხადდა 2011 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე და წარმოადგინა ახალი სამედიცინო ცნობა, რათა გაემართლებინა თავისი არყოფნა და ეს სხდომაც გადაედო.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხზე: უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს სამართალწარმოების მხარის პირადი უფლების დარღვევისთვის, თუ ამას ჩაიდენს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას. ამასთანავე, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მხოლოდ მაშინ, როცა აშკარა შეცდომას დაუშვებს პროცედურულ დებულებათა გამოყენებისას.

ევროპული სასამართლოს განცხადებით, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას, უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა ფაქტი, რომ მოსარჩელემ რამდენჯერმე მოითხოვა სხდომის გადადება ავადმყოფობის გამო. შესაბამისად, ლეგიტიმური იყო, მოსამართლეს გადაემოწმებინა უკანასკნელი სამედიცინო ცნობის სანდოობა. ამასთანავე, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად,

მოსარჩელის სამედიცინო ცნობის გადამოწმებამ გაამართლა სხდომაზე მისი დაავადების გამჟღავნება. ამგვარად, სახეზე არ იყო აშკარა შეცდომა პროცედურული დებულების გამოყენებაში. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელემ ავადმყოფობის ფაქტი სხდომის გადასადებად მოიშველია მას შემდეგ, რაც ექსპერტის დასკვნის მიხედვით, მას შეეძლო სხდომაში მონაწილეობა. ასეთ გარემოებებში, მოსარჩელეს უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ მისი სამედიცინო ცნობა შემოწმდებოდა და, შესაბამისად, შეეძლო მოეთხოვა სხდომის დახურვა.

ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ფაქტს, რომ ეს ინფორმაცია ერთჯერადად გამჟღავნდა და არ ასახულა მოსარჩელესთან დაკავშირებულ რომელიმე გადაწყვეტილებაში, გარდა სხდომის ოქმისა. ამასთანავე, ინფორმაციის გამჟღავნება ეხებოდა უმნიშვნელო და დროებით ავადმყოფობას.

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სარჩელი განიხილა ეროვნული სასამართლოების სამივე ინსტანციამ და, საბოლოოდ, არ დააკმაყოფილა უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც შეაფასა მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები. სხვა მხარეთა ინტერესები და სასამართლო პროცესის დაუბრკოლებლად წარმართვის აუცილებლობა ამ საქმეში სასამართლომ მიიჩნია უფრო მნიშვნელოვან საკითხად, რომელმაც, გარემოებათა გათვალისწინებით, გადაწონა მოსარჩელის ინტერესი, დაცულიყო მისი სამედიცინო მონაცემების საიდუმლოება. ევროპული სასამართლოს აზრით, უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიზეზები შესაფერისი და გონივრული იყო, ხოლო გატარებული ღონისძიებები – ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი.

საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის ავადმყოფობის გამჟღავნებას ამართლებდა მისი განმეორებითი თხოვნები სხდომის სამედიცინო მიზეზით გადადების შესახებ და პირად ცხოვრებაში ჩარევა შემოიფარგლებოდა იმ აუცილებლობით, რომელიც გამომდინარეობდა საქმის გარემოებებიდან. ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ სარჩელი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნია და დაუშვებლად ცნო.

## 35 *M.D. და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ/M.D. and Others v. Spain (28 ივნისი, 2022 წელი)*

### კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა)

საქმე *M.D. და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>42</sup> შეეხება პოლიციის ანგარიშის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შედგენას იმ მოქმედ მოსამართლეებზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს მანიფესტს კატალონიელი ხალხის „გადაწყვეტილების მიღების უფლებაზე“; ასევე, პრესაში ამ მოსამართლეთა მონაცემების გაჟონვის არასათანადო გამოძიებას.

**Q საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** 2014 წლის თებერვალში მოსარჩელებმა, კატალონიაში მომუშავე 20-მა მოსამართლემ, ხელი მოაწერეს მანიფესტს, რომელშიც

42 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-218034>.

გამოხატეს თავიანთი პოზიცია, რომ კატალონიელ ხალხს უნდა ესარგებლა „გადაწყვეტილების მიღების უფლებით“, ესპანეთის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

მანიფესტის გასაჯაროების შემდეგ, ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „ოცდაცამეტი სეპარატისტი მოსამართლის კონსპირაცია“, ასევე, ყველა მოსარჩელის ფოტო და პირადი დეტალები (სახელები და გვარები, ინფორმაცია სასამართლოებზე, რომლებშიც მოღვაწეობდნენ, და კომენტარები მათ პოლიტიკურ შეხედულებებზე). მოსარჩელეთა აზრით, ეს მონაცემები მოპოვებული იყო ესპანეთის „პოლიციის მონაცემთა ბაზიდან“, რომელიც შეიცავდა საიდენტიფიკაციო ინფორმაციას ქვეყნის ყველა მოქალაქის შესახებ და საჭირო იყო მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტთა გაცემა-მართვისათვის.

ამის გამო, მოსარჩელებმა შეიტანეს საჩივარი, რის შედეგადაც დაიწყო გამოძიება. საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტები მიუთითებდა სისხლის სამართლის დანაშაულზე, არ არსებობდა საკმარისი საფუძველი კონკრეტული პირისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. მოსარჩელებმა წარმატებით გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება *Audencia Provincial*-ში (პროვინციის სასამართლო), რომელმაც აღნიშნა, რომ საკმარისი ძალისხმევა არ გაღებულია ფაქტების გამოსარკვევად. *Audencia Provincial*-მა დამატებით განმარტა, რომ საქმის მასალებიდან დასტურდებოდა პოლიციის ანგარიშის არსებობა, რომელშიც მოცემული იყო მოსარჩელეთა პერსონალური მონაცემები, პროფესიული დეტალები და ფოტოები, ამოღებული პოლიციის მონაცემთა ბაზიდან. ანგარიშში მითითებული იყო მანამდე მომზადებულ საინფორმაციო ბარათზეც, რომელშიც ყურადღება გამახვილდა მოსარჩელეთა მონაცემების გაჟონვაზე გაზეთში. ბარათში აღნიშნული იყო ისიც, რომ თებერვლის დასაწყისში, კატალონიის მოქმედ მოსამართლეთა, დაახლოებით, 25-კაციანი ჯგუფი გამოაქვეყნებდა მანიფესტს, რომელიც მხარს დაუჭერდა სუვერენიტეტის შესახებ კონსულტაციის კანონიერებას. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ აუცილებელი იყო, გამოძიების ფარგლებში გამოეკითხათ ბარსელონის პოლიციის უფროსი, ვისაც წარედგინა პოლიციის ანგარიში.

*Audencia Provincial*-ის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამომძიებელმა მოსამართლემ (Investigating Judge) განაახლა გამოძიება, რომლის ფარგლებშიც გამოკითხა რამდენიმე ადამიანი, თუმცა არა ბარსელონის პოლიციის უფროსი. საბოლოოდ, მან კვლავ შეწყვიტა სამართალწარმოება იმავე საფუძველით, რომელსაც დაეყრდნო წინა ჯერზე. მოსარჩელეთა მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება ამჯერად წარუმატებელი აღმოჩნდა.

საბოლოოდ, მართლმსაჯულების გენერალურმა საბჭომ დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო მოსარჩელეთა მიმართ, თუმცა სანქცია მათთვის არ შეუფარდებიათ.



**კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცვა)**

საქმე *I.V.Ț. რუმინეთის წინააღმდეგ*<sup>43</sup> ეხება არასრულწლოვნისთვის ინტერვიუს ჩამორთმევას მშობლის თანხმობის გარეშე, ასევე, მისი ვინაობის სათანადოდ დაუცველად.

**ღ საჯის ფაქტობრივი გარემოება:** მოსარჩელის (I.V.Ț.) თანასკოლელი გარდაიცვალა მატარებლიდან გადავარდნის გამო, როდესაც იმყოფებოდნენ სასკოლო ექსკურსიაზე. რუმინეთის სატელევიზიო არხის ჟურნალისტმა ამ ფაქტის შესახებ ინტერვიუ ჩამოართვა 11 წლის მოსარჩელეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ იმყოფებოდნენ ბავშვის მშობლები ან მასწავლებლები. ინტერვიუმდე ჟურნალისტს არ მოუთხოვია ბავშვის მშობლების, ნათესავების ან მასწავლებლების თანხმობა. გასაუბრებისას მოსარჩელემ განაცხადა, რომ, როგორც თანაკლასელებისგან გაიგო, მოსწავლე მატარებლიდან გადავარდა მაშინ, როდესაც უყურადღებოდ დატოვა მასწავლებელმა და პედაგოგები უკეთესად უნდა ზრუნავდნენ მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვაზე. იმავე დღეს ინტერვიუ გავიდა ეთერში და მისი ტექსტი განთავსდა არხის ვებგვერდზე, სათაურით: „მატარებლიდან გადავარდნილი გოგონას თანასკოლელები შოკირებულნი არიან. ბავშვი საპირფარეოში მიდიოდა, როდესაც ტრაგედია მოხდა.“ ინტერვიუს გასაჯაროების შემდეგ, მოსარჩელის მიმართ უარყოფითად განეწყვნენ სხვა მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია.

2013 წელს მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა სატელევიზიო არხის წინააღმდეგ, კომპენსაციის მოთხოვნით. რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გასცა ბრძანება ზიანის ანაზღაურებაზე, იმის გამო, რომ ინტერვიუ ჩამოართვეს მშობლის თანხმობის გარეშე. ამასთანავე, სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის სახე გაბუნდოვნებული იყო, მაინც შეიძლებოდა მისი ამოცნობა. ეს გადაწყვეტილება ტელეკომპანიამ გაასაჩივრა, რადგან საქმე შეეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს. ზემდგომმა სასამართლო ინსტანციებმა გაიზიარეს მუწყებლის პოზიცია და არ დააკმაყოფილეს მოსარჩელის სამოქალაქო სარჩელი, რის გამოც მან მიმართა ევროპულ სასამართლოს. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება, რადგან ინტერვიუ ჩამოართვეს მშობლების თანხმობის გარეშე და არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები მისი ვინაობის დასაფარად.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:** სასამართლოს აზრით, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ თავიანთ სამართლებრივ სისტემაში პირადი ცხოვრება დაიცვან ინდივიდებს შორის ურთიერთობებშიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებით.

43 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-215919>.

ევროპული სასამართლოს აზრით, მას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, დაიცვეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის პირად ცხოვრებასა და მოპასუხის გამოხატვის თავისუფლებას შორის. ამისათვის ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) რეპორტაჟის წვლილი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებში – ეროვნულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ტელევიზიას არ ჩაუდენია უკანონო ქმედება, როდესაც მოსარჩელესთან ჩაწერა ინტერვიუ მშობლის თანხმობის გარეშე, რადგან სიუჟეტი, რომელშიც ნაჩვენებია იყო ეს ინტერვიუ, შეეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს, კერძოდ, მასწავლებელთა შეცდომებს ექსკურსიის ორგანიზებისას;

ბ) მოსარჩელის ცნობადობა და მისი ქცევა ინტერვიუმდე – 11 წლის მოსარჩელე არ იყო საჯარო ფიგურა: ის იყო არასრულწლოვანი, რომლის პირადი ცხოვრების სათანადოდ დაცვასაც მშობლები ზედამხედველობდნენ. შესაბამისად, მათი წინასწარი თანხმობა ინტერვიუს გაშუქებაზე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო საქმის შესაფასებლად;

გ) გარემოებები, რომლებშიც აიღეს ინტერვიუ, ასევე, გასული სიუჟეტის, მათ შორის, ინტერვიუს შინაარსი, ფორმა და შედეგები – სასამართლოს შეფასებით, მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები არ დათანხმებიან ბავშვისგან ინტერვიუს აღებას და არ ესწრებოდნენ საუბრის ჩაწერას. გასული სიუჟეტის შინაარსის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ ვერ იმსჯელა კონვენციის მე-8 მუხლით დაკისრებულ ვალდებულებებზე, რომლებიც მოიცავს მოსარჩელის პირადი ცხოვრების დაცვას, მით უფრო, მისი დაუცველობის გათვალისწინებით. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ვერ შეაფასა, სათანადოდ იყო თუ არა დაფარული მოსარჩელის ვინაობა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამ კუთხით, მშობლის წინასწარი თანხმობა უნდა განიხილებოდეს მოსარჩელის უფლებათა დაცვის გარანტიად და არა მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნად. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მართალია, სიუჟეტში მოსარჩელის სახე გაბუნდოვნებული იყო, ხმით მაინც ადვილად შეიძლებოდა მისი ამოცნობა და, რეალურად, ამოიცნეს კიდევაც თანაკლასელებმა და მასწავლებლებმა. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა საფუძვლიანად არ შეაფასეს ნაბიჯები, რომლებიც მოპასუხე მხარემ გადადგა ბავშვის ვინაობის დასაფარად. გარდა ამისა, მართალია, შიდა მარეგულირებელი ჩარჩო ადგენდა, რომ „არასრულწლოვნის უფლება პირად ცხოვრებაზე გადაწონიდა ინფორმაციის მიღების საჭიროებას, განსაკუთრებით, თუ ის იმყოფებოდა რთულ მდგომარეობაში“, თუმცა ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიეს, რამდენად დაცული იყო საქმეში ეს სამართლებრივი მოთხოვნა.

ევროპული სასამართლოს მითითებით, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მოსარჩელემ დიდი სტრესი და ტანჯვა განიცადა ტელევიზიაში გასული სიუჟეტის გამო. მისი აზრით, საინფორმაციო გადაცემას თავისი წვლილი შეჰქონდა საჯარო დებატებში, მაგრამ ისეთი პირადი ინფორმაციის გასაჯაროება, როგორცაა ტრაგიკული მოვლენის თვითმხილველი არასრულწლოვნის ვინაობა, არ უნდა გასცდენოდა სარედაქციო დისკრეციას და უნდა დასაბუთებულიყო. განსაკუთრებულად გასათვალისწინებელი იყო, შეძლებდა თუ არა ბავშვი წვლილის შეტანას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე

მსჯელობაში, როდესაც თავად არ შესწრებია უბედურ შემთხვევას. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მხოლოდ ზერელედ განიხილეს ბალანსი მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლებასა და ტელემაუწყებლის გამოხატვის თავისუფლებას შორის, ასევე, სათანადოდ არ შეაფასეს ფაქტები, რომ მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი, რომელსაც არ იცნობდა საზოგადოება და მასთან ინტერვიუს არ შეეძლო წვლილის შეტანა დებატებში საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე. შედეგად, მათ უგულებელყვეს პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულება და, საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.



## წვდომა პერსონალურ მონაცემებზე

### 37 დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ცენტრი უკრაინის წინააღმდეგ/ Centre for Democracy and the Rule of Law v. Ukraine (26 მარტი, 2020 წელი)

#### კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება)

საქმეში დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ცენტრი უკრაინის წინააღმდეგ<sup>44</sup> არასამთავრობო ორგანიზაციას უარი ეთქვა ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც ეხებოდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ლიდერების CV-ში ასახულ ინფორმაციას განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ.

**ღ საჯარო ფაქტობრივი გარემოებაები:** უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ მიაწოდა არასამთავრობო ორგანიზაციას პოლიტიკური პარტიის იმ ლიდერთა CV-ების სრული ასლები, რომლებიც კენჭს იყრიდნენ საპარლამენტო არჩევნებში. უარი დაეფუძნა არგუმენტს, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო კონფიდენციალური და მისი გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ შესაბამის პირთა თანხმობით. არასამთავრობო ორგანიზაციას მიეწოდა მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც უკვე გამოქვეყნებული იყო ცესკო-ს ვებგვერდზე.

მოსარჩელემ ცესკო-ს უარი ეროვნულ სასამართლოებში გაასაჩივრა და ამტკიცებდა, რომ CV წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, რომელიც ექვემდებარებოდა გამჟღავნებას, თუმცა ეროვნულმა სასამართლოებმა საჩივარი არ დააკმაყოფილეს: მათი განმარტებით, ბიოგრაფიებში არსებული ინფორმაცია, როგორც წესი, იყო კონფიდენციალური და მისი გასაჯაროება შეიძლებოდა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ეს ექცეოდა საზოგადოებრივ ინტერესებში, განსაკუთრებით, საჭირო იყო მოქალაქეთა უფლებების განსახორციელებლად. ეროვნული სასამართლოების განმარტებით, მოსარჩელე ორგანიზაციამ ვერ შეძლო დასაბუთება, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია საჭირო იყო ამომრჩეველთა ხმის მიცემის უფლების ეფექტიანად რეალიზებისთვის. დამატებით, სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მე-8 მუხლით დაცულ უფლებათა უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაშიც, ცესკომ, როგორც ინფორმაციის მფლობელმა, გაითვალისწინა შეზღუდვები კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პერსონალური მონაცემების გამჟღავნებასთან მიმართებით, რადგან გამოხატვის თავისუფლება არ იყო შეუზღუდავი უფლება.

44 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-201896>.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:**

ა) ჩარევის არსებობა, მისი კანონიერება და ლეგიტიმური მიზანი – არასამთავრობო ორგანიზაციამ მოითხოვა არა კონკრეტული ინფორმაცია პოლიტიკოსთა ბიოგრაფიებიდან, არამედ მათი სრული ასლები. მოსარჩელემ თავადაც გაიზიარა პოზიცია, რომ კანდიდატთა მისამართები და სატელეფონო ნომრები არ უნდა გამჟღავნებულიყო. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, მოსარჩელე ორგანიზაციის მითითებით, ამ ინფორმაციის მოპოვება შეიძლებოდა სხვა წყაროებიდან, თუმცა ვერ ახსნა, რატომ არ გააკეთა ეს. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ ამ ნაწილში ვერ დაასაბუთა ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებაში.

აქედან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს უნდა ემსჯელა შემდეგ საკითხზე: იყო თუ არა ჩარევა და არღვევდა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას არასამთავრობო ორგანიზაციისთვის უარის თქმა ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკურ ლიდერთა განათლებასა და სამუშაო გამოცდილებას და ასახული იყო ოფიციალურ ბიოგრაფიებში, რომლებიც ცესკო-ს წარუდგინეს საარჩევნო პროცესში.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საკითხი უნდა შეფასებულიყო ოთხი კრიტერიუმის საფუძველზე, რომლებიც სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა საქმეზე *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary* უნგრეთის წინააღმდეგ.<sup>45</sup>

- ① *მოთხოვნილი ინფორმაციის მიზანი*: მოსარჩელე ორგანიზაცია ეჭვობდა, რომ კანდიდატები არ აკმაყოფილებდნენ მაღალი თანამდებობისთვის დაწესებულ მოთხოვნებს, რასაც საფუძვლად ედო მანამდე გამოთქმული წინააღმდეგობრივი პოზიციები მათ განათლებასთან მიმართებით. მართალია, საჯარო სივრცეში საკმარისი ინფორმაცია ვრცელდებოდა პოლიტიკოსთა განათლებასა და სამუშაო გამოცდილებაზე, თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციის აზრით, ეს ინფორმაცია თითოეულ კანდიდატს თავად უნდა წარმოედგინა, როგორც პირველწყაროს;
- ② *მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება*: ევროპული სასამართლოს განმარტებით, საზოგადოებას ჰქონდა ინტერესი კანდიდატთა წარსულისა და კეთილსინდისიერების მიმართ არჩევნების შემდგომ პერიოდში. აქედან გამომდინარე, ასეთი ინფორმაციის მოთხოვნა აკმაყოფილებდა საზოგადოებრივი ინტერესის ტესტს;
- ③ *ინფორმაციის მომთხოვნის განსაკუთრებული როლი ამ ინფორმაციის მიღებასა და საზოგადოებისთვის მიწოდებაში*: მოსარჩელე ორგანიზაცია ასრულებდა მეთვალყურის („watchdog“) მნიშვნელოვან ფუნქციას;
- ④ *არის თუ არა მოთხოვნილი ინფორმაცია უკვე მომზადებული და ხელმისაწვდომი*: მოთხოვნილი ინფორმაცია იყო მომზადებული და ხელმისაწვდომი.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: მოსარჩელე არასამთავრობო ორგანიზაციისთვის უარის თქმით ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც შეეხებოდა კანდიდატთა განათლებასა და სამუშაო გამოცდილებას და ასახული იყო ცესკოში წარდგენილ

45 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-167828>.

ბიოგრაფიებში, ეროვნულმა ორგანოებმა ხელი შეუშალეს ინფორმაციის მიღება-გაცემის უფლებით სარგებლობას, რითაც ზიანი მიაყენეს მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. შედეგად, მოხდა ჩარევა მოსარჩელის უფლებაში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და მიზნად ისახავდა სხვა პირთა პირადი ცხოვრების დაცვას, თუმცა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. თავისი პოზიცია მან დააყრდნო შემდეგ არგუმენტებს:

ბ) აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში – პირველ რიგში, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა პოლიტიკურ ლიდერთა განათლებასა და სამუშაო გამოცდილებაზე ინფორმაციის გამჟღავნება ჩარევა მათ „პირად ცხოვრებაში“, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით. სასამართლოს განმარტებით, ეს ინფორმაცია იყო პერსონალური მონაცემი, თუმცა ეხებოდა იმ პოლიტიკურ ლიდერთა განათლებასა და პროფესიულ საქმიანობას, რომლებიც საჯაროდ მოღვაწეობდნენ. შესაბამისად, მისი გამჟღავნება არ გაასაჯაროებდა ამ პირთა ცხოვრებას უფრო მეტად, ვიდრე განჭვრეტდნენ, როდესაც დარეგისტრირდნენ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიულ სიათა სათავეში. ამგვარად, მართალია, პოლიტიკურ ლიდერთა პირადი ინფორმაციის დაცვა იყო ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იძლეოდა გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა უნდა შეფასებულიყო, იყო თუ არა ამ ინტერესთა დასაცავად გამოყენებული საშუალებები აღნიშნული მიზნის თანაზომიერი.

საზოგადოებისთვის ცნობილმა პირებმა, როგორც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინეს საკუთარი ბიოგრაფიები, დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების გამო. აქედან გამომდინარე, მათ გაასაჯაროვეს საკუთარი კვალიფიკაცია და გამოცდილება საზოგადოებრივი მსჯელობისთვის, მით უფრო, რომ ეროვნული კანონმდებლობით, ეს ინფორმაცია „ღიად“ მიიჩნეოდა.

ევროპული სასამართლოს აზრით, კანდიდატთა განათლებასა და სამუშაო გამოცდილებასთან მიმართებით, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს სათანადო ბალანსის დადგენა: კერძოდ, მათ ვერ შეადარეს ერთმანეთს ზიანი, რომელიც ამ ინფორმაციის გავრცელებით მიადგებოდა პოლიტიკოსთა ინტერესებს, და შედეგები, რომლებიც ექნებოდა მოსარჩელე ორგანიზაციის ეფექტიანად სარგებლობას გამოსატვის თავისუფლებით. ეროვნულ სასამართლოებს არ შეუფასებიათ, რა დამაზიანებელი გავლენა შეიძლება ჰქონოდა ასეთი ინფორმაციის გავრცელებას პოლიტიკოსთა პირად ცხოვრებაზე; არც ის აუხსნიათ, როგორ შეიძლებოდა დარღვეულიყო იმ ორი პოლიტიკოსის ბიოგრაფიათა კონფიდენციალურობა, რომლებმაც საკუთარი ნებით გამოაქვეყნეს თავიანთი CV-ები პარტიის საიტზე. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება, რომ მოსარჩელე ორგანიზაციისთვის უარი ეთქვათ მოთხოვნილ ინფორმაციაზე, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

**კონვენციის მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება)**

საქმე მიტოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ<sup>46</sup> ეხება საჩივრებს, რომლებიც უკავშირდება განაჩენის მოგვიანებით გამოქვეყნების წესს, ასევე, საქმის მასალებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე ონლაინწვდომის შეუძლებლობას, რაც განპირობებული იყო ანონიმურობის დაცვით.

**ღ** საქმის ფაქტობრივი გარემოებაები: უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ 2000 წლიდან ონლაინ მონაცემთა ბაზაში გაასაჯაროვა თავისი გადაწყვეტილებები. 2010 წლიდან დაიწყო დოკუმენტებში მითითებული პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების დაშიფვრა. 2015 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისიამ დაადგინა, რომ მონაცემთა ბაზაში გადაწყვეტილებების გამოქვეყნება პერსონალურ მონაცემთა ანონიმიზაციის გარეშე იყო ამ ინფორმაციის უკანონო დამუშავება.

2016 წელს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიღო შიდა ინსტრუქცია ანონიმურობის შესახებ და დაადგინა წესები, რომლებიც შეეხებოდა პერსონალური მონაცემების, მათ შორის, სამართალწარმოების მხარეთა სახელების, გვარებისა და დაბადების თარიღების დაშიფვრას სასამართლოს ონლაინბაზაში გამოქვეყნებულ დოკუმენტებში.

2007 წლის კანონი მართლმსაჯულების შესახებ ადგენდა მოთხოვნას, რომ სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულიყო ყველა სასამართლო გადაწყვეტილება. 2017 წელს, ამავე კანონში შესული ცვლილების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც სასჯელი შეეფარდა პირს, სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაიდგმებოდა ნაბიჯები მის აღსასრულებლად.

მოსარჩელებმა – რვა ბულგარელმა ჟურნალისტმა, რომლებიც მუშაობდნენ სასამართლოებთან დაკავშირებულ საკითხებზე, და ასოციაციამ, რომლის საქმიანობაშიც შედიოდა სასამართლო სისტემის გაუმჯობესება, ასევე, ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების დაცვა – გაასაჩივრეს აღნიშნული წესები. ეროვნულმა სასამართლოებმა საჩივარი არ დააკმაყოფილეს და განმარტეს, რომ წესები მიზნად ისახავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვას და გავლენას არ ახდენდა მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე – კერძოდ, ცვლილებების მიუხედავად, მათ შეეძლოთ, გაეშუქებინათ საჯარო ინტერესის საკითხები.

კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელები ასაჩივრებდნენ: ა) უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს 2016 წლის წესს ანონიმურობის შესახებ; და ბ) 2017 წლის ცვლილებას მართლმსაჯულების კანონში.

46 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-223828>.

**★ ევროპული სასამართლოს შეფასება:**

ა) საჩივრის დასაშვებობა უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს 2016 წლის ანონიმურობის წესთან დაკავშირებით – ევროპული სასამართლოს პოზიციით, ამ წესთან მიმართებით, მოსარჩელეთა საჩივარი არ შეეხებოდა სახელმწიფო ორგანოს ხელთ არსებული ინფორმაციის კონკრეტულ ნაწილს ან კატეგორიას: ისინი ასაჩივრებდნენ ინტერნეტწვდომის შეზღუდვას უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მონაცემთა ბაზაში არსებულ ყველა მასალაზე, ასევე, კონკრეტულ პერსონალურ მონაცემთა ანონიმურობას ყველა სასამართლო გადაწყვეტილებაში. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია უკავშირდებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს და მასზე წვდომის შეზღუდვა ხელს უშლიდათ ამ საკითხების გაშუქებაში. მართალია, არავის შეუტანია ეჭვი, რომ მოსარჩელები ასრულებდნენ მეთვალყურის („watchdog“) როლს, არგუმენტი, რომ ყველა გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებებში ასახული ყველა ინფორმაცია იყო საზოგადოებრივი ინტერესის საგანი და მათი მიუწვდომლობა ხელს უშლიდათ საზოგადოების ინფორმირებაში, ევროპულმა სასამართლომ სრულიად აბსტრაქტულად მიიჩნია. მისი მოსაზრებით, „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის“ დეფინიცია დამოკიდებულია თითოეული საქმის გარემოებებზე და შეუძლებელია მისი შეფასება აბსტრაქტულად. არ შეიძლება მტკიცება, რომ უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განხილული ყველა საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საგანია და ყველა ინფორმაცია, რომლებიც ეხება ამ საქმეებს, უკავშირდება საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს. ზოგადი განცხადებები, რომ სახელმწიფოს ხელთ არსებული ზოგიერთი ტიპის ინფორმაცია უნდა გახდეს ხელმისაწვდომი, არ არის საკმარისი კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული საკითხების წამოსაჭრელად. თუ შესაბამისი დოკუმენტი და ინფორმაცია თავისუფლად ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტში, გარდაუვალია, რომ მასზე წვდომა ექნებათ არა მხოლოდ მოსარჩელებს, არამედ საზოგადოების ყველა წევრს.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაასკვნა, რომ ინფორმაცია, რომელზეც მოსარჩელებს არ ჰქონდათ წვდომა, გამამწყვეტი იყო მათი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის;

ბ) 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილება – ევროპული სასამართლოს აზრით, ანალოგიურად, მოსარჩელეთა საჩივარი განაჩენის მოგვიანებით გამოქვეყნების წესზე ეხებოდა არა კონკრეტულ გარემოებებს, არამედ თავად წესს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო აბსტრაქტულად შეფასება, რეალურად შეუშლიდა თუ არა ხელს ეს დებულება საზოგადოებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას. შესაბამისად, სასამართლო ამ შემთხვევაშიც ვერ დაასკვნის, რომ ინფორმაცია, რომელზეც მოსარჩელებს არ ჰქონდათ წვდომა, აუცილებელი იყო მათი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს კომპეტენციას სცდება აბსტრაქტული განცხადებების გაკეთება, რამდენად სწრაფად უნდა გამოქვეყნდეს გადაწყვეტილებები მონაცემთა ბაზაში.

საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო.



**კონვენციის მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება)**

საქმე გაფიუცი რუმინეთის წინააღმდეგ<sup>47</sup> ეხება ჟურნალისტისთვის ნებართვის ჩამორთმევას, ჩაეტარებინა საარქივო კვლევა მას შემდეგ, რაც ხელყო მესამე მხარის პირადი ცხოვრება.

**❏ საქმის ფაქტობრივი გარემოებაები:** მოსარჩელემ, ყოველდღიური სპორტული გაზეთის ჟურნალისტმა, მიმართა უშიშროების არქივის შესწავლის ეროვნულ საბჭოს (CNSAS) და მიიღო ნებართვა, რომ ჩაეტარებინა კვლევა საკითხზე „რუმინეთის სპორტი კომუნისტური რეჟიმის დროს“. CNSAS-ის რეგულაციით, შესაბამის არქივზე წვდომის უფლებას მკვლევარი იღებდა მაშინ, თუ ადგენდა ისტორიულ ჭეშმარიტებას დიქტატორულ პერიოდთან მიმართებით.

კვლევის შედეგად, მოსარჩელემ გამოაქვეყნა სხვადასხვა სტატია, სადაც გაასაჯაროვა მასალა ცნობილ სპორტსმენებსა და რამდენიმე სხვა ადამიანზე, რომლებიც თანამშრომლობდნენ ე.წ. პოლიტიკურ პოლიციასთან. სტატიაში აღწერილი იყო ამ ადამიანთა რეკრუტირება პოლიტიკურ პოლიციაში, ასევე, მათი პიროვნული თვისებები, რომლებიც საინტერესო იყო პოლიციისთვის. CNSAS-მა მოსარჩელეს გაუუქმა არქივის გამოყენების ნებართვა, იმ საფუძვლით, რომ დაარღვია იმ პირთა პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულება, რომლებიც თანამშრომლობდნენ უსაფრთხოების სამსახურთან ან იდევნებოდნენ ამ სამსახურის მიერ და გადაუხვია კვლევის გაცხადებულ მიზანს. ეროვნულმა სასამართლოებმა გაიზიარეს ეს პოზიცია და არსებულ სამართლებრივ რეგულაციებზე გაავრცელეს ზოგადი კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

**★ ავროპული სასამართლოს შეფასება:** სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა ეს ქმედება ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში. მისი პოზიციით, მოსარჩელის, როგორც მკვლევრის ნებართვის გაუქმებას გავლენა ჰქონდა მისი, როგორც სპორტული გაზეთის ჟურნალისტის საქმიანობაზე, რის გამოც ვერ მიიღო ინფორმაცია კვლევის დასასრულებლად. შესაბამისად, გამოიკვეთა ჩარევა.

რაც შეეხება ჩარევის კანონიერებას: სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მტკიცებით, მარეგულირებელი ჩარჩო პირდაპირ მიუთითებდა იმ პირთა პირადი ცხოვრების დაცვაზე, რომლებიც „იდევნებოდნენ“ უშიშროების ორგანოების მიერ, მის სტატიებში მოხსენიებულ პირებზე კი ეს შეზღუდვა არ ვრცელდებოდა. სასამართლოს შეფასებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის თანახმად, ისეთი მონაცემების დამუშავება, რომელთა გამოყენებაზეც შესაბამის პირებს არ განუცხადებიათ თანხმობა, შესაძლებელია მხოლოდ „სტატისტიკური, ისტორიული და სამეცნიერო“ კვლევის მიზნებით, იმ პირობით, რომ ინფორმაცია ანონიმური დარჩება მთელი პროცედურის განმავლობაში და დაცული იქნება

47 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-205439>.

საჯარო ორგანოთა ზოგადი ვალდებულება, პატივი სცენ და დაიცვან პირთა ინტიმური, პირადი და ოჯახური ცხოვრება, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. გარდა ამისა, CNSAS-ის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავდა აკრედიტაციის გაცემის წესს, ითვალისწინებდა აკრედიტაციის გაუქმების შესაძლებლობასაც, თუ მკვლევარი არქივიდან მოპოვებულ დოკუმენტებს არ გამოიყენებდა სამეცნიერო მიზნებით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ჩარევა იყო კანონის შესაბამისი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ჩარევა ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა სხვა პირთა პირადი ცხოვრების დაცვას.

*აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში* – როგორც მკვლევარსა და ჟურნალისტს, მოსარჩელეს განზრახული ჰქონდა, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მეთოდებზე, რომლებსაც იყენებდა ყოფილი პოლიტიკური პოლიცია სპორტულ საქმიანობასთან მიმართებით, ასევე ინფორმაციაზე, რომლის მოპოვებასაც ცდილობდა ეს პოლიცია.

საქმის მასალებიდან ნათელია, რომ როგორც უშიშროების არქივთა ფუნქციონირების მარეგულირებელი წესები, ისე ზოგადი კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მკაფიოდ ადგენდა სხვა პირთა პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულებას და განსაზღვრავდა პირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შეიძლებოდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. შესაბამისად, მოსარჩელის ინტერესი, გამოეკვლია ეს საკითხი და საზოგადოებისთვის მიეწოდებინა მოპოვებული ინფორმაცია, დაუპირისპირდა იმ პირთა ინტერესებსა და პირადი ცხოვრების უფლებას, რომლებიც მოხსენიებულნი იყვნენ საარქივო მასალებში.

ამის მიუხედავად, ჟურნალისტმა გამოქვეყნებულ სტატიებში გაასაჯაროვა ინფორმაცია იმ ადამიანთა შესახებ, რომლებიც თანამშრომლობდნენ პოლიტიკურ პოლიციასთან და აწვდიდნენ ცნობებს სპორტთან ასოცირებულ პირებზე. ამ ინფორმაციაში ასახული საკითხები პირდაპირ ექცეოდა პირად სფეროში, ან უკავშირდებოდა სპორტსმენტა ზნეობას, ასევე, დამოკიდებულებას რელიგიისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს განცხადებით, მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში ადამიანები პირდაპირ სახელებით იყვნენ მოხსენიებულნი. სასამართლოს შეფასებით, ეს პირები საზოგადოებისთვის ძალიან კარგად იყვნენ ცნობილნი, თუმცა გამოქვეყნებული ინფორმაცია არ ეხებოდა მათ სპორტულ საქმიანობას ან, ზოგადად, სპორტს. ამასთანავე, აღნიშნული ინფორმაცია არ გაუსაჯაროებიათ თავად ამ პირებს, შესაბამისად, არ იყო სხვაგვარად ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის და მისი სიზუსტეც ვერ შემოწმდებოდა.

ევროპული სასამართლოს აზრით, მართალია, ყოფილ პოლიტიკურ პოლიციასთან თანამშრომლობის (სპორტის სფეროს ჩათვლით) საკითხი უდავოდ ექცეოდა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში, თუმცა, მასალების მგრძობელობიდან გამომდინარე, ეს თემა უნდა განეხილათ განსაკუთრებული სიფრთხილითა და კრიტიკული სულისკვეთებით. მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ გადაწყვიტა, შეგროვებული ინფორმაციის აკადემიური კვლევის ნაცვლად, თავის სტატიებში ცნობები გაემჟღავნებინა ნედლი ფორმით, ისე, რომ არ შეუფასებია ქმედების შესაბამისობა კვლევის გაცხადებულ მიზანთან. ნაცვლად

იმისა, რომ გაეფილტრა ინფორმაცია და დაეცვა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტები, მოსარჩელემ საზოგადოებას გაუმჟღავნა სპორტთან ასოცირებულ პირთა პირადი ცხოვრების ასპექტები - ინფორმაცია, რომელსაც არანაირი წვლილის შეტანა არ შეეძლო დებატებში საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან დაკავშირებით.

გამჟღავნებული ინფორმაციის ძალზე პირადული ბუნების გამო, ევროპულმა სასამართლომ გონივრულად და ლეგიტიმურად მიიჩნია CNSAS-ის, როგორც მგრძნობიარე დოკუმენტთა მფლობელის გადაწყვეტილება, რომ მოსარჩელის ქმედებით, გამოუსწორებელი ზიანი მიადგა ნდობას CNSAS-სა და იმ ადამიანებს შორის, რომლებთან მიმართებითაც ინსტიტუტმა ნებართვა გასცა. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელისთვის არქივით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა თანაზომიერი ნაბიჯი იყო. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.



# პერსონალურ მონაცემთა წაშლა ან განადგურება

## 40 ბიანკარდი იტალიის წინააღმდეგ/*Biancardi v. Italy* (25 ნოემბერი, 2021 წელი)

### კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება)

საქმე ბიანკარდი იტალიის წინააღმდეგ<sup>48</sup> ეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას ონლაინგაზეთის რედაქტორისთვის, იმის გამო, რომ ინტერნეტიდან წაშალა სტატია კერძო პირთა სისხლის სამართლის საქმის შესახებ.

**ღ** საქმის ფაქტობრივი გარემოებაები: მოსარჩელემ, ონლაინგაზეთის მთავარმა რედაქტორმა, 2008 წელს გამოაქვეყნა სტატია, რომელიც შეეხებოდა დაჭრას რესტორანში მომხდარი ჩხუბისას და მის შესაძლო მიზეზებს. სტატიაში მითითებული იყო ჩხუბში ჩართულ პირთა სახელებიც. 2010 წელს ერთ-ერთმა ბრალდებულმა, რესტორანთან ერთად, მოითხოვა სტატიის წაშლა ინტერნეტსივრცეიდან. თავდაპირველად მოსარჩელემ უარი განაცხადა ამაზე, თუმცა, საბოლოოდ, ბრალდებულის მოთხოვნიდან 8 თვის შემდეგ, წაშალა სტატია. ეროვნულმა სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო ინტერესი – ამ საქმეზე ინფორმაციის მიღება – უკვე დაკმაყოფილებული იყო და, სულ მცირე, იმ დროიდან, როდესაც ბრალდებულმა მოითხოვა სტატიის წაშლა ფორმალური შეტყობინებით, მისი პერსონალური მონაცემები არ მუშავდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად. შედეგად, დაირღვა ბრალდებულის რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების უფლება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე პასუხისმგებელი იყო იმაზე, რომ მეტისმეტად დიდხანს არ წაშალა სტატია და სადავო ინფორმაციასთან მარტივი წვდომა ჰქონდა ყველას, ბრალდებულის სახელის საძიებო სისტემაში ჩაწერით. ამის გამო, მოსარჩელეს დაეკისრა ჯარიმა, 5000 ევროს ოდენობით, როგორც კომპენსაცია ბრალდებულისა და რესტორნის სასარგებლოდ, რადგან დაირღვა მათი რეპუტაციის პატივისცემის უფლება.

### ★ ევროპული სასამართლოს შეფასება:

ა) ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით (მათ შორის, საქმეზე *დელფი AS ესტონეთის წინააღმდეგ*), ეს შემთხვევა შეეხებოდა მონაცემებზე წვდომის ხანგრძლივობასა და სიმარტივეს, და არა სტატიის უბრალოდ შენახვას ინტერნეტში. კერძოდ, მოსარჩელემ, ბრალდებულის ფორმალური მოთხოვნის მიუხედავად, დიდხანს არ მიმართა გამოქვეყნებული სტატიის მონიშვნის (tags) დეინდექსირებას ინტერნეტის საძიებო სისტემაში, რის გამოც პუბლიკაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყო;

48 იხ: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-21382Z>.

ბ) ჩარევის არსებობა, მისი კანონიერება და ლეგიტიმური მიზანი – სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებებით, მოხდა ჩარევა მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებაში, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით. მხარეები არც იმაზე დავობდნენ, რომ ასეთი ჩარევა იყო „კანონის შესაბამისი“. გარდა ამისა, განსახილველი ჩარევა მიზნად ისახავდა „სხვა პირთა რეპუტაციისა ან უფლებების“ დაცვას და, შესაბამისად, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კონვენციის მე-10(2) მუხლის მიხედვით. ევროპული სასამართლოს მითითებით, მას არ ჰქონდა საფუძველი, რომ სხვანაირად შეეფასებინა აღნიშნული საკითხი;

გ) უფლებაში ჩარევის თანაზომიერება – სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ წინამდებარე საქმეში მოსარჩელეს პასუხისმგებლობა დაეკისრა იმ მიზეზით, რომ არ მიმართა სტატიის დეინდექსირებას. შესაბამისად, დავა არ უკავშირდებოდა სტატიის სრულად წაშლას ინტერნეტიდან ან/და მის ანონიმიზაციას. სასამართლოს თანახმად, ეს იყო მნიშვნელოვანი საწყისი გარემოება, რომ შეფასებულიყო გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერება.

წინამდებარე საქმეში ევროპულმა სასამართლომ გამოყო ამ საქმისთვის დამახასიათებელი ორი ძირითადი გარემოება, კერძოდ: ა) პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტატია გამოქვეყნებული იყო ონლაინსივრცეში და მისი გავლენა შესაბამის პირთა უფლებაზე რეპუტაციის პატივისცემის კუთხით; ბ) მონაცემთა სუბიექტის სახე - კერძოდ, ამ შემთხვევაში ბრალდებული მოქმედებდა როგორც კერძო პირი და არა პოლიტიკური ან საჯარო ფიგურა.

ევროპული სასამართლოს აზრით, ნებისმიერ პირზე (ცნობილია საზოგადოებისთვის, თუ არა) შეიძლება იძებნებოდეს ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით და ამ პირს შეიძლება შეელახოს უფლებები მის პერსონალურ მონაცემებზე განკრძობადი წვდომის გამო. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, უფლებაში ჩარევის თანაზომიერების შესაფასებლად, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამ კრიტერიუმზე:

- i) პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტატია ხელმისაწვდომი იყო ონლაინ, განსაკუთრებით, ბრალდებულის მონაცემთა დამუშავების თავდაპირველი მიზნის გათვალისწინებით – სისხლის სამართალწარმოება რესტორანში მომხდარი ინციდენტის შესახებ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრალდებულისა და სხვა პირების წინააღმდეგ, როდესაც უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის საქმეზე. მიუხედავად ამისა, სტატიაში მოხსენიებული ინფორმაცია არ განახლებულა მას შემდეგ, რაც მოხდა შემთხვევა. მეტიც, მართალია ბრალდებულმა ოფიციალურად მიმართა რედაქტორს და მოსთხოვა სტატიის წაშლა ინტერნეტიდან, პუბლიკაცია ხელმისაწვდომი რჩებოდა მოთხოვნიდან რვა თვის განმავლობაშიც. ეროვნული კანონმდებლობა, ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, იზიარებდა იდეას, რომ დროთა განმავლობაში მოსარჩელის უფლება, გაევერცელებინა ინფორმაცია, კარგავდა საფუძვლიანობას, მეორე მხარის რეპუტაციის პატივისცემის უფლებასთან შედარებით;
- ii) სადავო მონაცემის მგრძობელობა – სადავო სტატია ეხებოდა ერთ-ერთი პირის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს. სასამართლოს განმარტებით,

გარემოებები, რომლებშიც გამოქვეყნდა ინფორმაცია მგრძობიარე მონაცემთა შესახებ, გასათვალისწინებელი ფაქტორი იყო ინფორმაციის გავრცელებისა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების უფლებათა დაბალანსებისას;

- iii) დაკისრებული სანქციის სიმძიმე – მოსარჩელეს დაეკისრა სამოქალაქო და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სასჯელის სიმძიმე და კომპენსაციის ოდენობა არამატერიალური ზიანის გამო (5000 ევრო თითოეული მხარისათვის) არ უნდა ჩაითვალოს გადაჭარბებულად, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით.

ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, რომ მოსარჩელემ დაარღვია რეპუტაციის პატივისცემის უფლება, რადგან დიდხანს არ მიმართა გასაჩივრებული სტატიის დეინდექსირებას, უნდა ჩაითვალოს მისი გამოსხატვის თავისუფლების გამართლებულ შეზღუდვად, მით უფრო, რომ მოსარჩელისთვის არ მოუთხოვიათ სტატიის ანონიმიზაცია ან საერთოდ წაშლა ინტერნეტიდან.

საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.



